# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა•

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, №26 (2805) გამოცემის მე-60 წელი, 1991 28 ივნისი ფასი 40 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტარიელ ჭანტურია

# DE FACTO, DE JURE

თბილისი, მცხეთა, ცხინვალი,
გაგრა, ხახაბო, სნო... —
მიწა და ზეცა ქართული
უნდა მსოფლიომ ცნოს!

ალადასტურის მტევანი,
მახობლის პურის ძნა..., —
მიწა და ზეცა ქართული
უნდა მსოფლიომ ცნოს!

არავითარი „მაგრამ“ და
არავითარი „ნო“ —
სვეტიცხოველის სიმაღლე
უნდა მსოფლიომ ცნოს!

ჩვენი სიმღერის ლაზათი,
ჩვენი ცეკვების შნო .

ბოლოს და ბოლოს მსოფლიომ
ერთხელ ხომ უნდა ცნოს!

დასრულდეს იმპერიული
კეთრი, კიბო და ცზრო, —
და საქართველო მსოფლიომ
თავის ღვიძლ შვილად ცნოს!

ფაშისტს, კომუნისტს,
ექსტრემისტს,
მეშჩანს, ფილისტერს, სნობს...—
იარაღს აჰყრის სიმართლე —
მსოფლიო ჩემს ხალხს ცნობს!

ყველა ღელავს და განიცდის,
ყველა ელის და გრძნობს:
ჩვენს დედას—უკვდავ ქვეყანას—
მალე მსოფლიო ცნობს!

## დღეს ნომერში:



ზვიად გამსახურდია

დილემა კაცობრიობის წინაშე

მე-2-3-4 გვ.



ლევან ჭილაშვილი

ნეკრესიც ალაპარაკდა

მე-6-7 და მე-16 გვ.

პოეზია

შოთა ნიშნიანიძე

ახალი ლექსები

მე-8-9 გვ.

პროზა

ოთარ ჩხეიძე

პროზის სემინარი

მე-10-11 გვ.

არაერთგზის თქმულა და დაწერილა, რომ მეოცე საუკუნე თვისობრივად ახალი საუკუნეა, სხვა წინამორბედ საუკუნეებთან შედარებით. თვით ზედაპირული დაკვირვებისათვის ცხადია, რომ იგი ახალი ეპოქის, ახალი ერის დასაწყისია კაცობრიობის ისტორიაში. ამ ახალი ერის გარიჟრაჟზე საუკუნის, ეპოქის სულმა ახალი, სრულიად განსხვავებული მოთხოვნები წამოუყენა ერებსა და ადამიანებს. შეიცვალა არა მარტოოდენ გარეგანი სახე ჩვენი ცივილიზაციისა, არამედ ინტელექტუალური რელიეფი, კულტურის სპეციფიკა. შეიცვალა არამარტო აზროვნებისა და მეცნიერული თუ მხატვრული ძიებების მიმართულება, შეიცვალა ჩვენი ფსიქიკა, აღმოცენდა ახალი გაგება მოქალაქეობრივი თუ ინტელექტუალური სინდისისა.

უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ საცნაურია კაცობრიობის მანამდე არნახული დიფერენციაცია. რაც უფრო ვუახლოვდებით საუკუნის დასასრულს, მით უფრო მკვეთრია ეს დიფერენციაცია, მით უფრო იკვეთება საშინელი დილემა, რომელიც დგას დღევანდელი საზოგადოების თუ პიროვნების წინაშე.

რა დილემაა ეს? იგი, ცხადია, უეცრად, თავისთავად არ აღმოცენებულა, მან განიცადა ევოლუცია, როგორც ყველაფერმა. გასულ საუკუნეებში, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნეში, მას მხოლოდ რჩეული გენიოსები აღიქვამდნენ და განიცდიდნენ მთელი სიმწვავით. მათ შორის უდიდესთა წვა და მარტვილობა, ხოლო ზოგჯერ კატასტროფაც, ამ დილემასთან იყო დაკავშირებული. მათ დაინახეს მთელის სიცხადით, რომ ამ დილემისათვის გვერდის ავლა, ან მისთვის თვალის ვერ გამართვა გამოიწვევს პიროვნების თუ საზოგადოების სრულ დეგრადაციას, მიგვიყვანს სამყაროს სრულ დეჰუმანიზაციამდე და დაღუპვამდე. ასევე შემზარავი იყო მათთვის გაცნობიერება იმისა, რომ ამ დილემის დიდმნიშვნელოვანების მიფუჩეჩებას და ყოველნაირად ნიველირებას ცდილობდა არაერთი წამყვანი მეცნიერული თუ აზროვნებისმიერი მიმართულება იმ საუკუნისა.

ხოლო ის ერთეულები, ვინც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა გაბატონებულ გაგებას მორალისას, სულიერი ღირებულებებისა თუ აზროვნებისმიერი ჩვევებისას, როგორც წესი, ფიასკოს განიცდიდა ან საუბარს იწყებდა საუკუნისათვის გაუგებარ ენაზე, რითაც კარგავდა კაცობრიობის ბედ-იღბალზე ზემოქმედების რეალურ საშუალებას.

რა დილემაა ეს დილემა, რომელიც ისტორიულად ესოდენ აღაშფოთებდა ადამიანურ სინდისს, ხოლო დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტ ფაქტორად ქცეულა? ამ დილემას ჭვრეტდნენ ჯერაც უძველეს ხალხთა ბრძენნი და მოძღვართ მოძღვარნი, რომელთა ნააზრევი და ნაგრძნობიც ესოდენ დიდებულად აისახა კაცობრიობის საკრალურ წიგნებში. ოღონდ სიმწვავე ამ დილემისა მაშინ როდი იყო ესოდენ საცნაური. შესაძლოა ითქვას, რომ იმჟამად ადამიანთათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა გადაწყვეტა ამ დილემისა, მართებული, ცხოვრებისეულად გამართლებული გზის არჩევა პიროვნულ თუ საზოგადოებრივ ყოფაში უნებურად ხდებოდა. იმჟამად ბრძენთა ავტორიტეტი, დიდი რელიგიების ფუძემდებელთა საკრალური პრაქტიკა საჩინოს ჰყოფდა გზას სიკეთისას და ჭეშმარიტებისას, რომელსაც მხოლოდ შლეგი ან მორალურად გადაგვარებული თუ შეაქცევდა შეგნებულად ზურგს. ამიტომაც, ფსალმუნთა შექმნის ეპოქაში ათეიზმი და უგუნურება სინონიმებად ითვლებოდა: „სთქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა, არა არს ღმერთი“ (თუმცა დღევანდელ ეპოქაში, ფსევდოინტელექტუალური „ელიტისათვის“ უგუნურების სინონიმად რწმენა ქცეულა).

ჟამთა ვითარებაში შეიცვალა განგების მიმართებაც კაცთა მოდგმისადმი, ადამიანთა ევოლუციისათვის საჭირო გახდა ჭეშმარიტებისა და სიკეთის ცნების გარდა თავისუფლების გაგება და განვითარება. ამანვე გამოიწვია თავად დილემის შესაძლებლობა, უფრო მეტიც, საბედისწერო გახდა ეს დილემა: რწმენისა და ურწმუნოების, სულიერ ღირებულებათა აღიარებისა ადამიანური ცხოვრების მიზნად და მეორე მხრივ ამავე ღირებულებათათვის ზურგის შექცევისა და მათი მივიწყებისა.

განგებამ და ეპოქამ მოიტანა აუცილებლობა იმისა, რომ ადამიანი თავისუფალ არსებად იქცეს. ამიტომაც გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან დიდი წმინდანნი და მოძღვართ მოძღვარნი, ამიტომ შესუსტდა რელიგია, ამიტომ გაძლიერდნენ ყოველგვარი ცთომილებანი აზროვნებისა და მსოფლმხედველობისმიერნი. გაძლიერდა ჯერ სკეპტიციზმი, შემდეგ კი ნიჰილიზმი, საბუნებისმეტყველო აზროვნების სფეროში ფესვი მოიდგა მატერიალისტურმა ცდომილებამ, ფილოსოფიაში რაციონალიზმმა, პოზიტივიზმმა და სხვა „იზმებმა“, სახელი მათი ლეგიონია.

ყოველივე ამან გაამწვავა დილემა, აზროვნების, მორალის, ეთიკის, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროების დაკმაყოფილებისათვის, ამსოფლიური კეთილდღეობისა და კომფორტისათვის, თავი არ შევიწუხოთ მოქალაქეობრივ ვალზე, ღმერთზე და მოყვარეზე ფიქრით, მივყვეთ ცხოვრების დინებას, ვეძებოთ „მშვიდი ცხოვრება“, ამქვეყნიური ბედნიერება, ვინაიდან ჩვენს არსებობას სხვა არავითარი დანიშნულება არ გააჩნია:

„ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი
ყოფის თავი და ბოლო
ჭამა და საჭმლის მონელება
თუ არის მხოლოდ“
მ. მაჭავარიანი.

ან ვაღიაროთ, რომ უზენაესი რეალურად არსებობს, არსებობს მორალის გაგება, სრულყოფილი ეთიკა, რომლის განხორციელებასაც უნდა მიელტვოდეს ადამიანი, რომელსაც სურს აღსრულება თავისი ამსოფლიური მაღალი დანიშნულებისა. ან ვაღიაროთ საპირისპირო: მორალი და ეთიკა მხოლოდ ცარიელი, უაზრო ცნებებია, ისეთ ადამიანთა მიერ გამოგონილნი, რომელთაც სურთ ამ გზით დამონება და დათრგუნვა დანარჩენ კაცობრიობისათვის, მათი ცხოვრებისეული მარტვილობა მისაბაძია კაცობრიობის შეგნებული ნაწილისათვის. მეოცე საუკუნის ეს დიდი ადამიანები იმგვარად როდი იტანჯებიან, როდი განიცდიან იმგვარ ქენჯნას, როგორც ნიცშე ან ტოლსტოი, რომელთა შინაგანი ბრძოლაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ისინი მაინც ვერ იდგნენ მყარად თავის ნიადაგზე, მაინც მსხვერპლნი იყვნენ იმ გაორებისა, რომელმაც საუკუნის სენად იჩინა იმჟამად თავი. მეოცე საუკუნის მნათობნი კი სწორედ ტიტანური ურყევობით და იდეალის სამსახურში თანმიმდევრულობით გვაოცებენ. მათი მარტვილობა არა მათი პიროვნული ქენჯნაა, არამედ ურვაა კაცობრიობისათვის. მათი აზროვნება არ ვარდება ურთიერთის გამომრიცხავ უკიდურესობებში და შემდეგ ქაოტიურად არ იბინდება კვლავ ახალი სინთეზის ძიებაში. მათი მოქალაქეობრივი მრწამსი უქცევია ისევე, როგორც მათი გადაწყვეტილება საკუთარი თავის მსხვერპლად გაღითებისა, მაგრამ ჩვენ შევახსენებთ მკითხველს, თუ რაოდენ ვიწროა გზა წარწყმედისა და გადაგვარებისა, სახარების ფორმულის მიხედვით რომ ვთქვათ. იგივე გახლავთ მიზეზი საბჭოთა კავშირში დისიდენტთა მცირერიცხოვანებისა, რომელიც ხელზე აქვთ დახვეული ჭეშმარიტებისა და სიკეთის მარადიულ მტრებს, რომელნიც ნიადაგ გაჰყვირიან: „შეხეთ ამ ერთ მუჭა გროვას გზააბნეული და ხალხს მოწყვეტილი ადამიანებისას! ნუთუ ისინი გამოხატავენ მრავალმილიონიანი მასების ნებას? ნუთუ მათ გააჩნიათ უფლება ილაპარაკონ ხალხის სახელით? ხალხისა, რომელმაც არც კი უწყის მათი არსებობა, მათი ფიქრები და მიზანსწრაფვანი?“.

დიახ, დიახ, ბნელეთის მოციქულთა მრავალრიცხოვანო ლეგიონებო, ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევ-

ზვიად გამსახურდია

# დილემა კაცობრიობის წინაშე

როში. თუმც მეოცე საუკუნემდე, როგორც ვამბობდი, ყოველი ადამიანისათვის ცნობიერად თუ ქვეცნობიერად როდი გამოკვეთილა ამ დილემის სიმწვავე.

დღეს კი საკმარისია თვალი გადავავლოთ ცხოვრებას ჩვენი საუკუნის ცივილიზებული კაცობრიობისას, ნათელი გახდება თუ რაოდენ გამწვავდა ცნობიერი თუ ქვეცნობიერი აღქმა ზემოხსენებული დილემისა. დღეს ეს დილემა ამგვარად გამოიკვეთა აზროვნების, მორალისა და ეთიკის სფეროში: ან ვაღიაროთ, რომ დიდი სამყარო, უნივერსუმი და ჩვენ, კაცობრიობა შექმნილი ვართ აბსოლუტურად კეთილი და გონიერი უნივერსალური ძალის მიერ, რომ ჩვენ გვაქვს მაღალი დანიშნულება, დიადი მიზნები, რომ ჩვენი ისტორია და კულტურა არ არის მარტოოდენ რაღაც მექანიკური თუ ობიექტურად აუცილებელი „კანონზომიერების“ შედეგი, რომ ის არ აღმოცენებულა შემთხვევით და უაზროდ და არ არის მატერიის ქაოტიურ ძალთა თამაშის პროდუქტი, რომელსაც შესაძლოა ასეთივე შემთხვევითი განადგურება უწერია; ამასთან თეორიულად ყოველივე ამის აღიარებამ უნდა მიგვიყვანოს ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ გარდაქმნამდე, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის და არა ამსოფლიური კეთილდღეობისათვის, ჩვენ უნდა გავიღოთ მსხვერპლი, არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მაღალ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წინაშე მოგვიხდეს წარდგომა. ეს იქნება პრაქტიკული დადასტურება ჩვენს მიერ ჩვენი უმაღლესი მოვალეობის გაგებისა, ამით მიეცემა ჩვენს ყოფას აზრი (პირველქრისტიანების კრედო); ან ვაღიაროთ საპირისპირო: რომ სამყარო და ადამიანი შემთხვევითობის ან მკვდარი, უმიზეზო აუცილებლობის პროდუქტებია, რომ არავითარი რეალური გონიერება არ არსებობს სამყაროს ევოლუციასა და ადამიანთა ისტორიაში. ვაღიაროთ, რომ კოსმოსი არის შემთხვევითობათა უსასრულო ქაოსის დროებითი, შემთხვევით მოწესრიგებული ფორმა, ისევე როგორც ჩვენ ვართ დროებით, შემთხვევითად შეკოწიწებული ფორმა მატერიის უმიზნო განვითარებისა და რომ ეს ფორმა ჩვენთვის ისეთივე შემთხვევითი და წარმავალია, როგორც სფერული ფორმა საპნის ბუშტისათვის, ხოლო ამგვარმა თეორიულმა შეხედულებამ პრაქტიკაში, ცხადია, უნდა მიგვიყვანოს შემდეგ დასკვნამდე: რახან ყოველივე შემთხვევითობაა, რახან ჩვენს ცხოვრებას არავითარი უზენაესი აზრი არ გააჩნია, ზურგი უნდა ვაქციოთ ყოველგვარ იდეალებს, უზენაესზე ფიქრს, ვიცხოვროთ მხოლოდ დღევანდელი დღით, ჩვენი სომატიური მოთხოვნილებების, სურვილებისა და ჩენი კაცობრიობისა და რომელნიც თავიანთი ქვენა მიზნების განხორციელებისათვის იყენებენ ამ ცნებებს. ერთადერთი მისაღები და ცხოვრებისეულად გამართლებული ფორმაა ადამიანთა ყოფისა ცხოველურ ყოფასთან დაახლოება: ბუნებისმიერი და მატერიალური მოთხოვნილებების, პირუტყვული ინსტინქტების და ვნებების დაკმაყოფილება.

აქედან გამომდინარე, დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ერთის მხრივ მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადაგ სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალის პირველ პლანზე დაყენება, ხოლო მეორე მხრივ ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდო პრაგმატიზმი, სინდისის ხმის სისტემატური ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსობაზე, რომელსაც სჩადის ესა თუ ის სახელმწიფოებრივი წყობა თუ ცალკეული ადამიანი. ეს გახლავთ ის მწვავე დილემა, რომელიც დგას დღეს ყოველი ჩვენგანის წინაშე. აი, ის კითხვები, რომელზედაც პასუხის გაუცემლობა აუცილებლად მიგვიყვანს სავალალო მდგომარეობამდე. აი, მთავარი ფესვი ყველა დღევანდელი სოციალური თუ ადამიანური ბოროტებისა!

ჩვენ ვამტკიცებთ: მეოცე საუკუნის ადამიანს გაუმწვავდა აღქმა და შეგრძნება ამ დილემისა. ამავე დროს, ცხადია: ადამიანური ცნობიერების განვითარების სხვადასხვა დონეებზე ამ დილემის აღქმაც სხვადასხვაგვარია და მასზე რეაგირებაც. ამას განაპირობებს აგრეთვე სოციალური მდგომარეობა, ბიოლოგიური სრულფასოვანება — არასრულფასოვნება, მატერიალური და ეკონომიური პირობები, რასული თუ ეთნიური წარმომავლობა და ა. შ. ცხადია არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება აბსოლუტიზება რომელიმე ფაქტორისა. ყველა შემთხვევაში ინდივიდუალობა ს თ ა ნ გვაქვს საქმე და ამიტომ სურათიც უაღრესად ნაირგვარია.

ჩვენის გაგებით, ამ დილემის გაუცნობიერებლობა არანაკლებ დამღუპველია ადამიანისათვის, ვიდრე მისთვის შეგნებულად ზურგის შექცევა, ვინაიდან ქვეცნობიერად, ინსტინქტურად ყველა ადამიანი გრძნობს მის დიდ მნიშვნელობას და ბედითობას.

არსებობს ადამიანთა განვითარების უსასრულოდ ნაირგვარი დონეები. დღევანდელი დიდი ადამიანებისათვის კი დილემის პირისპირ არ არსებობს ჭოჭმანი. მათ იმთავითვე აირჩიეს ამ დილემის პირველი მხარე (ცხადია მათაც ინდივიდუალური მიდგომითა და ნიუანსებით), ღრმა რელიგიურობა, ჭეშმარიტად იდეალისტური მსოფლმხედველობა დამახასიათებელია მათი უმრავლესობისათვის. მათი მორალი, ეთიური სრულყოთა, მათი თავდადება იდლებისა კაცობრიობის საკურთხეველზე. აი, როგორია დღევანდელი დიდი ადამიანების მიმართება კაცობრიობის წინაშე მდგარი დღევანდელი დილემისადმი. ამით ისინი უფრო ძველი ეპოქების მოძღვრებსა და წმინდანებს ჰგვანან, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის გაორებულ გენიოსებს. ე. წ. დისიდენტური მოძრაობა დღევანდელ საბჭოეთში ამ დიდი ადამიანების კვალს მისდევს. დისიდენტებმა აირჩიეს პირველი მხარე დილემისა, მაგრამ არა ერთნაირის წარმატებითა და გაბედულებით. უთუოდ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მათ შორისაც არის დონეები მსხვერპლის გაღებისა, ჭეშმარიტი გზის არჩევისა, ამ გზაზე გამბედაობისა თუ შორსმჭვრეტელობისა. იგივე გახლავთ მიზეზი მათ შორის პაექრობისა და ზოგჯერ შუღლისაც. ჩვენ აქ კონკრეტულ მაგალითებს აღარ მოვიყვანთ, რათა რომელიმე პიროვნება არ გავანაწყენოთ ან შეცდომა არ დავუშვათ კონკრეტულ შეფასებებში.

საბედისწერო დილემის წინაშე გმირულად დგანან აგრეთვე მეოცე საუკუნის მისიონერები. ისინი, ვინც საკუთარი კეთილდღეობისა და სიცოცხლის ფასად დღესაც აგრძელებენ მაცხოვრის მიბაძვას და ნერგავენ სიყვარულისა და ჭეშმარიტების სახარებას არაცივილიზებულ, ჩამორჩენილ ტომებში... ჩვენ მოწმენი გავხდით უკანასკნელ ხანებში უგანდის მთავარეპისკოპოსის და სხვა მრავალი მისიონერის მხეცური მკვლელობისა. ისინი ჭეშმარიტად პირველქრისტიანი მოწამეებისა და შუასაუკუნეთა რჩეულ მარტვილთა დიად საქმეთა გამგრძელებელნი არიან ჩვენს რთულსა და ტრაგიკულ დროში. იგივე ითქმის ზოგიერთი ბუდისტი მისიონერის გამო, განსაკუთრებით საბჭოთა ციხის ჯალათთა მიერ მხეცურად მოკლული ბურიატელი მისიონერის, შესანიშნავი მოაზროვნისა და მოქალაქის ბიდია დანდარონის შესახებ.

ასეთივე ნათელი და მაღალი მაგალითია ცხოვრება და მოქალაქეობა ჯონ ბრაუნისა, მარტინ ლუთერ კინგისა, ალბერტ შვაიცერისა, ამბროსი ხელაიასი და სხვათა. ყოველივე ამით ცხადი ხდება, რომ მეოცე საუკუნის კაცობრიობის მასსის ტოტალური გადაგვარება და განურჩევლობა ერთი მხარეა სასწორისა, რომელსაც უპირისპირდება მაღალი მორალური შეგნება დღევანდელი კაცობრიობის რჩეულთა. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სამართლიანობისათვის მებრძოლნი, თუნდაც ზოგჯერ დიდი ცთომილებებითა და გზააბნეულობით რომ გამოირჩევიან, მაინც მიედრებიან ამ რჩეულებს, უკეთუ მათი ბრძოლა და მარტვილობა გულწრფელია და ქვენა მიზნების კიდეგან მდგარი.

შესაძლოა გაგვაოცოს მცირერიცხოვანებამ დახასიათებული მაგადა მრავალრიცხოვნების წყვდიადს! დიახ, მარად ასე იყო: ჭეშმარიტების მშვენება და სიდიადე იმით როდი განისაზღვრებოდა, თუ იმთავითვე რამდენად მრავალნი იგებდნენ და აფასებდნენ მას! მაგრამ განგების კეთილი ნება ისტორიის საჭეს სწორედ ამ მცირერიცხოვანთა გეზს უქვემდებარებდა და არა ქაოსის უზომობას და უსახობას!

გადავხედოთ კაცობრიობის დღევანდელ ყოფას. განა ახსოვს რომელიმე საუკუნეს ორი საბედისწერო მსოფლიო ომი, მესამე მსოფლიო ომის ესოდენ რეალური საფრთხე, გამუდმებული შფოთისა და სისხლისღვრის ამდენი კერები?! რას მივაწეროთ დღევანდელი ადამიანის უნუგეშობა, სასოწარკვეთა, გაველურება ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით? რას მივაწეროთ ის, რომ ამ ნიჰილიზმმა, თვითუარყოფამ, ყოველგვარ სულიერ ღირებულებათა იგნორირებამ ფილოსოფიაც კი შექმნა საკუთარი, ათეისტური ეგზისტენციალიზმის სახით, ხოლო ადამიანის პირუტყვული მოთხოვნილებების აბსოლუტიზაციამ, ეკონომიკურ ღირებულებათა განვითარების ქცევამ ადამიანური ცხოვრების ერთადერთ მიზნად — შექმნა თავისი ფილოსოფია მარქსიზმის სახით? რას მივაწეროთ ის, რომ დღეს ბიოლოგიური სრულყოფილებისაკენ სწრაფვა დაუპირისპირდა მორალური სრულყოფისაკენ სწრაფვას, შექმნა იდეოლოგია ბიოლოგიური და რასული უპირატესობისა?

ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ კაცობრიობის მასსა უძლური აღმოჩნდა ამ უმძიმესი დილემის წინაშე. მასსამ დილემის მეორე მხარე აარჩევინეს. ზურგი აქცევინეს ყოველგვარი სულიერი იდეალებისათვის და ამის შედეგად მან ღმერთკაცობის წილ აირჩია გზა მხეცკაცობისა, ბესტიალიზმისა, თუმცა ამ დამღუპველი გზისათვის გამოგონილ იქნა ათასგვარი სახელები „სოციალური პროგრესის“, „ეკონომიკური კეთილდღეობის“, „კაცობრიობის რასული დახვეწისა“ და სხვა.

სიმპტომატურია, რომ ამ ტენდენციებმა უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებს დაასვეს დაღი, თუმცა ლიტერატურა, მეცნიერება და თვით რელიგიაც არ დარჩენილა მათი გამხრწნელი ზეგავლენის კიდეგან. ლიტერატურაში ვულგარული ნატურალიზმი, უხეში სოციოლოგიზმი, ფსიქოანალიზურ ჭუჭყში ქექვა, ფროიდიზმი, რასიზმი, სადიზმისა და ყოველგვარი პათოლოგიის აპოლოგია, ფსევდომოდერნიზმის, „ანტილიტერატურის“ აღმოცენება—აი საგანგაშო მეტასტაზები ამ სენისა. ფილოსოფიასა და მეცნიერებაში ვულგარული მატერიალიზმი და მარქსიზმი, მატერიალისტური დარვინიზმი, ე. წ.

რასისტური ეთნოგრაფია, ტექნოლოგიური პროგრესის იდეალიზაცია, კიბერნეტიკის ცალმხრივი, არასპირიტუალური განვითარება, გენური ინჟინერია, ნუკლეარული ფიზიკის უკონტროლო განვითარება და სხვანი — აი, სავალალო შედეგები ამ სენისა.

ყოველივე ეს პიროვნებაში ქვეცნობიერ პროტესტსა და ამბოხს ბადებს, მიუხედავად ამ პიროვნების განვითარების დონისა, ასაკისა, ინტელექტუალურ-მორალური მონაცემებისა. როგორც ზემოთ ვამბობდით, კაცობრიობის მასსამ ან ვერ აღიქვა, ან — ცნობიერად აქცია ზურგი ზემოხსენებულ მწვავე დილემას. მაგრამ განა იგი ამით განთავისუფლდა ამ დილემისაგან? სწორედ ამის შედეგად იქცა მისთვის ეს დილემა დამღუპველ ძალად, მისი პიროვნების გადამაგვარებელ ფაქტორად, სწორედ ამან გაბატონა მის ცხოვრებაში რთული ქაოსი და ანარქია და აი, ღირსშესანიშნავმა შედეგმაც არ დაიგვიანა. განა შემთხვევითია, რომ სწორედ მეოცე საუკუნეში აღმოცენდა ჰიპებისა და ბიტნიკების მოძრაობა, არნახულად გავრცელდა ნარკომანია, ათასგვარი სახით (დასავლეთის ქვეყნებსა და აზიაში), ალკოჰოლიზმი (საბჭოთა კავშირში), გამრავლდა თვითმკვლელობა, არნახულად გაიზარდა დანაშაული, ტერორიზმი (ესპანეთი, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ორივე ამერიკა), დივერსიებისა და ხანძრებისაკენ მიდრეკილება (საბჭოთა კავშირი), არნახული პათოლოგიური გარყვნილობა (დასავლეთი ევროპა) და სხვა?

სახის ამგვარი დაკარგვა ადამიანის მიერ გახლავთ შედეგი სწორედ იმისა, რომ დღევანდელმა ადამიანმა ვერ ჰპოვა გამოსავალი ამ რთული დილემის წინაშე. მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებში იგი ავლენს ქვეცნობიერ პროტესტს საკუთარი თავის წინააღმდეგ. იგი სასოწარკვეთილია იმით, რომ ვერ ჰპოვა გზა ჭეშმარიტი, რომელიც წილად ხვდა მას დაბადებით, რამეთუ კაცი ყოველი ხატი არს ღვთისა.

დიახ, ყოველი ადამიანი მოწოდებულია იმისაკენ, რომ აირჩიოს პირველი გზა, გზა ღმერთკაცობისა, მაღალი სულიერი იდეალის სამსახურისა, გზა ხალვთო ქალაქის მოქალაქეობისა, სადაც უნდა გამეფდეს სიყვარული, ჭეშმარიტება და სამართლიანობა.

მაგრამ კაცობრიობა გზას ააცდინეს მტრულმა ძალებმა, მცდარმა მსოფლმხედველობებმა, დემაგოგიურმა სოციალურ-პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა, ნაცვლად ამ იდეალისა მას დაუსახეს იდეალი ამსოფლიური კეთილდღეობისა, პრაქტიკული სარგებლიანობისა, სოციალურ-ეკონომიკური „სამოთხისა“. აი, რამ დააბნია იგი და სახე წარეკვეთა ესოდენ ძლიერ!

სოციალიზმის დემაგოგიამ უწინარეს ყოვლისა ყოველი ადამიანის სულის კუნჭულში დაშვებულ პატივმოყვარეობაზე იმოქმედა. თანასწორუფლებიანობის ქველი იდეა მასსას მიაწოდეს იმგვარად, თითქოს ადამიანს დაბადებითვე არ სჭირდებოდეს ინტელექტუალური და მორალური ევოლუცია და, მაგალითად, ყოველ მზარეულს იმთავითვე გააჩნდეს თითქოს სახელმწიფოს მმართველის უნარი და გამოცდილება. ამან დაბადა საოცარი თვითკმაყოფილება და რეალობის გრძნობის დაკარგვა. ადამიანმა თავისი თავი დაინახა მოჩვენებით მწვერვალზე და ამით დაკარგა აღმასვლის ყოველგვარი სურვილი და მოთხოვნილება. თვით უკიდურეს სიღატაკეს შეექმნა ილუზია უკიდურესი სიმდიდრისა. დემაგოგთა ეს ილუზიონიზმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სულიერ გაღატაკებას რომ თავი დავანებოთ, ხორციელად უკიდურესად გაღატაკებულნი თავისთავს უმდიდრესად თვლიან მატერიალური თვალსაზრისითაც კი. თუმც აპათია უფრო გაძლიერდა და ველურმა ინსტინქტებმა უფრო აიშვეს. სოციალიზმმა ადამიანს მისცა მოჩვენებითი და მზამზარეული კაცღმერთობა, რითაც დააკმაყოფილა მისი პატივმოყვარეობა, ხოლო ღმერთკაცობის ნამდვილი გზისკენ სამუდამოდ დაუხშო გზა.

განა ეს დილემა არ სტანჯავდა შავნაღვლიან პრინცს დანიისას, განა მას არ აეჭვებდა შესაძლებლობა უმაღლესთან სპირიტუალური ზიარებისა, საიქიოს რეალობისა, განა იმიტომ არ ჰქენჯნიდა იგი თავისთავს, რომ ამსოფლიური საწუთრო კეთილდღეობის სრულ დათმობას მოითხოვდა მისგან, ვალი მოყვასის წინაშე, ვალი საკუთარი არსებობის გამართლების წინაშე, ვალი სამართლიანი შურისძიების აღსრულებისა? განა ამიტომ არ არჩია მან დროებითი ყოფნა, განა არყოფნისაკენ ნაბიჯი იმპულსურად არ გადადგა სისხლის ღვრის ექსტაზში შესულმა?

განა ამ დილემის სიმწვავემ არ განლია ლამანჩელი რაინდი და ლანდს არ დაამსგავსა იგი, საოცნებო აჩრდილთა სამყაროდან გადმოხვეწილს, ამ ცოდვილ მიწაზე? განა ამ დილემას არ ანაცვალა ფაუსტმა მაგიით მოპოვებული უმაღლესი სპირიტუალური კეთილდღეობა, განა ამიტომ არ დასდო პაქტი სატანასთან, რათა ზიარებოდა საწუთროს წარმავალ ბედნიერებას? განა დონ-ჟუანს საიქიოდან მოვლენილმა კომანდორმა არ შეაცვლევინა გეზი ჩვეული ყოფა-ცხოვრებისა, რომელსაც მანამდის იგი ერთადერთ გამართლებულ გზად სთვლიდა? განა ამ დილემასთან ბრძოლაში არ გადაიჩეხა ფრიდრიხ ნიცშე კაცთმძულვარებისა და ღვთის უარყოფის უფსკრულში? განა ლევ ტოლსტოისათვის ეს მარადიული დილემაც ამსოფლიურად არ გამოიხატა ერთის მხრივ საგრაფო მამულისა და მეორე მხრივ, ოპტინას უდაბნოს სახით? განა ამ დილემას არ გაექცა იგი ოპტინას უდაბნოში? ყოველივე ამის შედეგად განა ცხადი არ არის, რომ ახალი დროის გარიჟრაჟზე ადამიანის განწყობილება და ქმედება სხვაგვარი იყო მარადიული დილემის წინაშე, ვიდრე ძველი ეპოქების კაცთათვის? დავუკვირდეთ ჩვენს თანამედროვეობას და ცხადი გახდება, რომ დღესაც სხვაგვარია სპეციფიკა დილემის წინაშე დგომისა და მისი განცდისა.

შეიქმნა უკიდურესობები პიროვნულ და სამოქალაქო თავისუფლებათა გაგების სფეროშიც.

ერთი მხრივ ტოტალიტარიზმის მიერ ნებადახშული, უხეში ძალადობით გაოგნებული და აპათიაში ჩავარდნილი მასსა, რომელსაც თავისუფლების არა თუ შეგნება, არამედ ინტიმური მოთხოვნილებაც კი არ გააჩნია. დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორის მიერ მონუსხული ბრბოს მსგავსად, თავისუფლებისაკენ სწრაფვას იგი უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ან კიდევ უფრო უარეს რამედ სთვლის. ნურავინ იფიქრებს, რომ მაგალითად, საბჭოთა კავშირში მხოლოდ მმართველ წრეებს დაებადათ იდეა თავისუფლებისმოყვარე ადამიანების სულით ავადმყოფებად გამოცხადებისა. ეს ფსიქოლოგია თავად მასსაში შემუშავდა თავდაპირველად, იმდენად წარმოუდგენელი იყო სახელმწიფო ტერორისა და ტოტალიტარიზმის ხუნდების წინააღმდეგ რაიმე ამბოხი „ჭკუათმყოფელი“ ადამიანებისათვის. სახელმწიფოს მესვეურებმაც კარგად გაუგეს მასსის ამგვარ ფსიქოლოგიას და არ დააგვიანეს ფსიქიატრიული რეპრესიები, რაც საქმით „განამტკიცებს“ მასსაში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ყველა ის, ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის — სულით ავადმყოფია.

მეორე მხრივ დასავლეთში შეიქმნა უკიდურესობანი დემოკრატიული თავისუფლებების სფეროში, მწარმოებლობის სფეროში, რამაც გზა მისცა არა მხოლოდ პიროვნების აღვირახსნილობას, არამედ სოციალურ ქაოსს, იდეოლოგიურ კრიზისს დასავლეთისას, რომელმაც უკვე დაყარა ფარ-ხმალი ტოტალიტარიზმთან იდეოლოგიურ ბრძოლაში და ე. წ. „დეტანტის“ მეშვეობით იმედოვნებს საკუთარი არსებობის სტატუს კვო-ს შენარჩუნებას. საყოველთაო, უსაზღვრო დემოკრატიზმი გამართლებული იქნებოდა მაშინ, კაცობრიობის თითქმის ნახევარი რომ არ იყოს გამომწყვდეული ტოტალიტარიზმის მარწუხებში, იმ ტოტალიტარიზმისა, რომელიც წალეკავს უქადის ცივილიზაციისა და კულტურის ყველა მონაპოვარს. დემოკრატიული სისტემები თავისდაუნებურად ხელს უწყობენ ტოტალიტარიზმის ძლევამოსილ თვითნებობას მთელს მსოფლიოში, რითაც საკუთარი იდეებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმეს ემსახურებიან უნებლიედ. უახლესმა ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ისინი უძლურნი არიან იხსნან კაცობრიობა ამ უმთავრესი სოციალური ბოროტებისაგან. დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის დაპირისპირება საბოლოოა, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა დასავლეთის და აღმოსავლეთისა, ევროპული ჰუმანიტარული ტრადიციებისა ერთი მხრივ და აზიური, თურანულ-მონღოლური ბარბაროსობისა და ტირანიისა მეორე მხრივ, თუმცა ეს უკანასკნელი დღეს ევროპიდან ნასესხები ფილოსოფიური სუროგატით და სოციალური ყალბით ინიღბება. ტოტალიტარიზმს და დიქტატურას უნდა დაუპირისპირდეს სამართლიანი, ახალი ტიპის დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული წყობილება, ვინაიდან დასავლური ტიპის დემოკრატიული წყობილებანი მხოლოდ აძლიერებენ ტოტალიტარიზმს და ძირს უთხრიან საკუთარ თავს.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ მაგალითად, საბჭოთა კავშირის თვით სამხედრო ეკონომიკაც კი დასავლეთის ფინანსებითა და ტექნოლოგიით იკვებება. რაოდენ კეთილშობილური და პრინციპულიც არ უნდა იყოს ისეთი პიროვნების მცდელობა, როგორიცაა პრეზიდენტი კარტერი, მისთვის შეუძლებელი იქნება მოქმედება იმ სისტემის პირობებში, რომელსაც იგი ემსახურება დღეს. კარტერის კეთილშობილური იდეები თუ ასეთივე ქველი და თანმიმდევრული საქმეებით არ განმტკიცდებიან, ამაო დარჩება მისი ღაღადისი ნებამოშლილი დასავლეთის საზოგადოების უდაბნოსა შინა. მთავარი საკითხი კი მაინც ის არის, შესძლებს თუ არა იგი ამ დიდი საქმეების რეალიზაციას თავისი სისტემის პირობებში, თავისი პარტნიორებით გარემოცული? საზოგადოებაში, სადაც Commonuelth-ისა და prosperity-ს გაგებები დღესაც რჩებიან მთავარ ღირებულებებად, განა შეიძლება ადამიანის უფლებათა ესოდენ მაღალ ალტრუისტულ პრინციპებზე ოცნება? რამდენადაც ადამიანის უფლებები თავად გარანტირებული აქვს ამ საზოგადოებას, განა ისურვებს იგი საკუთარი Commonuelth-ისა და prosperity-ს დათმობის ფასად ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაჰყვეს კარტერს სხვათათვის, სრულიად უცხოთათვის ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად? ამრიგად, კარტერი უწინარეს ყოვლისა უნდა ებრძოლოს დასავლეთის სოციალურ ეგოიზმს და თვითკმაყოფილებას, თუ სურს იმ მიზნების მიღწევა, რომელთა თეორიულ დეკლარირებასაც იგი ეწევა.

სხვა საკითხია, რამდენად გაალღვიძებს კარტერი სინდისს თავის მოყვასთა და თანამემამულეთა წიაღში, რამდენად შესძრავს იგი მათ გულებს მსოფლიოში გამეფებული ტირანიისა და უსამართლობის მხილებით. რამდენად ცხადად დაანახებს იგი თავის ერს დღევანდელი დილემის სიმწვავეს, პრაგმატიზმის, პრაქტიკული მატერიალიზმისა და უტილიტარიზმის ჭაობიდან ამოსვლის აუცილებლობას და თუ იგი ამას შესძლებს დღევანდელი ამერიკის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან და ჰუმანისტებთან ერთად, აგრეთვე იქვე მყოფ ემიგრანტ დისიდენტებთან ერთად, კაცობრიობის მომავლის პერსპექტივა აღარ იქნება ესოდენ შავი და უნუგეშო, როგორც დღეს.

●

დღევანდელი ადამიანისათვის მთავარია, რომ მან შეიგნოს დილემის არსი, დილემისა, რომელიც თავად განგებამ წამოუყენა დღეს პიროვნებებსა და ერებს: ან თვითდათმობა იდეალისთვის, საწუთრო კეთილდღეობისა და კომფორტის არად ჩაგდება, მსხვერპლი და თავგანწირვა ჭეშმარიტებისათვის, მოქალაქეობრივი თავდადება, ან მიყოლა ცხოვრების დინებისა, განდგომა ყოველგვარი სულიერი იდეალებისაგან და აპათიისა და დეგრადაციის გზაზე დადგომა. პირველი გამოიწვევს კაცობრიობის სპირიტუალურ და სოციალურ აღორძინებას, მეორე კი ტოტალურ დეჰუმანიზაციას და ქაოსს, რისი აშკარა ნიშნების წინაშეც უკვე ვდგავართ დღეს. ტოტალიტარიზმის სცილასა და აღვირახსნილი „დემოკრატიზმის“ ქარიბდას შორის მშვიდობით გავლა კაცობრიობის მთავარ მიზნად უნდა იქცეს დღეს.

სოციალიზმმა გაბატონა ცრუ იდეალი **ფიზიკური შრომის გმირობისა**, რათა მოესპო გაგება **ჭეშმარიტი გმირობისა**, ადამიანთა მოდგმის სულიერი აღორძინებისათვის ბრძოლის ასპარეზზე. მან მოითხოვა ადამიანისაგან თვითდათმობა **ფიზიკური** შრომის ასპარეზზე, რათა ფარულად დაეგმო ის გმირობა, რომელსაც მოითხოვს სინდისის ხმა ადამიანში. დიახ, სწორედ სინდისის კატეგორიის ნიველირება და უარყოფა საუკეთესო საშუალებაა ადამიანის გამძლე მანქანად ქცევისა, მანქანად, რომელსაც გარედან მართავს სოციალური ნება და არა შინაგანი სულიერი თვითშეგნება.

სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასსა, მაგრამ მან ვერ შეძლო ერთეულ, გამორჩეულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია. ამ პიროვნებებმა შეინარჩუნეს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, შეინარჩუნეს ნათელი თვალთახედვა გარემო მოვლენებზე, მათი დეზორიენტაცია ვერ შეძლო თვით დახვეწილმა დემაგოგიამაც კი. აქედან გამომდინარე, ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში მაინც არსებობს ინტელიგენცია, თუმც არც თუ ისე შორეულ წარსულში ადგილი ჰქონდა მისი საყოველთაო ფიზიკური განადგურების ცდებს. და აი, სწორედ, ამ ინტელიგენციას დასჭირდა ყველა ფენებზე მეტი პასუხისმგებლობა დილემის წინაშე, ვინაიდან იგი გაბრუებული და დეზორიენტირებული მასების მსგავსად ველარ იტყვის, რომ ვერ ხედავს ან არ ხედავს დილემას, ინტელიგენცია, თუნდაც სოლჟენიცინისეული „ობრაზოვანშჩინა“, თვით ე. წ. „პარტიული“ ე. ი. „კომუნისტური ინტელიგენცია“ აშკარად ხედავს ამ დილემას, ვინაიდან მის დანახვას დღეს აღარ სჭირდება არც ფრიდრიხ ნიცშესეული ინტუიცია, არც ილია ჭავჭავაძისეული ან ტოლსტოისეული მორალური პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება.

ამრიგად, თანამედროვე დემოკრატიის უძლურებისა და კრიზისის მთავარი მომენტი იმაში გამოიხატება, რომ იგი თავადვე კვებავს იმ ურჩხულს, რომელმაც საბოლოოდ უნდა შთანთქას იგი. (არსებობს ლენინისეული თეზა: „კაპიტალიზმი თავადვე მოგვყიდის თავისსავე ჩამოსახრჩობ თოკს“).

და აი, ამ დილემის დამნახველი ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს გზას მარტვილობისას, თვითდათმობისას, უთანასწორო ბრძოლისას ციხეებისა და ფსიქიატრიული საავადმყოფოების ჰანგებით აღჭურვილ ურჩხულთან. ეს გასაგებიცაა. უფრო იოლია თვალის დახუჭვა, საკუთარი პოზიციის გამართლება „კეთილგონიერებით“, „შორსმჭვრეტელობით“, ან თუნდაც დევიზით: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან“. უფრო მეტიც, ოპორტუნისტულად განწყობილი ინტელიგენცია დღეს ინიღბება „გონივრული ოპოზიციის“ ნიღბით, ვითომდაც ბრძოლის უფრო ეფექტური საშუალებით, ვიდრე „ქედლისთვის თავის შებლაა“. ამიტომ გამრავლდა ჩვენში „მინიშნებითი, წამყოფითი ლიტერატურა“, ყველასათვის უჩინარი და შეუმჩნეველი „დაპირისპირება“ რეჟიმის უსამართლობასთან, და ა. შ. თუმც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას თვით ტოტალიტარული ხელისუფლება ზოგჯერ ფარულად ხელსაც უწყობს, რათა შექმნას ილუზია „სიტყვის თავისუფლებისა“, „ლიბერალიზაციისა“, რათა ხალხში აღძრას სურვილი ოპოზიციური ჟინის მოკვლისა იმგვარად ნათქვამი და უმისამართო გამოხდომებით, რომელიც ვილაც ვილაცეების მიხედვით „რეჟიმის წინააღმდეგ არიან მიმართულნი“. ეს უფრო ეფექტური საშუალებაა დისიდენტურ გამოსვლებთან ბრძოლისა, ვიდრე უხეში ადმინისტრირება, ან პირდაპირი რეპრესია ნამდვილი ოპოზიციონერებისა. დისიდენტების დისკრედიტაცია, როგორც „უტაქტო“, „დიპლომატიას მოკლებული ადამიანებისა“, ან ფრთხილი შეფასება, როგორც „ოდნავ ჭკუაზე გადამცდარი ხალხისა“. ზემოხსენებულ „ბრძენ ოპოზიციონერთაგან“ განსხვავებით, იგი რეჟიმის მიზნებს საუკეთესოდ ემსახურება, ვინაიდან რეჟიმი კვლავ განაგრძობს განმტკიცებას, ხოლო ოპოზიციური ვნებები, რომელნიც უფრო და უფრო იზრდება ხალხში, ამგვარი სათამაშო თოფების სროლით კმაყოფილდებიან. ბოლოს იქმნება ილუზია „დემოკრატიული საზოგადოებისა“, სადაც ნამდვილი დისიდენტები რეალობის გრძნობას მოწყვეტილი ხორცმეტნი ან „დემაგოგი, ავისმჩხრეკელი ნაძირალები“ არიან, ხოლო სუკ-ის აგენტები — „ჭეშმარიტ ინტელიგენციას“ წარმოადგენენ.

ისევე როგორც, მაგალითად, იაპონიის საწარმოს ხელისუფალთ ურჩევნიათ დადგან ქარხნის კარებთან რეზინის ქანდაკება მუშებისათვის საძულველი მექარხნისა, რომელსაც ყოველი მუშა ურტყამს თავში, ვიდრე მოხდეს ნამდვილი გაფიცვები, ასევე ურჩევნია საბჭოთა რეჟიმს მოჩვენებითი, აღვირამოდებული ოპოზიციის არსებობა ჭეშმარიტი ოპოზიციისთვის დასაპირისპირებლად. აი, ფარისევლური არსი ფსევდო-ოპოზიციისა ტოტალიტარულ ქვეყნებში (თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ტოტალიტარული ცენზურა ზომებს ვერ იცავს ჯეროვნად, ზოგჯერ მასაც ღალატობს ალღო და სათანადო ზღვარს ვერ უწესებს თავის მიერვე სტიმულირებულ ფსევდო ოპოზიციურ გამოხდომებს, რის შედეგადაც ხშირად მათი ხელით უნტერ-ოფიცრის ცოლივით საკუთარ თავს გაიროზგავს ხოლმე). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს მოვლენა მაინც ფრიად საგანგაშოა ტოტალიტარიზმისათვის, და მის კრიზისს მოასწავებს შინაპოლიტიკურ ფრონტზე, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს რეჟიმისათვის არასასურველი შედეგები. საერთოდ დემოკრატიული სისტემების შინაპოლიტიკურ სტაბილურობას უპირისპირდება მათი საგარეო პოლიტიკური და სამხედრო არასტაბილურობა, ხოლო ტოტალიტარულ ქვეყნებში პირიქითაა საქმე: **შინაპოლიტიკური არასტაბილურობა სულ უფრო და უფრო საცნაური ხდება, მაშინ, როდესაც** საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით მათი ექსპანსიონიზმი და გარეგანი ძლიერება ყველასათვის თვალსაჩინოა.

რაც შეეხება კაპიტალიზმს, იგი ყოველგვარი თეორიისა და დემაგოგიური ქადაგების გარეშე, პრაქტიკულად ნერგავს კულტს სიმდიდრისა და კომფორტისას, ამსოფლიური კეთილდღეობისას, რითაც უნებლიედ, მაგრამ მაინც მტრობს კაცობრიობის მაღალ იდეალებს, ადამიანში აჩლუნგებს წყურვილს თავგანწირვისას, მსხვერპლის გაღებისას, ავითარებს ეგოიზმს, ანგარებას და პატივმოყვარეობას. კაპიტალისტთა შორის მრავალთ ურჩევნიათ არაფრით დაზარალდეს მათი ბიზნესი, მწარმოებლური ინტერესები, ვიდრე ამის ფასად გადადგან თუნდაც ერთი მორალური ნაბიჯი, გაიღონ მცირე მსხვერპლი მაინც, ზნეობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე. პრეზიდენტი კარტერი, როგორც აღმზრდელი, სწორედ ამ სფეროზე ზეგავლენით თუ შეეხება, აქ გამოჩნდება მისი ავტორიტეტის ძალა, შთაგონების უნარი, მან უნდა გარდაქმნას კაპიტალის მსახურნი თავისუფლების იდეის მსახურებად, კაპიტალი უნდა გახდეს ხელშემწყობი კაცობრიობის ზნეობრივი გარდაქმნისა.

ასე რომ, კაპიტალიზმის ქვეყნებში ადამიანებმა უნდა დათმონ სნობიზმი, კომფორტის სიყვარული, მოგებისა და სარგებლობის კულტი, სოციალისტურ ქვეყნებში კი ადამიანებმა უნდა დათმონ შიში, ვიწროეგოისტური კარჩაკეტილობა, ასოციალურობა, მოქალაქეობრივი დეზერტირობა, ფილისტერული თვითკმაყოფილება და, აგრეთვე, თვითმოტყუება ფსევდოოპოზიციონერობით.

შენ დაბრძანდები დიდი ქალაქის ქუჩებში, სარგებლობ კომფორტით, მსახურობ, საზღვარგარეთ დაბრძანდები, მეგობართა ვიწრო წრეში ოპოზიციურად ყბედობ, სიტყვით გმირი ხარ, საქმით კი ყოველნაირად თავს არიდებ სიმართლისთვის ომს, რომელსაც აწარმოებენ შენი მოყვასნი, ნიადაგ ციხისა და სიკვდილის საფრთხის

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

ქვეშ მდგომნი. შენ არად გენაღვლება ციხეებში და ბანაკებში ჩაყრილი ადამიანების ბედი, რომელთაც ნელი წამებით კლავენ, აავადებენ, შენ მათზე ფიქრსაც კი თავს არიდებ, შენ განდევნე ისინი შენი ცნობიერების ველიდან, ისინი შენთვის „არაპიროვნებანი" არიან, როგორც ეს ორუელის ცნობილ რომანში ხდება, ამით კი თავად შენ ხდები არაპიროვნება, ამით შენ ხდები ფიტული კაცია, ხნობი ხნობთა შორის, უბედობის ხენით დაავადებული, თანდათან შენი ცხოვრების წესი უთუოდ მიგიყვანს დეგრადაციამდე, ამორალიზმამდე, შესაძლოა ბოლოს შენ შეიძულო შენი მოყვასი, რომელიც თავს სწირავს სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლაში, შენ მისთვის იწყებ ათასგვარი ატრიბუტების გამოგონებას „უცნაური", „დონ-კიხოტი", „პოზიორი", მის წვრილმან ნაკლში ქექავ, მის კრიტიკას, მოკლედ, გსურს დაასაბუთო შენი გზის სისწორე, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავხარ.

სამწუხაროა, მაგრამ ამგვარ გზას დღეს ჩვენში უპრინციპო ან უმსოფლმხედველობო ხალხი როდი მიჰყვება მხოლოდ. აქა-იქ „ქრისტიანთა" ხმებიც გაისმის, კვიეტიზმის მქადაგებელთა, ისინი გმობენ ხმის ყოველგვარ ამაღლებას ბოროტების წინააღმდეგ. ეს სიტყვით ქრისტიანები, ხოლო საქმით გაიძვერა ფარისევლები ხალვთო წერილსაც კი იშველიებენ თავიანთი სილაჩრისა და სულიერი სიბერწის გასამართლებლად, თან ავიწყდებათ უზენაესი ცოცხალი მაგალითი სალვთო წერილისა, იესო ქრისტე, რომელიც ადამიანთა მოდგმის ხსნისათვის, სიმართლისა და სიქველის იდეალებისათვის, ბოროტების მხილებისათვის ჯვარს ეცვა, ამ ადამიანებს კი ჯვარცმა უკიდიათ ხშირად თავიანთ ოჯახში მოოქროვილი, ვითარცა კედლის სამკაული, ხოლო თავად არ სურთ ეცვან ჯვარს, ასეთ „ქრისტიანებს", ჭეშმარიტად, ათეისტები სჯობიან, რომელნიც ადამიანის ღირსებისა და უფლებებისათვის იბრძვიან უშიშრად. ამ ათეისტებმა მართალია სრულად ვერ გააცნობიერეს დიდი ღვთაებრივი საიდუმლოება, რომ მისი სახელი ღვთისაა, მაგრამ იგრძნეს იგი ესოდენ ძალუმად, რომ მათი ცხოვრება მთლიანად გარდაიქმნა, მათი ნებელობა ღვთის სამსახურში ჩადგა; ისინი დიდი გულისა და შეგრძნების ადამიანები არიან, რომელნიც ხშირად სალვთო გზასაც პოულობენ ზოლმე თავიანთი მაღალი იდეალის სამსახურში, ან იმ ცხოვრებისეული ტანჯვის შედეგად, რომელიც გარდაუვალი ხდება მათთვის ამ გზაზე. სიმართლისათვის თავდადებამ არ შეიძლება არ მიგვიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყაროსთან, ღმერთამდე.

1977 წელი.

P. S. „დილემა კაცობრიობის წინაშე" თავის ავტორთან ერთად დააპატიმრეს 1977 წლის 7 აპრილს, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან მხოლოდ 1991 წლის იანვარში. ვფიქრობ, მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და თუ ეს ასე არ არის, მაშინ კულტურულ-ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით მაინც იქნება საინტერესო ჩემი იმჟამინდელი ნაფიქრ-ნატანჯი.

ზ. გამსახურდია

# ყველაფერი რომ ნათელი იყოს

## ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი, პროფესორი სოსო სიგუა

**კორესპონდენტი:** ბატონო სოსო, ზოგიერთს შეიძლება უჩვეულოდაც მოეჩვენოს, რედაქტორის ინტერვიუ თავისსავე გაზეთში... მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს სრულიად ბუნებრივია. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გამოვიდეთ დადგენილი სტერეოტიპებიდან. რაც გუშინ შეიძლება უხერხულად ჟღერდა, დღეს მისი თქმა ან გაკეთება აუცილებელია. თანაც, გულახდილობას რა სჯობს... რა საჭიროა, ყალბი თავმდაბლობის თამაში, თუკი მხოლოდ საქმეზე, გაზეთზე და მის ამოცანებზე გვექნება მცირე საუბარი? ამიტომ გთხოვთ, ყველაფერი რომ ამთავითვე ნათელი იყოს, მკითხველებს ზოგი რამ გავუმხილოთ „სარედაქციო საიდუმლოებიდან", თქვენ ახლახან ჩაუდექით სათავეში „ლიტერატურულ საქართველოს". ვიცით, კარგად მოგეხსენებათ, გაზეთის მთელი ისტორია, წარსული და ის შოლვაწენიც, რომელნიც წლების მანძილზე მის შემოქმედებით სახეს ქმნიდნენ. მაგრამ ყოველ ახალ რედაქტორს, და ეს მარტო ბუნებრივი კი არა, აუცილებელიცაა, გაზეთისადმი თავისი დამოკიდებულება, თავისი თვალსაზრისი აქვს. პირველ ყოვლისა, როგორ წარმოგიდგენიათ ზოგადად გაზეთის მიმართულება და ლიტერატურული სახე?

— მოგეხსენებათ, წელს, ნოემბერში, სრულდება „ლიტერატურული საქართველოს" დაარსების 60 წელი. ამ ხნის მანძილზე გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მრავალი შესანიშნავი ლექსი და ნოველა, ესსე და პუბლიცისტური სტატია. მაგრამ დაიბეჭდა არაერთი პასკვილი და საბედისწერო განაჩენიც. ბოლო წლებში დიდად გაიზარდა გაზეთის ტირაჟი და პოპულარობა. ეს ძირითადად მოხდა პუბლიცისტიკის მეშვეობით, დროის მოთხოვნათა შესაბამისად. ჩვენ პუბლიცისტიკას კვლავაც შევინარჩუნებთ, მაგრამ გვინდა „ლიტერატურული საქართველო" იყოს, პირველ ყოვლისა, მწერალთა გაზეთი, მეტი ადგილი დაეთმოს ლექსს, მოთხრობას, ესსეს, კრიტიკულ განხჯას. გაზეთმა უნდა დაამკვიდროს ლიტერატურული სიახლენი, მისცეს გეზი და მიმართულება მახების გემოვნებას, გააერთიანოს ყველა ასაკისა და თაობის მწერლები, მიუხედავად მათი ლიტერატურული თვალსაზრისისა.

**კორესპონდენტი:** დიახ, წლების მანძილზე, გაზეთი ჭეშმარიტად ლიტერატურული იყო, — თავისი პოზიციით, ქართული ლიტერატურული ცხოვრებისადმი მეტნაკლებად აქტიური დამოკიდებულებით. გულახდილად ვთქვათ, ეს იყო ჰუმანიტარული საზოგადოების გაზეთი. დრო და დრო კი გაზეთში იჩქმალებოდა ლიტერატურა და წინ უფრო მეტად იწევდა პუბლიცისტიკა. ცხადია, პუბლიცისტიკა გაზეთს სჭირდება, მაგრამ ეს, ალბათ, სუფთა ლიტერატურის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. გააგრძელებთ თუ არა, ასე ვთქვათ, ტრადიციულ, დიდი ხნიდან მომდინარე და ნაცად „ლიტერატურულ გზას?"

— პუბლიცისტიკის წამოწევა სიტუაციამ, ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა. რედაქციამ სწორად იგრძნო დროის რიტმი და გამოხცა პუბლიცისტიკის ენით. მაგრამ ლიტერატურაში მთავარი ლიტერატურული აზროვნებაა. ახალი ეროვნული იდეები ჭერჭერობით ვერ მოექცა მხატვრული სიტყვის სამოსელში შეიძლება ითქვას, ინფორმაციის სიჭარბე დამაბნეველიც აღმოჩნდა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ლიტერატურაში აღდგეს ძირის პათოსი. მწერლობის მახეში გასატანად, გაზეთის პოპულარობის შესანარჩუნებლად, უნდა შევძლოთ, მხატვრული აზრისა და მებრძოლი პუბლიცისტიკის ბალანსირება, ვაჩვენოთ თანამედროვე ქართველი მოქალაქე, თავისი იდეალებით, სატკივარით, ყოველდღიური ყოფითი რეალიებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ახალგაზრდობას, ახალი ავტორების წამოწევას, რომელთა სულს არ შეხებია ე. წ. „სოციალისტური რეალიზმის" შხამი.

**კორესპონდენტი:** დღეს საზოგადოება უაღრესად პოლიტიზებულია. პოლიტიკას ვერც ჩვენ ავცდებით და არც უნდა ავცდეთ. საღი პოლიტიკისადმი მხარდაჭერა ხომ იგივე ეროვნული პრობლემებისადმი მარდაჭერაა, როგორი ფორმით გესახებათ პოლიტიკის და ლიტერატურული გაზეთის ურთიერთობა?

— ყველა დროში დიდი ლიტერატურა პოლიტიკისაგან განუყრელი იყო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მწერალი პოლიტიკოსად იქცეს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, მწერალთა ერთი ნაწილის პოლიტიკით გატაცებამ შეანელა მათი მწერლური აქტივობა, პოლიტიკას კი ვერაფერი შემატა. ისიც ცხადია, რომ, როდესაც, ეროვნულმა მოძრაობა მასობრივ სახეს იძენდა, აუცილებელი იყო ყველა ჩვენთაგანის მონაწილეობა.

როცა ქვეყანა ზანზარებს, ყველანი გარეთ ვიყურებით. ხოლო ხელოვნებას ქმნის შიგნით ჩაბრუნებული მზერა, ფიქრი და ოცნება, ტანჯვა და მარტოობა. მაგრამ ქართველ მწერალს არასოდეს ეცალა წმინდა ხელოვნებისათვის — ის ჯარისკაციც უნდა ყოფილიყო. ამიტომ აქციეს დიდმა მწერლებმა ეროვნული იდეოლოგია შემოქმედების საფუძვლად. გავიხსენოთ — გალაკტიონ ტაბიძე — „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული", კონსტანტინე გამსახურდია — „ჩვენი საქართველო ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს ან და არავის".

დღეს მთავარია აღმშენებლობა, შექმნა და დამკვიდრება, ეროვნული იდეების პრაქტიკული რეალიზება როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. გაზეთი ეცდება, კვლავაც გააშუქოს პოლიტიკის, რელიგიის, ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები, მაგრამ მწერლური თვალთახედვით, იმ ეროვნული მრწამსის, დოქტრინის, რომელიც სათავეს იღებს საუკუნეთა სიღრმიდან და რომლის გამომხატველია რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი და თავად მწერალი ბატონი ზვიად გამსახურდია.

ვინაიდან „ლიტერატურული საქართველო" არის მწერალთა გაზეთი, მწერალთა კავშირის გაზეთი, საჭიროდ არ მიმაჩნია დავბეჭდოთ პოლიტიკური პარტიების განცხადებანი, მიმართვები, პოლემიკური სტატიები.

**კორესპონდენტი:** დასამალი არ არის, რომ ბოლო ხანს, განსაკუთრებით მომრავლდა ლექსის მწერალი. ესეც, ალბათ, დრომ მოიტანა, მაგრამ აშკარად დადაბლდა მხატვრული კრიტერიუმები, შემცირდა მომთხოვნელობა. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება თითქმის ყველაფერი, რაც კი პროფესიონალების და არაპროფესიონალების მიერ იწერება. უფრო მეტიც, მომძლავრებული და გათამამებული ავტორები თუ წინათ სპეკულაციას აქტუალური პარტიული თემებით ეწეოდნენ, დღეს, ლექსის გამოქვეყნებას მხოლოდ იმ საბაბითაც კი მოითხოვენ, რომ მასში ნახსენებია სანთელი, უფალი, მამული და სხვა. მათ ავიწყდებათ, რომ სწორედ ამ სათუთ თემებზე უნდა იწერებოდეს გაიოლებული კი არა, ჭეშმარიტი ლექსი.

ალბათ, იდეალური „ლიტერატურული საქართველო" ის იქნება, როცა მის ფურცლებზე გამოქვეყნება ლექსის, მოთხრობის თუ ესსეისა, პრესტიჟულ საქმედ იქცევა. აქ დაბეჭდვა მწერლის (განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლის) თითქმის აღიარების ტოლფასი უნდა იყოს.

— პრესის თავისუფლება ერთის მხრივ, თუ ნიჭიერ მწერალს აძლევს გამოვლენის მაქსიმალურ საშუალებას, მეორეს მხრივ, გზას უხსნის მდარე ღირსების ლიტერატურას. ეს საერთო მოვლენა ყოფილა და ვერც ჩვენ გავექცევით. ამგვარი მწერლობის მოძალებას არაფერი დაუკლია ევროპული თუ ამერიკული ლიტერატურებისათვის. ახეთი ბუმი, ძველ ღირებულებათა დამხობა, დროებით არის დამაბნეველი. შემდეგ მდინარება დაიწმინდება, გამოჩნდებიან განათლებული ლიტერატორები და ისინი დაამკვიდრებენ შედევრებს ერის მეხსიერებაში. მაგრამ მხოლოდ თვითდინების იმედად ვერ ვიქნებით, მომავალს ვერ დაველოდებით, უნდა შეიქმნას ინტელექტუალური ბაზისი, შემოქმედებითი ატმოსფერო ახალი ტალანტების მოსავლენად.

**კორესპონდენტი:** ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში თითქმის ჩაკვდა კრიტიკა. დღეს ფაქტიურად არავის მხატვრულ უმწეობას არ ამხელენ. მომძლავრდა პანეგირიკი, და, რაც ყველაზე უფრო საშინელია, დაუფარავი ლანძღვა-გინება, გესლიანი, ღვარძლიანი, შეურაცხმყოფელი ტონი. დაირღვა კამათის ელემენტარული ეთიკა. ვისაც რა სურს, იმას გიწოდებს და დაგაბრალებს. იქნებ, ორიოდე სიტყვა გვითხრათ კრიტიკაზე, და მის ადგილზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე?

— ჩემის აზრით, კრიტიკა ანემიური ვერ იქნება. ის უნდა იყოს მწვავე, მკაცრი და პროფესიული, შეეძლოს აუდიტორიის გულისყურის მიზიდვა და დამორჩილება. მაგრამ ცილისწამება და უხამსობა, რაც ხშირად მოსდევს ამგვარ აზარტულ მსჯელობას, ამხელს ავტორის ინტელექტუალურ სიმწირეს. საჭიროა დიდი შინაგანი კულტურა, რათა წონასწორობა არ დაირღვეს, რათა გვახსოვდეს ადამიანი და აზროვნების ორიენტირი.

უნდა გაგრძელდეს თანამედროვე მწერლობის გადაფასება. ეს პროცესი მტკივნეულია, მაგრამ გარდაუვალი. ზოგმა თავად თქვა უარი თავისი ნაწერების ნაწილზე, ზოგიც — ჯიუტად ებღაუჭება ძველ პოზიციას. გამოჩნდნენ ახალი, აქამდე მივიწყებული, აკრძალული ან უარყოფილი სახელები. მიუკერძოებლად უნდა განსხვავდეს — რა იყო ყალბი და რა იყო ჭეშმარიტი ჩვენს მწერლობაში. უკვე დაიწყო დახურული არქივების შესწავლა, რამაც შეიძლება ესა თუ ის ავტორი ჩვენთვის უცნობი კუთხით დაგვანახოს. ოღონდ არ არის საჭირო ნიშნის მოგება და ანგარიშსწორება.

**კორესპონდენტი:** მიუხედავად საინფორმაციო საშუალებების თავისუფლებისა, ჩვენს მკითხველებს ძალზე მცირე წარმოდგენას ვუქმნით თანამედროვე უცხოეთის ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ვერ ვაწვდით ახალი ნაწარმოებების თარგმანებს. ვერ ვაუწყებთ იმ სიახლეებს, რაც უცხოეთში ხდება. ხომ არ გეჩვენებათ, აუცილებლად უცხოეთის ჟურნალისტიკასთან კონტაქტების გაღრმავება, რათა ქართველმა მკითხველმა კარგად გაიგოს, რა ხდება იქ, და რაც მთავარია, ქართული კულტურა უფრო ფართოდ გავიტანოთ საქართველოს გარეთ?

— საერთოდ, ყველა გონიერი ერი გაივლის იმ გზას, რაც განვლო დასავლეთ ევროპამ. სავსებით ზედმეტია ექსპერიმენტების სერია. ამგვარმა ექსპერიმენტებმა, დაპირისპირებამ, ევროპული კულტურის უარყოფამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა რუსეთი. მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტს — ათიანი წლებიდან მოყოლებული, ქართული მწერლობა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, უარყოფდა რუსულ გზას. თვით ცისფერყანწელებიც კი, განადიდებდნენ იმ თავის კოლეგებს, რომელთა შემოქმედება დასავლეთის ძირებიდან იკვებებოდა. ეს იყო სტიქიური სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. ევროპული კულტურა (ძველ საქართველოსთან ერთად) გახდა რუსული ექსპანსიის შემაკავებელი ბარიერი. მე ვერ დავასახელებ ბოლო ოცწლეულის რომელიმე ქართველ მწერალს, რუსული პოეზიის ან პროზის გავლენით რომ ეწეროს, თუნდაც კომუნისტური პარტიის მეხოტბე ყოფილიყო. და კიდევ, — სალიტერატურო ქართული სწრაფად ითვისებს რომანული და გერმანიკული ძირის სიტყვებს, მაგრამ არ ლებულობს რუსულ ლექსიკას. ამიტომ, აქვს პრინციპული მნიშვნელობა შემოქმედებითი კონტაქტების აღდგენას დასავლეთთან, რაც ბოლშევიკებმა მაუზერით და მახვილით გაწყვიტეს.

ქართულ კულტურას უცხოეთი სრულად აღიარებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო მსოფლიოს თავისუფალ ერთა შორის ჩადგება. დამოუკიდებელი სახელმწიფოს უქონლობა ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენი დიდი მწერლებისთვის. მათი პოპულარობის და ზეგავლენის არე მეტისმეტად შეიზღუდა. ეს მაშინ, როცა მეცნიერულადაა დასაბუთებული ქართველური სამყაროსა და ქართული კულტურის განსაკუთრებული მისია. გაზეთმა ამ თვალსაზრისითაც უნდა გასწიოს პროპაგანდა.

**კორესპონდენტი:** ერთ პრაქტიკულ საკითხზეც გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელსაც, ერთი შეხედვით, შეიძლება არც ჰქონდეს კავშირი შემოქმედებასთან. დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის, სიძვირისა და ინფლაციის გამო, „ლიტერატურული საქართველოს" დაწესებული ჰონორარი (ერთი ნომერი 2000 მანეთი) თითქმის მიზერული გახდა. იქნებ, შეძლოს რედაქციამ ამ ჰონორარის გაორმაგება, მით უფრო, რომ „ლიტერატურული საქართველო" საკუთარ სამეურნეო ანგარიშზეა და დოტაციას არავისგან თხოულობს.

— ესეც საგულისხმოა, მე ვფიქრობ, რომ ყოველ შემთხვევაში, შემოქმედებით მხარესაც სასიკეთოდ წაადგება. რაც შეეხება შესაძლებლობას, უკვე ამ ნომრიდან ვაორმაგებთ ჰონორარს.

**კორესპონდენტი:** დაბოლოს, ერთი კითხვა: მომძლავრდა ე. წ. „ხვავიანი წერა". არავის, სურს, ან არ შეუძლია პატარა, ლაკონური ფორმით ლამაზი და დახვეწილი მასალის წარმოდგენა. ცოტა ხომ არ შეგვემცირებინა, ფართობი ზომაზე მეტად დიდი წერილებისათვის? ცოტა უფრო მომჭირნედ ხომ არ გამოვიყენოთ გაზეთის ფურცლები? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თვით გაზეთის შინაარსისა და ფორმის მრავალფეროვნებას შეუწყობს ხელს?

— გეთანხმებით, ვრცელი გამოკვლევების ბეჭდვა გაზეთში სასურველად არ მიმაჩნია. მითუმეტეს, რომ ვერ ვაშუქებთ მწერალთა კავშირის მუშაობას, მკითხველი ვერ იგებს, რა კეთდება სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, გორში. მწერლებს ვერ ვაწვდით მათთვის სასურველ ინფორმაციას, თუ რა ხდება რუსეთის, ევროპის, ამერიკის კულტურულ ცენტრებში, რა ახალი ტენდენციები დაისახა ლიტერატურამ, რა უარყო და ჩამოაცილა დრომ.

მხოლოდ ყველა თაობის მწერალთა თანადგომით, ინტელექტუალურ ძალთა მობილიზებით, შეძლებს ჩვენი გაზეთი, იყოს თავისუფალი საქართველოს ღირსეული მეხოტბე.

# ქართული ანთროპონიმიული მოდელის შესახებ

როლანდ თოფჩიშვილი

უკანასკნელ ხანს ჩვენს პრესაში გამოჩნდა რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორებიც მოითხოვდნენ დღევანდელი ქართული ანთროპონიმიული მოდელიდან მამის სახელის ამოღებას, როგორც უცხოს, ზედმეტ ელემენტს და გარედან თავს მოხვეულს. ვფიქრობთ, ხანამ ასეთ ნაბიჯს გადავდგამთ, საკითხი სრულყოფილად უნდა შევისწავლოთ და მხოლოდ შემდეგ გამოვიტანოთ განსახჯელად.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართული ანთროპონიმიული მოდელი დღეს სამწევრიანია. იგი შედგება სახელის, მამის სახელისა და გვარსახელისაგან. საბჭოთა იმპერიაში მცხოვრები ყველა ხალხი დღეს ამ ანთროპონიმიულ სისტემაშია ჩამჯდარი, მიუხედავად იმისა, საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ კულტურის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხებს რა მოდელი ჰქონდათ. ამას რომ ვამბობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სულ ახლახან ბევრი ხალხისათვის გვარსახელი მთლად უცნობი იყო. საამისოდ რაფიკ ნიშანოვიჩ ნიშანოვისა და ჰეიდარ ალიევიჩ ალიევის მაგალითებიც იკმარებს. საქმეში ჩაუხედავიც კი მიხვდება, რომ ამხანაგ რაფიკისა და ჰეიდარის მამებს გვარები არ ჰქონდათ და მხოლოდ მათ დაბადების შემდეგ, მამის სახელები გვარსახელებად უქცევს.

როდესაც ანთროპონიმიული მოდელისა და, კერძოდ, გვარსახელების შესახებ ვსაუბრობთ, არამც და არამც არ იგულისხმება ის, რომ ამა თუ იმ ერს აგერ ცოტა ხნის წინ გვარსახელები თუ არ ჰქონდა, ისინი კულტურის დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. სანამ ქართული ანთროპონიმიული მოდელის შესახებ ვიტყოდეთ რამეს, იქნებ გადავხედოთ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ანალოგიურ მოდელებს.

საერთოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ საკუთარ სახელთა სისტემებს განაპირობებდა სოციალური განვითარების განსხვავებულობა და განსხვავებულობა ენათა სისტემებს შორის. ანთროპონიმიული მოდელების, მასში შემავალი წევრების მიხედვით, კლასიფიკაციის ავტორია ცნობილი პოლონელი ლინგვისტი თადეუშ მილევსკი. არსებობს ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ. ანთროპონიმიული მოდელები. მაგრამ, ხაზგასასმელია, რომ საკუთარ სახელთა ამ სისტემით დაყოფა მაინც პირობითია და ამომწურავი არ არის, რადგან, მაგალითად, სამწევრიანია „ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვი“ და „იოჰან ვოლფგანგ გოეთე“. პირველი მათგანი თუ მოიცავს სახელს, მამის სახელსა და გვარსახელს, მეორე მათგანი შედგენილია ორი სახელისა და გვარსახელისაგან. გერმანულსა და ფრანგულ ყოფაში შეიძლება არაიშვიათად შეგვხვდეს ოთხწევრიანი ანთროპონიმიული მოდელიც, რომელშიც პირველი სამი მხოლოდ სახელია. აღნიშნული კულტურულ-ენობრივი სამყაროსათვის საკუთარ სახელთა მოდელში მამის სახელი უცნობია. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ევროპაში არის ერთადერთი ხალხი, ისლანდიელები, რომლებსაც გვარსახელი არ გააჩნიათ და აქ, ჩვეულებრივ, გაბატონებულია, რა თქმა უნდა, ორწევრიანი მოდელი სახელისა და მამის სახელის ერთობლიობით. დღევანდელისაგან განსხვავებით, ორწევრიანი (სახელი+მამის სახელი) იყო ცოტა ხნის წინ რუსული ანთროპონიმიული მოდელიც. ცნობილია, რომ რუსეთში მოსახლეობის ფართო მასებს გვარსახელები არა ჰქონდათ XIX ს.-ის 60-იან წლებამდე. რაც შეეხება პრივილეგირებულ ფენებს, რუსეთში გვარსახელი მათ უფრო ადრე პეტრე დიდმა დაუკანონა. ამდენად „ივანოვ“ თავდაპირველად იყო არა გვარი, არამედ მამის სახელი. იწერებოდა „ივანოვ სინ“, ე. ი. ივანეს შვილი. ვასილ ივანოვის შვილი იყო ანდრია ვასილიევი და არა ანდრია ივანოვი.

არა ჰქონდათ გვარსახელები ისეთ კულტურულ ერს, როგორებიც არიან ჩვენი მეზობელი სომხები. სომხებში გვარსახელები მხოლოდ XIX ს-ის II ნახევარში გაჩნდა. ამ მხრივ გამონაკლისი როდი იყვნენ საქართველოში განსახლებული სომხებიც. ქვემო ქართლში მოსახლე სომხებსა და გრიგორიანელ ქართველებს ისიც განასხვავებდა, რომ პირველებს გვარები არ ჰქონდათ. მეორეთ — კი. მაგალითად, 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერაში სომხები მხოლოდ სახელებით არიან ჩაწერილი, ქართველი გრიგორიანელები სახელითა და გვარსახელით. XIX ს.-ის კამერალური აღწერის დავთარში აღნიშნულის დამადასტურებელ არაერთ მაგალითს შეხვდება მკვლევარი, მაგალითად, ავიღოთ სიღნაღის 1859 წლის აღწერა. აღწერის დავთარში შეტანილი არიან მამრობითი სქესისანი, პირველ რიგში ოჯახის უფროსი, შემდეგ შვილები. ოჯახის უფროსი ვინმე „არუთინ პოლოსოვი“ გარდაიცვალა, რის შემდეგაც ოჯახის უფროსი — არუთინ პოლოსოვი წითელი მელნით გადაუხაზავთ და ოჯახის უფროსად ჩაუწერიათ მისი უფროსი ვაჟი პეტროსი, მაგრამ არა როგორც პეტროს პოლოსოვი, არამედ ასე: პეტროს არუთინოვი. მსგავსი მაგალითები არაერთია, რომელთა აქ მოტანის ადგილი, ვფიქრობთ, არაა.

საინტერესოა, როდის წარმოიქმნა გვარსახელები მსოფლიოს სხვა ხალხებში. ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, მთლად ნათლად არაა შესწავლილი, მაგრამ მთელი რიგი ხალხების შესახებ საამისო მონაცემები არსებობს. ინგლისში გვარსახელი, ანუ როგორც სხვანაირად მას უწოდებენ, მემკვიდრეობითი სახელი ნორმანთა დაპყრობების შემდეგ, XI ს-ში წარმოიქმნა. ამ დროიდან ინგლისში მემკვიდრეობითი სახელები (გვარსახელები) წარმოიქმნა მეტსახელიდან (თიკუნისაგან). ინგლისში ამავე დროიდან ფართოდ გავრცელდა ტოპონიმიზებული მემკვიდრეობითი სახელებიც. ირლანდიელებში გვარსახელები X-XI სს-ში გაჩნდა. საფრანგეთში გვარსახელები შემჩნეულია XIII ს-დან. გვარსახელები უფრო ადრე დამახასიათებელი იყო ბერძნებისა და რომაელებისათვის. რომაელებში გვართან ერთად წარმოიქმნა ე. წ. კოგნომები, რომლებიც თავდაპირველად თიკუნებს (მეტსახელებს) წარმოადგენდნენ. რომის იმპერიის საკმაოდ ადრინდელ პერიოდში ისინი (კოგნომები) გვარების ცალკეული შტოების სახელწოდებებად იქცნენ. შემდეგ ეს კოგნომები გვარსახელებად იქცნენ. ამრიგად, რომაელთა გვარებში კოგნომებმა განვითარების რთული გზა გაიარეს. ისინი თავდაპირველად თუ მეტსახელს წარმოადგენდნენ, შემდეგ გვარის დანაყოფად და ბოლოს ცალკე გვარსახელებად იქცნენ.

რომაელთა კოგნომები განვითარების შუა ეტაპზე ქართული გვარსახელების დანაყოფებს, ე. წ. მამიშვილობას უთანაბრდებიან. რომაელთა გვარსახელები განვითარების კვალობაზე იშლებოდა სხვადასხვა შტოებად. შტოები კი შემდეგ ახალ გვარებს წარმოქმნიდნენ. გვარსახელი (ფამილია) სწორედ იმითაც განსხვავდება გვაროვნული გვარისაგან (როდ), რომ ის მუდმივი არ იყო და დროთა განმავლობაში ცვალებადობას განიცდიდა. ერთი გვარსახელის წიაღში შეიძლება სხვა გვარსახელი წარმოქმნილიყო. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საკუთარ სახელთა სისტემა ამ თვალსაზრისით უახლოვდება ძველ ბერძენთა და რომაელთა საკუთარ სახელთა სისტემებს. ისევე, როგორც ძველ ბერძნებსა და რომაელებში, ქართველებშიც თანამიმდევრულად მოხდა გვარის (**РОД**) გვიანდელ გვარში (**ПОЗДНИЙ РОД**) და ბოლოს გვიანდელი გვარის გვარსახელში (**ФАМИЛИЯ**) გადაზრდა. ქართველ ხალხში გვარსახელი უკვე დამკვიდრებული ჩანს განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში.

გვარსახელთა წარმოქმნის შესახებ მსჯელობა საკმაოდ შორს წაგვიყვანს. იქნებ პირდაპირ გადავიდეთ სათქმელზე და ვთქვათ, როგორი იყო ქართული ანთროპონიმიული მოდელი?

ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნამდე ის მხოლოდ ორწევრიანი იყო და ძირითადად შედგებოდა სახელისა და მამის სახელისაგან. გადმონაშთური სახით ქართული ანთროპონიმიული მოდელის ორწევრიანობა (მამის სახელი+სახელი) ქართული ფოლკლორის ნიმუშებმა შემოგვინახა. ამ შემთხვევაში უპრიანი იქნება გავვიხსენებინა ერთი ქართული ხალხური ლექსი „ლუის ლუხუმი“, რომელშიც ლუხუმის მამის სახელია ლუი. ეთნოგრაფთათვის, ვინც სისაურითა (ლიქოკელთა) გვარით დაინტერესებულა, ცნობილია „სანაგის სანაგი“. ერთ ხევსურულ გადმოცემაში სოფ. მუცოს ადრინდელ მკვიდრთა შორის მოიხსენიება „არლუმის ჩარლუმი“. ხალხურ სამეტყველო ენაში დღესაც ორწევრიანი სისტემაა გამეფებული. ოღონდ მამის სახელს ამ შემთხვევაში მამიშვილობა (გვარის დანაყოფის სახელი) ცვლის. მაგალითად, სოფ. დიღომში მოსახლე ქობულაშვილების (იგივე შიოშვილების) გვარი სამ მამიშვილობად (დანაყოფად) იყოფოდა: კიკუაანი, ლიკიაანი და ჰიმიაანი. ჩვეულებრივ იტყოდნენ „კიკუაანთ ვანა“, „ლიკიაანთ გოლა“, „ჰიმიაანთ პეტრე“ და სხვ. გვარსახელით პიროვნებას იშვიათად მოიხსენიებდნენ. გვარსახელი მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტში ფიგურირდება.

როგორაა ასახული ქართულ საისტორიო საბუთებში ქართული ანთროპონიმიული მოდელი? ძირითადად ის გვარისა და სახელისაგანაა შედგენილი. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბუთებისათვის უცხო არ იყო სამწევრიანი მოდელი, ისეთი სამწევრიანი მოდელი, როგორსაც ახლა ვხმარობთ (სახელი+მამის სახელი+გვარსახელი). ორივე სისტემა ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა, თუმცა უპირატესობა მაინც პირველს (სახელი+გვარსახელი) ჰქონდა მინიჭებული. აღნიშნულის დამადასტურებლად ქვემოთ მოგვყავს ამონაწერების მცირე რაოდენობა.

XII ს-ის შეწირულობის დაწერილში ჰიაბერისა შიომღვიმისადმი ვკითხულობთ: „...და მუნ შინა დამკვიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი: ოქროი და მახარია, ბრაჰი და იოანე...“ (ქსძ, II, 1965, გვ. 29). ამ შემთხვევაში მიხითარაისძე გვარსახელია ოქრო, მახარა, ბრაჰი და იოანესი, რომელთა მამასაც დავითი ერქვა. 1297-1298 წ.წ. სიგელიდან: „მოვიდა ჩუენ წინაშე ჰარმაული ჰაჰნიაშვილი გრიგოლ...“; „დაგუაჯერა ღმერთმან და ვიხმინეთ ჰაჯაი და მოკხენებაი ჰაჰნიაშვილისა გრიგოლ ჰარმაულისა...“ (ქისკ, I, თბ., 1984, გვ. 183). ახლა 1348 წლის წყალობის სიგელიდან მოვიტანოთ ამონაწერი: „მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი, ლარგველისა შვილი წითლოსან...“ (იქვე, გვ. 98). დღევანდელობის თვალსაზრისით ეს ასე დალაგდება: „წითლოსან ლარგველის ძე ქუენიფნეველი“.

1646 წლის განჩინებიდან: დავსხედით „სოლოღაშვილის შიოშის შვილის დათუნასა და თამაზისა და ბიძინას სასამართლოთ“ (ქსძ, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 85). 1648 წ. განჩინებაში დასახელებულია „ტოტუაშვილი მახარობლის შვილი ბაბილო“ (იქვე, გვ. 87); 1658 წლისაში: „რატიშვილი თულას შვილი ხუცია“ (იქვე, გვ. 94); 1753 წ.: „გვარამაძე იასეს შვილი ლომი“ (იქვე, გვ. 418). 1760 წლის განჩინებაში ვკითხულობთ: „ციციშვილმან პაპუნა შვილმან დიმიტრიმ უჩივლა“ (იქვე, გვ. 472). 1775 წ. საბუთში კი წერია: „გედევანიშვილის რევაზის შვილი სოლომონ“ (იქვე, გვ. 677).

ქართული სამართლის ძეგლების III ტომიდან (თბ., 1970): „წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ღმრთისა მიერ კურთხევით კურთხეულმა ამბა ალავერდელმან ენდრონიკაშვილმან, აბელ მოურავის ძემან, ზაქარია შენ, ჩვენის დიდებულის წმინდის გიორგის ერთგულს და ჩვენზედ თავდადებით ნამსახურს ყმას ჩვენს დვალიშვილს ფოცხვერის შვილს ზაალს და შვილსა შენსა დავითს“ (გვ. 717. საბუთი 1738 წლისაა). 1783 წლის საბუთიდან: „გურიას ახათიანი ხუცესი ენუქის შვილი იესე“ (გვ. 783). 1705-1741 წლების დომენტი კათალიკოზის ბრძანებაში ნათქვამია: „...ატენს ბერიშვილის ლაზარეს შვილს თომას მამული...“ (გვ. 757). 1788 წ.: „წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურიშვილს ქადაგიშვილს იოთამის შვილს ზაქარიას...“ (გვ. 941-942). დავით კათალიკოზის 1789 წლის სახასო და სააზნაურშვილო გლეხების სიაში დასახელებული არიან: „ოქროპირიძე დავით მღდლის შვილი ბერი“, „ოქროპირიძე თომა მღვდლის შვილი გაბრიელ“, „თოთაძე გიორგის შვილი გაბრიელა“ (გვ. 990). XVIII ს. II ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში მოხსენიებულია „ქენქაძე ელისბარის შვილი ბერა“ (გვ. 1049).

1790 წლის ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოხცეს რაჰიდამ გადმოსულს ზაქარიას შვილს კილარიძეს ბეროს“ (ქსძ, ტ. VIII, 1985, გვ. 68). ამ საბუთში, როგორც ვნახეთ, ჯერ მამის სახელი წერია, შემდეგ გვარი და ბოლოს სახელი.

რამდენიმე ამონაწერს მოვიტან ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემული წიგნიდან „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ტ. I, თბ., 1940 წ.: „აწყურის ციხის იარიში შალიკაშვილის მახტანას შვილი თამაზ მოკლეს“ (1619 წ., გვ. 19); „მერმე სახლისხუცესის ჩხეიძის ბეჟიას შვილი ოტია...“ (1641 წელი, გვ. 27); „გიბოძეთ არადეთს მოლოზანიძე ბეჟუას შვილი ამბრია... 1646 წ., გვ. 82); „ნასყიდობის ფიცი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, დიასამიძემ, სეხნიაშვილმან იესემ...“ (1700 წ., გვ. 109); „ჟოჟოლაძე პაპუნას შვილი რევაზ“ (1700 წ., გვ. 110); „ლომკაციშვილი ბერის შვილი ნადირა ახალციხეს გაეყიდნა“ (1713 წ., გვ. 157); „რიკაძე ოთარის შვილი ლევანი“ (1720 წ., გვ. 186); „ასე რომე დამეჰირა და მოგყიდე სათიხარს ლომოური ნადირაშვილები ნიკოლა და სეხნია“ (1728 წ., გვ. 225). „მოგყიდე წეროანს კურნელაური გიორგის შვილი თამაზა“ (1787 წ., გვ. 263).

ახლა ისეთ ქართულ საისტორიო საბუთებში ჩავიხედოთ, რომლებშიც მხოლოდ საკუთარი სახელებია ფიქსირებული. XIII ს-ის „მატიანე სუანეთისა კრებისა“-ში პიროვნებები სახელითა და გვარებით არიან ჩაწერილი. აქ მამის სახელი არ ფიგურირებს. მაგალითად, „გვინდა აფაქიანი“ „მ—რმ გოგორელიფხე“, „გიორგი ჩიქოვანი“, „ვეშაგ ღოღელიანი“, „ბოცო ქურდიანი“, „ქურზიკ სტეფანიანი“, „გ—ი ფანჯიგიანი“ და მრავალი სხვ. (ის. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი II, თბ. 1941). მსგავსი ორწევრიანი ანთროპონიმიული მოდელია წარმოდგენილი „ტბეთის სულთა მატიანის“ სხვადასხვა საუკუნის (XII-XVII სს) ფენებში. მაგალითად, „გათენეთ გიორგი“, „გოგლაეთ აბაში“, „დოლიეთ კუირიკე“, „სიკალაეთ დავით“, „ქუნპელისძე გიორგი“, „შავჩიტიძე ნიკოლოზ“, „ვაცასძე ნიკოლოზ...“ (ის. ტბეთის სულთა მატიანე, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1977). „მატიანე სუანეთის კრებისა“-სა და „ტბეთის სულთა მატიანეს“ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველში ჯერ დასახელებულია სახელი და შემდეგ გვარი, მეორეში, პირიქით, ჯერ გვარი და შემდეგ სახელი.

ორწევრიანი ანთროპონიმიული მოდელია დამახასიათებელი XVII ს-ის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთრისთვისაც: „ჯუბერის ფიდიური შიუკა“, „ზემოყურს ბედელიძე შერმაზან“, „ღრომს ბიძინაძე ტეტია“, „ღრომს ბერიული ნადირა“, „ზახორს ზურაბ ლაზნელის ყმა ევანისელი აბრამ“, „ჰახისს ვეშაპური ქურციკი“ და სხვ.

ქსნის ხეობის 1774 წლის აღწერის დავთარი მთლიანად ანთროპონიმიული მოდელის სამწევრიანი სისტემით (გვარი+მამის სახელი+სახელი) არის შედგენილი. მხოლოდ რამდენიმე ამონაწერი: „ილურიძე ბიბილას შვილი გიორგი“, „ზანგურისძე ელისბარის შვილი თულა“, „ბუჯიძე იმედას შვილი იმედა“, დორეული ავთანდილის შვილი ბერი“, „შერმადინი ქავთარასშვილი — გიორგი „კაჰიური ბალიას შვილი ხვიმონა და ბერი“, „მიდელაანთ როხებას შვილი სიხარულა“, „თინიკაანთ იმედას შვილი სიხარულა“, „ჯაბაური ქურციკას შვილი ქიტესა“ რაც შეეხება ქსნის ხეობის 1781 წლის აღწერას, ის შერეული მოდელითაა შედგენილი. მასში ანთროპონიმიული მოდელის ორწევრიანი და სამწევრიანი სისტემები ერთმანეთს ენაცვლება. მაგალითად, სოფ. ალევის აღწერაში გვხვდება „ნათაძე თათარა“ და „ნათაძე მახარობლის შვილი გიორგი“. სოფ. ხაძეგურში — „კობაური კაცია“ და „კობაური ბასილას შვილი ბერი“.

მთლიანად სამწევრიან მოდელზეა აგებული 1774 წლის არაგვის ხეობის მთიანეთის მოსახლეობის აღწერის დავთარი. ხევის სოფელ გერგეტში აღწერილთა შორის გვხვდებიან „ჩიბუანთ ზაქარიას შვილი თათაი“, რომელშიც პირველი გვარია, მეორე — მამისსახელი. თანამედროვე დაწერილობით კი ასე გადმოვა: თათი ზაქარიას ძე ჩიბუანთი (ანუ ჩიბოშვილი). იმავე გერგეტში დასახელებულია „წიკლაური ცანცუკასშვილი ხოტა“, ე. ი. ხოტა ცანცუკას ძე წიკლაური. სნოს აღწერიდან: „ჯოჯიკაური თათრისშვილი მამა და შიო“, ე. ი. მამა და შიო თათრის ძე ჯოჯიკაური.

მთიულეთის სოფ. სეფეს აღწერიდან: „კვიტიძე გელას შვილი ხარება“; „არგანაური გიორგის შვილი ხუცია“; გუდამაყრის სოფ. დუმაცხოში „ხარზელაური პაპუას შვილი ფოცხვერი“.

ამრიგად, საისტორიო საბუთებით ქართული ანთროპონიმიული მოდელი იყო როგორც ორწევრიანი (სახელი+გვარსახელი) ისე სამწევრიანი (სახელი+მამის სახელი+გვარსახელი). ერთი მეორეს არასოდეს გამორიცხავდა. ისინი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდნენ. ასე რომ, ხანამ რუსეთში დამკვიდრდებოდა სახელის, მამის სახელისა და გვარსახელისაგან შედგენილი ანთროპონიმიული მოდელი, ის ქართველებისათვის საკმაოდ დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ანთროპონიმიული მოდელის სამწევრიანი სისტემა ობლად როდი არსებობდა. მსგავსი სამწევრიანი მოდელი გავრცელებული იყო ბერძნებში. მაგალითად, საბერძნეთის ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში იწერება „გეორგიოს კონსტანტინე პაპადას“, რომელშიც პირველი სახელია, მეორე — მამის სახელი (ნათესაობით ბრუნვაში), მესამე — გვარსახელი. ვფიქრობთ ქართული ანთროპონიმიული მოდელის სამწევრიანი სისტემა ჩვენში ბერძნული მოდელის გავლენით გავრცელდა, რაშიც განსაკუთრებული როლი სარწმუნოებრივ სიახლოვეს უნდა ეთამაშა.

ამრიგად, ქართული ანთროპონიმიული მოდელისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო, როგორც ორწევრიანი (სახელი+გვარსახელი), ისე სამწევრიანი (სახელი+მამის სახელი+გვარსახელი) სისტემები. ქართულ ენობრივ-ეროვნულ წიაღში საკმაოდ დიდი ხანია მოქმედებს სახელის, მამის სახელის და გვარსახელის შეთანაწყობითი მოხსენიება. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებში ასეთი სისტემა მხოლოდ 100 წლის წინ დამკვიდრდა და ის ჩვენ რუსთაგან არ მიგვიღია. პიროვნების დამადასტურებელი ოფიციალური იურიდიული დოკუმენტიდან (დაბადების მოწმობა, პასპორტი) მამის სახელის ამოღება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან ამან შეიძლება დიდი გაუგებრობაც გამოიწვიოს ჩვენს ცხოვრებაში.



ნეკრესის წინაქრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობა (რეკონსტრუქცია განათხარი ნაგებობის გეგმის მიხედვით).

# ნეკრესიც ალაპარაკდა

## ამოჩენილია წინაქრისტიანული სატაძრო კომპლექსი და უძველესი ქართული წარწერები

**ლევან ჭილაშვილი**

გადაჭარბებული არ იქნება. თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი ქართული ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლას უპირატეს ადგილს მივუჩენდით და განსაკუთრებით კი არქეოლოგიურ სამუშაოთა იმ მნიშვნელოვან ციკლს გამოვყოფდით, რომელიც ანტიკური თუ შუა საუკუნეების ქალაქების გამომზეურებას ემსახურება. ნაყოფიერი საველე კვლევა-ძიების შედეგად საქართველოს ისტორიას შეემატა მეტად მეტყველი ადგილები ხანგრძლივი პერიოდისა, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე განსაკუთრებით, კულტურულ-ისტორიული მდგომარეობის შესახებ.

ამ ბოლო ხანს, ძველ ქართულ ქალაქებს, რომლებიც არქეოლოგიური შესწავლის ობიექტებია, კიდევ ერთი ძველი ქალაქი მიემატა და იმ პირველი შედეგების მიხედვით, რომელიც ჩვენს ხელთაა, იმედი გვაქვს, რომ ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ნაქალაქარი, რომლის შესწავლა ბევრ ბუნდოვან ისტორიულ მოვლენაზე გაგვამახვილებინებს ყურადღებას. ეს არის ქალაქი ნეკრესი — ისტორიული ჰერეთის და შემდგომ კახეთის ერთ-ერთი საყურადღებო პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ცენტრი, რომლის შესახებაც წერილობით წყაროებში ორიოდ ძუნწი ცნობა თუ მოგვეპოვება.

ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს ნეკრესის არქეოლოგიური მონაპოვარი, რამდენიმე სეზონის მუშაობის შედეგით რომ არის წარმოდგენილი, და რომლის მოძიებაზედაც 1984 წლიდან აწარმოებს საველე კვლევა-ძიებას ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია ამ წერილის ავტორის ხელმძღვანელობით.

ალბათ გამიჭირდება იმის აღნიშვნა, რომ ნეკრესში საველე სამუშაოებს წინასწარ განჭვრეტილი და დაგეგმილი ნუსხის მიხედვით შევუდექით. სრულიად შემთხვევით დავიწყეთ, ეს დაკავშირებული იყო დაცვითი სამუშაოების განხორციელებასთან ერთ-ერთი არქიტექტურული ძეგლის გადარჩენის მიზნით, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ დაზღვევები ადრე აქ არაერთხელ განხორციელებულა და ნაქალაქარი არქეოლოგთა თვალსაწიერიდან არასოდეს გამოსულა. უბრალოდ, 70-იან წლებში, რამდენჯერმე განხორციელებული ვანდალური აქტის გამო, რაშიც ძეგლის ტერიტორიაზე უნებართვო მიწის სამუშაოებს ვგულისხმობ, მწყობრიდან იქნა გამოყვანილი ნაქალაქარის მნიშვნელოვანი ნაწილი და იქ საველე სამუშაოების ჩატარებაც აღარ ყოფილა დაგეგმილი.

ნეკრესის ნაქალაქარი მდებარეობს ყვარლიდან 8-კმ-ზე, ყვარელ-თელავის შარაგზიდან მარჯვენა მხარეს 8 კმ-ზე, მთიანი კავკასიონის და ალაზნის ველის შესაყარზე. ნაქალაქარს უკავია კავკასიონიდან გამომავალ ორ კონცხს შორის ვაკე ადგილი. აღმოსავლეთის კლდოვან კონცხზე განლაგებულია კარგად ცნობილი ნეკრესის ადრექრისტიანული ხანით დათარიღებული ეკლესიების ანსამბლი. მის ძირში, ვაკეზე, რომელიც სოფელ შილდის სავარგულებს წარმოადგენს, 80-იანი წლების დასაწყისში უცდიათ მიწის ზევით შემორჩენილი ძველი ნაგებობის დანგრევა და მოსწორება. ახეთნაირად, ნაგებობა, რომლის კედლებიც, გადმოცემით, 1,5 მ-ზე ყოფილა შემორჩენილი, დაანგრიეს, საფუძვლების მოთხრა კი ვერ შეძლეს და მიატოვეს. შევიტყეთ თუ არა ძეგლის დანგრევა, სათანადო ორგანიზაციების ჩარევით აღიკვეთა სამუშაოები და გადაწყდა მისი გაწმენდა და შესწავლა. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ საქმე უნდა გვქონოდა ძველი ნეკრესის რომელიღაც არქიტექტურულ ნაგებობასთან. ეს იყო ექსპედიციის ერთ-ერთი მთავარი უბანი იმ სამთაგან, რომელსაც ვსწავლობდით ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

იმედი, რა თქმა უნდა, პირველივე სეზონზე გამართლდა და აშკარად გამოიკვეთა მეტად შთამბეჭდავი ნაგებობების კონტურები, რომელშიც ჩანდა ორი სამშენებლო ფენა შემცველი ორი სრულიად განსხვავებული დანიშნულების და ხასიათის ნაგებობისა.

ქვედა ფენა წარმოდგენილია თითქმის ერთი გეგმარების ოთხი ნაგებობით, რომელთათვისაც დამახასიათებელია სათავსის სწორკუთხა არე ერთ მხარეს არსებული მორკალული კედლით — აბსიდით. აბსიდები მიმართულია ერთ შემთხვევაში აღმოსავლეთით, მეორე შემთხვევაში — სამხრეთით და ასევე ჩრდილოეთით და დასავლეთით. აღნიშნული ნაგებობებით იქმნება არქიტექტურული ანსამბლი, რომლის შემადგენელი ნაწილების აბსიდები ერთიმეორის პირისპირ არიან დამხობილი (სურ. 1). მათ შორის არსებული ფართობი ოთხკუთხა ნაგებობას უჭირავს, რომლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი იყო თითქმის კვადრატული ბაქანი (2,8X1,6 მ) თიხატკეპნილით მოგებული. სათავსს აგურის იატაკიც ჰქონია.

არქიტექტურული ანსამბლი ვითარდება ოთხკუთხა ნაგებობის ირგვლივ. მის ოთხივე კედელს ებჯინება ოთხი სწორკუთხა ნაგებობა ოთხკუთხა ნაგებობის მხარეს დამხობილი აბსიდით. როგორც ირკვევა, ანსამბლის დარღვევა და მწყობრიდან გამოსვლა წინასწარაა მოფიქრებული და საგულდაგულოდ განხორციელებული. — დაუნგრევიათ კედლები, თითქმის საძირკვლიანად მოუთხრიათ, მოუსწორებიათ ფიქალისებრი ქვიშით და შემდეგ კი მონუმენტური ნაგებობის ციხე-დარბაზის მშენებლობა წამოუწყიათ, ისე, რომ ახალი შენობის კედლები ძველი ნაგებობისას დამთხვეოდა.

ეს არის ზედა, მეორე ფენა. მისი კედლები მსგავსადვეა ნაგები ფლეთილი ქვით კირ-დუღაბზე, გამოყენებულია ბრტყელი აგურებიც. ნაგებობა საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო — დასავლეთის მხარეს გადაწვენილი კედლის ფრაგმენტის მიხედვით, რომელიც აგურის წყობით იყო შემორჩენილი და სასწაულად გადარჩენილა ხელუხლებლად, კედლის სიმაღლე 6 მ მაინც უნდა ყოფილიყო. ამ მანძილით იყო დაცილებული აგურებიანი წყობა კედლის გარეთა პირისაგან.

შემდგომი კვლევა-ძიება, იმედი გვაქვს, ბევრ საკითხს გაარკვევს ნაგებობის შესახებ, თუმცა, დღევანდელი მონაცემებითაც შეიძლება ზოგი რამის მტკიცება. ქვედა ფენის ნაგებობათა ანსამბლი საკულტო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. მისი არქიტექტურაცა და განლაგებაც ფუნქციონალურად ერთ თემას ემსახურებოდა, ეს არის შეკრული, ერთ სისტემაში თავმოყრილი სამსახური, რომელიც ცენტრში მდებარე ოთხკუთხა ნაგებობის ირგვლივ ვითარდებოდა. აი აქ იყრის თავს, თუ პირიქით, აქედან ვრცელდება ირგვლივ, აბსიდიან ნაგებობებში სულიერ საწყისებზე დამყარებული რიტუალი თუ წეს-ადათის სამსახური.

როდესაც ძეგლის ხასიათის განსაზღვრას ვისახავთ მიზნად, თარილის გარეშე მისი მეტნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენა შეუძლებელი იქნება, თუმცა ეს არც თუ ისე იოლია, რამდენადაც თხრის დროს არქეოლოგიური სელშესახები მასალები ძალზე ცოტა იყო დადასტურებული, ისიც ერთგვაროვანი თიხის ნაწარმით, რომლის თარილიც III-V საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს. ზედა სათავსის კარის ზღურბლზე დადასტურებული ნასანძრალის ფენიდან აღებული ნახშირის ანალიზმა ახ.წ. 420 წ. მოგვცა.

თარილის განსაზღვრისას საჭიროა გავითვალისწინოთ ის ორიოდე წერილობითი ცნობაც, რომელიც ქართულ ისტორიულ ტრადიციას შემოუნახავს, ლეონტი მროველის მიხედვით, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც იმეორებს, ნეკრესის აგება მეფე ფარნაჯომს მიეწერება (ძვ. წ. II ს): „ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენს და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 29). იმავე საუკუნის ბოლოს „არშაკ განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“. ჩვენი ძეგლის მეორე ფენის მშენებლობის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ. მროველისავე ცნობას, რომელიც პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მამამძუძის, მირვანოზის საქმიანობას შეეხება. ეს არის ახალი წელთაღრიცხვის IV ს-ის დასაწყისი: „ხოლო ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“ („ქ-ც“. I. გვ. 65). ამრიგად IV ს-ის დასაწყისში ნეკრესში „მოუმტკიცებიათ“ ქალაქის ზღუდენი და ეს ხდება აქ ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე. ვფიქრობ, წყაროს ამ ცნობის საფუძველზე, რა თქმა უნდა, სხვა მონაცემების გათვალისწინებითაც, ზედა ფენის ნაგებობის შექმნა შეიძლება IV ს-ის პირველი ნახევრით განვსაზღვროთ.

ეს შეიძლება ჩავთვალოთ ქალაქ ნეკრესის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად, რასაც განსაკუთრებით აღნიშნავს ისტორიკოსი. მაგრამ აქ მეორე მომენტია გასარჩევი და არცთუ ნაკლებად მნიშვნელოვანი: ქალაქის ზღუდის მომტკიცებისას ერთ-ერთი უკვე არსებული მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორც დანიშნულებით, ისე არქიტექტურულად, გაუწირავთ — დაუნგრევიათ და ციხე-დარბაზის კედლები ზედვე გადაუტარებიათ, მოუსპიათ მისთვის არამარტო ფუნქციური ღირსება, არამედ მოუთხრიათ საფუძვლიანად. საზგასმულია: ეს ხდება ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე, ახალ სარწმუნოებასა და მანამდე არსებულ კულტებს შორის მძაფრი ბრძოლის პირობებში. დასაშვებია თუ არა, რომ ციხე-სასახლის მშენებლობის საბაბით დაენგრიათ ქრისტიანული ტაძარი? ასეთი მაგალითები ჩვენში არ არის ცნობილი, ვიცით არაერთი შემთხვევა, როდესაც ეკლესიას ამაგრებენ, მიუშენებენ კოშკებს, ზღუდეს, წისქვილს ან სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობას, მისი დანგრევის და ზედ არასაეკლესიო შენობის მოწყობის შემთხვევა კი არ არის ცნობილი, და არც იყო მოსალოდნელი. ნეკრესის მიხედვით არსებული სატაძრო ანსამბლი კი ადვილად გაუწირავთ, ისეთი შთაბეჭდილებაც კია, რომ ციხე-სასახლის მშენებლობა სწორედ აქ, პირველ რიგში მის განადგურებას ისახავდა მიზნად.

აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ნაგებობის პირველი ფენა, რომელიც წარმოდგენილია წინაქრისტიანული სარწმუნოების ტაძრით, საგანგებოდ დაანგრიეს, ქრისტიანობის დანერგვის ჟამს. ის საფუძვლიანად მოუთხრიათ და ზედ ციხე-სასახლე აუშენებიათ, რომელიც ამიერიდან ქალაქის დაცვის სისტემაში იქნა შეყვანილი, სავარაუდოდ ახ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის პირველ ნახევარში.

ცხადია, წამოიჭრება კითხვა, თუ როგორი მრწამსის მალიარებელთა ტაძართან უნდა გვქონდეს საქმე ნეკრესის ნაგებობის მიხედვით. აქ ერთი გარემოების გათვალისწინებაა საჭირო. აღნიშნული ძეგლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით პირდაპირი ხაზით 500 მეტრზე, განლაგებულია ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც შესწავლილი აქვს ბატონ გ. ჩუბინაშვილს.

აღნიშნული ძეგლების რიგში გ. ჩუბინაშვილი გამოყოფს და ყველაზე ადრეულად, IV საუკუნისად, მიიჩნევს ერთ მომცრო ნაგებობას, რომლის ირგვლივაც, შემდგომში რამდენიმე ეკლესია აიგო. აღნიშნული უძველესი ეკლესია მეტად უცნაური გარეგნობისაა, რასაც თვით ბ-ნმა გ. ჩუბინაშვილმაც მიაქცია ყურადღება: „ძალზე მაღალია, გაწელილი კოშკის შთაბეჭდილებას ახდენსო“. აქ არ არის საშუალება შევეხოთ ძეგლის გ. ჩუბინაშვილისეულ ინტერპრეტაციას, ან სხვა გამოთქმულ მოსაზრებებს, მხოლოდ ერთს შევნიშნავ: აღნიშნული ძეგლის დათარიღება IV საუკუნით არ უნდა



წარწერა № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწვევდეს ეჭვებს, ამასთან ერთად ვფიქრობ, რომ ის პირვანდელი დანიშნულებით წინაქრისტიანული სამლოცველო უნდა ყოფილიყო. მისი დღეობა, რომელიც დღემდე განსაზღვრულია ხაშობაო კულტმსახურებით, წინაქრისტიანულია და უნდა უკავშირდებოდეს მითრას. ცნობილია, რომ ხაშობაო დღესასწაული მითრას დაბადების დღის აღსანიშნავად იყო დაწესებული, რომელსაც შემდეგ, ქრისტიანობის ავტორიტეტის ასაწევად, ქრისტეშობაც დაუკავშირდა რაც რუდიმენტირებულია ნეკრესში. ამის დასამტკიცებლად ორი სხვა მომენტიც შეიძლება მოვიშველიოთ: პირველი, რომ აქ დასტურდება ღორის შეწირვა და ის, როგორც იშვიათი ფენომენი, კვლავ არის შემორჩენილი — ნეკრესობის რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. ტაძი მითრას კულტთან დაკავშირებული ცხოველია. მეორე: ნეკრესის IV საუკუნით დათარიღებული ეკლესიის ერთ-ერთი შემორჩენილი ნაწილია აბსიდში მოთავსებული ღრმული, რომელიც კრიპტად არის მიჩნეული. შესაძლოა ის პირვანდელი დანიშნულებით მითრას მლოცველთათვის გათვალისწინებული ადგილი ყოფილიყო. თუ ჩემს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული აზრი მისაღები იქნება, მაშინ ნეკრესის IV საუკუნით დათარიღებული ქრისტიანული ეკლესიის პირვანდელი ფენა მითრას კულტმსახურების ადგილად უნდა იქნას მიჩნეული, რომელიც ქრისტიანობის დამკვიდრების ჟამს, IV ს-ში ქრისტიანულ ეკლესიად გადაუკეთებიათ.

აბსიდიანი ნაგებობების კომპლექსის გააზრებასთან დაკავშირებით აღნიშნული ძეგლი მეტად საყურადღებოა, რამდენა და ც მას წინაქრისტიანულ საკულტო ნაგებობად მივიჩნევ. მასთან ახლოსვე არსებული მითრას კულტმსახურების ტაძარი გვავარაუდებინებს, რომ აბსიდიანი ნაგებობების კომპლექსიც მითრას კულტს დავუკავშიროთ. უფრო მეტიც, ვარაუდების სფერო შეიძლება გავზარდოთ და ორივე მათგანი ერთი რიტუალის და ერთი დღესასწაულის კომპლექსური აღსრულების ადგილებად მივიჩნიოთ მეტოქ-მისალოცის და მთავარი ტაძრის მნიშვნელობით.

როდესაც აბსიდიანი ნაგებობების საკულტო დანიშნულებაზე ვსაუბრობთ, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს კვადრატულ ნაგებობაში შემორჩენილი აგურის ბაქანი, რომელიც შესაძლებელია სამსხვერპლო ადგილს წარმოადგენდა.

წარმართულ კულტმსახურებაზე მიუთითებს შემორჩენილი ერთი ტოპონიმიც — კონცხზე განლაგებული ანსამბლის ტერიტორიას „ნაზვრევი გორა“ ჰქვია. საბა ორბელიანის განმარტებით, „ზორვა კერპთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი“ ყოფილა, რაც კარგად მიუთითებს ადგილის წინაქრისტიანული კულტის ადგილსამყოფელს.

ალნიშნული ძეგლის გათხრასა და გამომზეურებას დიდი მნიშვნელობა აქვს წინაქრისტიანული ხანის საკულტო ხუროთმოძღვრების შესასწავლად, განსაკუთრებით კი მითრას კულტის გამოვლენის თვალსაზრისით. ბატონ ს. მაკალათიას მიერ სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მოხსენებულია მითრას კულტთან დაკავშირებული დღესასწაული „მირსობა“, რომელიც დიდმარხვის დაწყებამდე იმართებოდა და ამ დღისთვის საგანგებოდ ასუქებდნენ ღორს. თვე, როდესაც მითრას დღესასწაული იმართებოდა მითრას თვის — „მიჰრაკანის“ სახელით იყო ცნობილი ძველ კალენდარში. მიჰრაკანის დღესასწაული სპარსეთში მიჰრის (მითრის) თვის 16-ში იმართებოდა. ლეონტი მროველი ერთგან აღნიშნავს „თუესა მირკანისსა, რომელ არს მარტი“-ო. მითრას დღესასწაულის და საკულტო ნაგებობების შესწავლის ინტერესს სხვასთან ერთად უდაოდ აძლიერებს ის გარემოება, რომ აღმოსავლეთში მითრას კულტის ფუნქციური საქმიანობის შესახებ ძალზე ცოტაა ცნობილი, შედარებით ნაკლები, ვიდრე რომაულ სამყაროში. ამიტომ იყო, რომ კლემენტ ჰუარტი, ირანის სიძველეების და ცივილიზაციის ცნობილი მკვლევარი აღნიშნავდა: მითრას — „საქმიანობის შესახებ სპარსეთში არაფერი ვიცითო“.

ისიც არ ვიცით, როგორი სინთეზი არსებობდა მითრასა და მაზდეანობას (ცეცხლთაყვანისმცემლობას) შორის და სად იყო მათი შეხვედრის თუ დაშორების წერტილები. ნეკრესის შესასწავლი არქიტექტურული ანსამბლის განლაგების და სხვა თითქოს და უმნიშვნელო დეტალების მიხედვით მზის კულტის დაშვება შესაძლებელია. აქ მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს, საბა ორბელიანი ხომ აღნიშნავს მითრა „ძველი სპარსულის ენით მზე“-აო.

როგორც ვთქვით, აბსიდიანი ნაგებობების ანსამბლი დაუნგრევიათ IV ს-ის დასაწყისში, მის, როგორც საკულტო დანიშნულების ნაგებობაზე, უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა კულტის შემოსვლის გზების შესახებ, თუ რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, დასავლურს (რომაულს) თუ აღმოსავლურს (სპარსულს), რაც უფრო ნათელყოფდა ძეგლის თარიღს, შესწავლის დღევანდელ ეტაპზე, ვერაფერს ვამბობთ. დღესდღეობით, ძეგლის დაფუძნების თარიღად III ს. უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ზედა ფენის ნაგებობების (ციხე-სასახლის) თარიღს, როგორც ითქვა, მისი აგება უნდა ვივარაუდოთ IV ს-ის დასაწყისში, დანგრევა კი V-VI საუკუნეების მიჯნაზე. აქ შეიძლება დავეყრდნოთ ჯუანშერის ცნობას ვახტანგ გორგასლის უკანასკნელი დღეების შესახებ: სპარსელები შემოესივნენ აღმოსავლეთ საქართველოს. სანამ უჯარმას მიადგებოდნენ შემუსრეს კამბეჩოვანი, ჭერემი და ველის-ციხე. ადვილი მოსალოდნელია, ნეკრესი, რომელიც ამ არეში მდებარეობდა და რომელიც მტკიცედ იყო მოზღუდულ-გამაგრებული, სპარსელებს დაულაშქრავი არ დარჩებოდათ და ზურგში ასეთ ძლიერ პუნქტს არ დაიტოვებდნენ. ამიტომ ნეკრესის ციხე-დარბაზის დანგრევის ზსენებული თარიღი მისაღებად გვეჩვენება.

მეორე, მეტად საყურადღებო უბანი, რომლის გათხრასაც ექსპედიციამ მოჰკიდა ხელი, ნეკრესის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ნაგებებს“ ეძახის, მთლიანად უბანს კი „სამარხების ხერს“. ორივე სახელი ანგარიშგასაწევია, რამდენადაც ეჭვმიუტანლად ძველ ძეგლებზე მიგვანიშნებს, ეს ისედაც ჩანდა — მიწის ზევით კედლის ფრაგმენტები შეიმჩნეოდა.

პირველივე სეზონის საველე სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ საქმე გვაქვს სქელი კედლებით შემოფარგლულ სამ დიდ არესთან, რომლებიც ერთმანეთის მიჯრით იყვნენ განლაგებული. პირველ რიგში გადაწყდა ცენტრალური ვრცელი სათავსის შესწავლა და დაიწყო მისი გათხრა მთელ ფართობზე. კედლები ნაგებია ფლეთილი დიდრონი ქვებით კირ-დუღაბზე. აგური არ არის დადასტურებული. კრამიტის ნაშთები არის. ნაგებობებში რამდენიმე სამშენებლო ფენა ჩანს. ყველაზე ქვედაა ოთხკუთხა შენობა, რომელიც შეიძლება პირობითად სასახლედ მივიჩნიოთ — ქალაქის რომელიმე წარჩინებულის ადგილსამყოფელად. მისი მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, ის მარნად უქცევიათ — კედლების გასწვრივ, ოთხივ მხრით საწნახლები და ქვევრები მოუწყვიათ. მესამე ფენა უფრო ვრცელი ნაგებობის მომცველია; არსებული შენობებისათვის დასავლეთის მხრიდან, მთელ სიგრძეზე მიუშენებიათ თაღედით ჩამშვენებული, კამარულსახურავიანი ღია პორტიკი, რომლის იატაკის დონეც გაცილებით მაღლაა მარნისაზე.

სასახლის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ მას ვრცელი ადგილი ჰქონია მოკავებული (დაახლ. 400 კვ. მ.), რომლის სახურავიც ქვით ნაგებ სვეტებს ეყრდნობოდა. შესასვლელი, რომელიც ქვით ნაგებ ორ სვეტზე მდგარა, დასავლეთის მხრიდან ჰქონია. რამდენიმე ნახვეტარი ინტერიერშიც აღინიშნება. სვეტები ნაგებია რიყის და ფლეთილი ქვებით, შემდეგ გალესილი მტკიცე ხსნარით, ისე, რომ გათლილი ქვის ზედაპირის ფაქტურა ჰქონდა მიცემული. აღნიშნული სვეტები ზუსტი ანალოგიაა არეშის ბაზილიკაში დადასტურებული სვეტებისა (V ს.). ერთი კარი დატანებული ჰქონია ჩრდილოეთის კედელშიც. ამ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ქვედა რიგში დადასტურებულია ბრტყელი ქვა ზედ ამოჭრილი ქართული ასოებით.

სასახლე-დარბაზის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ აქ მარანი მოუწყვიათ. არსებული ინტერიერი შეუცვლიათ — ჩრდილოეთის კარი ამოუქოლავთ და კედლისათვის საწნახელ-ცისტერნები მიუშენებიათ. სულ ხუთი საწნახელი და ორი ცისტერნა-აუზია გათხრილი. საწნახლებიცა და ცისტერნა-აუზებიც დიდრონი ქვებით არის ნაშენი, კირ-დუღაბით. კედლები და იატაკი მოლესილი ყოფილა მტკიცე კირხსნარით. № 1 საწნახლის კედლებში ჩატანებული იყო მეორადი გამოყენებით, როგორც სამშენებლო მასალა, ორი ბრტყელი ქვა ზედ ამოკაწრული ქართული წარწერებით. მეორე საწნახლის იატაკზე დადასტურებული იყო თიხის ჭურჭლის ნიმუშები, რომლებიც ანალოგიური მასალებით IV-V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მთლიანად მარანი მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება და აშკარად მიუთითებს აქ მძლავრი სამეურნეო ცენტრის არსებობაზე. ხუთივე საწნახელში ერთბაშად 5-6 ტ. ყურძნის დაწურვა იქნებოდა შესაძლებელი.

„ნაგებებზე“ ჩატარებული გათხრების ყველაზე მნიშვნელოვან და სენსაციურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ აქ ქართული წარწერების აღმოჩენა. სულ ექვსი წარწერა და წარწერის ნაშთია დადასტურებული.

წარწერა № 1 აღმოჩნდა 1986 წ. შესრულებულია ამოკვეთით ქვაზე (ქვის სიგრძე 46 სმ; სიგანე 17,5 სმ; სისქე 7-7,5 სმ). წარწერა განლაგებულია ოთხ რიგად (სურ. 2). პირველსა და მეორე რიგში ორ-ორი ასოა, მესამეში სამი, მეოთხეში კი — ერთი. ასოთა მოხაზულობა მერყეობს 2-4 სმ შორის: აბ, ზა, გივ, ჩ.

პირველ ორ სტრიქონში შეიძლება წაიკითხოს საკუთარი სახელი „აბაზა“(?).

წარწერიანი ქვა აღმოჩნდა შენობის ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკიდან დაახლოებით 20 სმ-ზე. ის, როგორც სამშენებლო ქვა, ჩაშენებული იყო კედელში ჰორიზონტალურად, მეორადი გამოყენებით, ამდენად ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს სასახლე-დარბაზის არსებობას.

წარწერა № 2 ამოჭრილია ქვაზე (ქვის სიგრძე 68 სმ; სიგანე 12-14,5 სმ). წარწერას უკავია 10,7 სმ. ერთსტრიქონიანია, გამოსახულია ექვსი ასონიშანი (სურ 3): ლევაკი.

წარწერა აღმოჩნდა 1986 წ. პირველი საწნახლის სამხრეთის კედლის თავზე წმენდისას. ქვას სტელის გარეგნობა აქვს. გადმოცემულია საკუთარი სახელი. ასოების სიგრძეა 2-3 სმ. შორის.

წარწერა № 3 აღმოჩნდა 1987 წ. შესრულებულია სტელაზე, რომელიც ჩაშენებული იყო მეორადი დამოყენებით № 1 საწნახლის დასავლეთის კედელში, სამხრეთის კედლიდან 0,95 სმ. დაცილებით (ქვის სიგრძე 69 სმ; 20-23 სმ. ასოების სიგრძეა 2-3 სმ.). წარწერა ორსტრიქონიანია, შესრულებულია ამოკაწვრით, ქვის კიდეში. პირველ სტრიქონში შვიდი ასონიშანია (სურ. 4): თობულ (ა).

მეშვიდე ასონიშანი ნაკლულია, მხოლოდ ქვედა რკალია შემორჩენილი, შეიძლება აღვადგინოთ როგორც (ა).

მეორე სტრიქონში ხუთი ასო ნიშანია: სამნი. წარწერა იკითხება „თობულ(ა) სამნი“. პირველ სიტყვაში ალბათ საკუთარი სახელი უნდა ამოვიკითხოთ. მეორე, შეიძლება რიცხვითი სახელი იყოს, ანდა „სამანი“ — მიჯნის აღმნიშვნელი ტერმინი. თუ მეორე ვარიანტით წავიკითხავთ, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საქმე გვქონია მიჯნის აღმნიშვნელ სამანის ქვასთან.

წარწერა № 4 აღმოჩნდა 1987 წ. ნამარნალის წმენდის დროს (ქვის სტელის ნატეხია, შემორჩენილი ნაწილის ზომებია 35X19 სმ). წარწერა ამოჭრილი ყოფილა ორ სტრიქონად, დაზიანებულია. იკითხება ცალკეული ასოები, მთლიანად ვერ იშიფრება.

წარწერა № 5 ძლიერ არის დაზიანებული. აღმოჩნდა 1987 წ. მეოთხე წარწერასთან ერთად, ესეც სტელის ნაწილია (38X21 სმ), გამოყენებული ყოფილა ისევე, როგორც სხვა წინა წარწერები კედლების მშენებლობის დროს.

წარწერა № 6 აღმოჩნდა 1987 წ. ნამარნალის წმენდის დროს. (სურ. № 5). წარწერა შესრულებულია ქვევრის პირზე, ამოკაწრული სველ თიხაზე, გამოწვამდე, შემორჩენილია მხოლოდ წარწერის ნაწილი ორ სტრიქონად. პირველი სტრიქონი სამსიტყვიანია — პირველი და მესამე დაქარაგმებულია: მგ, ეხე, ჭური.

მეორე სტრიქონი ერთსიტყვიანია, შედგება ექვსი ასონიშნისაგან:
— დავრგე

წაკითხვა: „მგ ესე ჭური დავრგე“.

ზემოთ აღნიშნული ექვსი წარწერიდან ხუთი ქვაზეა ამოჭრილ-ამოკაწრული, რომელთაც სტელების ფორმა ჰქონიათ. ხუთიდან სამზე (ორზე დანამდვილებით, ერთზე — სავარაუდოდ) საკუთარი სახელებია მოცემული. ერთი წარწერა ქვევრისპირზეა შესრულებული.

თუ დღეს არსებული და გამოქვეყნებული მონაცემებით ვიმსჯელებთ, ქართულწარწერიანი სტელები ადრეულ შუა საუკუნეებში საფლავის ქვების დანიშნულებით გამოიყენებოდა. ასეთი მაგალითები ვიცით ბოლნისის სიონის, ბოლნისის „ლამაზი გორის“ და რუსთავის აღმოჩენების მიხედვით. მაგრამ აღნიშნული ნიმუშებისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ მათზე ხშირად ჯვარია გამოსახული, ან ტექსტი-ვედრება; შეწყალების, სულის მოხსენიების ფორმულით, რასაც ნეკრესის წარწერებზე ვერ ვხვდებით. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია და მეტად მნიშვნელოვანიც, რამდენადაც ზემოთ აღნიშნულ ძეგლებზე მოთავსებული ქრისტიანული სიმბოლოსა და ფორმულისაგან განსხვავებულ ნიმუშებთან უნდა გვქონდეს საქმე იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ უკანასკნელთ საფლავის ქვებად მივიჩნევთ. ეს გარემოება სხვა მონაცემებთან ერთად გვამახვილებინებს ყურადღებას ნეკრესის წარწერების სიძველეზე, რაც შეეხება მესამე წარწერიან ქვას, სადაც საკუთარი სახელი „თობულა“ არის ამოკაწრული, არ გამოვრიცხავ მის სამანის, მიჯნის ქვად მიჩნევას.

რაც შეეხება წარწერების პალეოგრაფიულ მხარეს, ისინი ძველი ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ნიშნებით არიან გამოსაყოფი: ბ თავშეკრულია, ე, ვ, ლ მარცხნივ გაზიდული ხაზების გარეშეა, ისე, რომ მათი ჩათვლა ძველი ქართული წარწერების რიგში არ უნდა იყოს გადამეტებული, უფრო მეტიც, ისინი დღეს ჩვენთვის ცნობილ ძველ ქართულ წარწერებს შორის ყველაზე ძველებად უნდა მივიჩნიოთ.

წარწერების თარიღის განსაზღვრა, ზემოთ აღნიშნულის გარდა, უნდა მოხერხდეს სტრატიგრაფიული ფენებისა და თანმხლები არქეოლოგიური მასალების მიხედვით, რაც შემდეგნაირ სურათს იძლევა.

ზევით უკვე ითქვა, რომ ნეკრესის „ნაგებების“ უბანზე, მშენებლობის სამი ფენა შეიძლება დავინახოთ: ყველაზე ძველია სასახლე-დარბაზი, რომლის შესასვლელიც, ქვით ნაგები მრგვალი სვეტებით იყო მოწყობილი და ასეთივე სვეტებზე დაყრდნობილი კამაროვანი სახურავი ჰქონდა. მეორე ფენაა მარანი, რომელიც მოუწყვიათ სასახლის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ. მშენებლობის მესამე ფენაშია სავარაუდებელი ვრცელი ნაგებობა, რომლისთვისაც დასავლეთიდან თაღედური ღია შესასვლელი მიუშენებიათ.

ქართული წერილობითი ცნობების მიხედვით ნეკრესში დიდი ალმშენებლობითი სამუშაოებს წარმოებს 11 ს-ში. ამ საუკუნის დასაწყისში მირვანოზმა „მოამტკიც-

(დასასრული მე-16 გვ.)



წარწერა № 4



წარწერა № 3



წარწერა № 6

## შოთა ნიშნიანიძე

# ახალი ლექსები



### ასაწყობი, დასაბეჭდი და ასაკინძი ფიქრები „წიგნის ფაბრიკაში“

I

წიგნის ფაბრიკა ჰგავს ჰოსპიტალს
ანუ ლაზარეთს.
წიგნის ფაბრიკა მიცვლილია,
როგორც ლაზარე.

ყრია წიგნები დაჭრილები, დაბინტულები
საფრთხობელები...
პარიკები...
და ფიტულები...

სიტყვა ქართული არაერთხელ ავაკელაპტრეთ,
მაგრამ ვინა ვართ ან რანი ვართ, ვერ თქვას ვერავინ.
დიდს და პატარას ერთნაირად ყველას გვკერავდნენ
და მაინც, მაინც ბევრი დარჩა შეუკერავი.

ჩვენც წიგნები ვართ,
შეკერილი თუ დასტამბული.
რა ბედენაა, კაჟი იყავ თუნდა სტამბულის.

გაძვირებულა უსაშველოდ რაკი ქაღალდი,
იქნება სჯობდეს დავუბრუნდეთ ხალხურ მთქმელობას,
ფანდურზე დაკრულ მოყმისა და ვეფხვის ბალადით
ერთხელაც კიდევ გავაოცოთ მთელი ევროპა.

II

ქართველო ბიჭო,
ჩემითაც ხარ თუ ხარ გულადი,
მაგ სისხლს, ლომის სისხლს ქართველურად მეც გიდუღებდი.
გმირის ჩაჩქანს და ჯვრის ათინათს მეც გახურავდი,
მეც ამოგგლისე, ამოგკირე ლექსის დუღაბით.

სიბრძნით არ ვცრუობ
და არაკსაც ვიტყვი რუქასებრ:
ერო, რით უნდა იარსებო ქვეყნის რუკაზე?
ჯარით, ტანკებით, სატანური ღრუბლის სოკოთი?
თუ რითაც ხარსა და წინაპარს ზურგით მოჰქონდი:
ციხე-ტაძრებით, ვენახებით — ღვთის მხედრიონით,
ანბანით, რჯულით, სიყვარულით, — ცის საყდრიონით.
იგივე სტუმარ-მასპინძლობით, ზნე-ჩვეულებით,
ყველაფერ იმით, რასაცა ვართ შეჩვეულები.
ფრესკით, ჩუქურთმით, სიმღერებით, ჭით და კერიით,
თუნდაც როკვაში განფენილი შენი გენიით.

III

ნახევარმთვარე, სადაც არი, იელვებს რისხვით...
ირანის ლომი თათს ილოკავს...
დრტვინავს სკვითია...

აგერ, მგლის ლეკვი ალგეთელი იარაღს ისხამს,
აშლილ ქეჩოზე (ეს კი მიკვირს) ჯვარი ჰკიდია...

### ტელექრონიკა

ისევ და ისევ დაიკარგა ავტომანქანა...
ისევ და ისევ...
მოქალაქენო,
ამ შემთხვევას ნუ განაცხადებთ,
ის გირჩევნიათ, მოპარული გამოისყიდოთ,
ისევ და ისევ...

გუშინ შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა...
ვინც კაცს იტაცებს,
ბავშვს იპარავს უპირატესად,
არაკაცია და პირატზეც უპირატესი.

ქართველმა ქართველს ბენზინის თუ ჯინსის გულისთვის...
ყელი გამოჭრა, რა თქმა უნდა, მთელ საქართველოს.

აგერ რიგები, სქელ-სქელი თუ ფერდებჩაყრილი,
იზმორებიან ცხრათავიან გველეშაპივით...
ისევ და ისევ...

ო, ღვთისმშობელო, მაგ მწყალობელ კალთას გიკოცნი.
არა კაც ჰკლათო, ივედრება კათალიკოსი,
ისევ და ისევ...
სტუმრად მოსული, აწ მფლობელი სამაჩაბლოსი,
ძმობის მაგიერ სიძულვილით გვიმასპინძლდება.
წუხს ყველა:
ძველი ჯარისკაცი თუ პარტიზანი,
ერი, ბერი თუ მესვეურნი პარტიისანი,
ისევ და ისევ.

ქართველიც ჩარჩობს და კისრულობს საქოს მისიას —
სარდაფებისგან აკოწიწებს საკომისიოს..

და აჰა კიდევ:
ჩვილი ბავშვის გადასარჩენად
უბრალო წამალს მოკრძალებით გვთხოვს სახელმწიფო,
ისევ და ისევ..

მაგრამ სად არის, როგორც სიბრძნე ეპიკურელის,
წამალი რამე ამ ულმერთო ჟამთგამკურნელი?..

●

— ყრმა უცოდველი რატომ ტირის დაბადებისას?
— ვაი, რომ უჭირს განშორება ანგელოსებთან.

●

ზოგი პოეტი ბულბულის ყელია,
ზოგი — ვულკანის.
ზოგი კი, ზოგი — სულ უბრალო ჭიაყელაა,
ანკესზე ცოცხლად დაგებული ბრბოს სატყუარად...
. . . . , , , , ,
ო, მებადურო, დიდება შენდა...

### მისტიკური სიზმრის ნაწყვეტი

საყდართან ვნახე მათხოვარი
და ცუდად გავხდი...
ძველ ცხოვრებაში მე იმისი ძაღლი ვიყავი...

●

თქვით, რა აკლდება მაფშალიას ან მის გალობას,
თუ უღრან ტყეში კაცთაგანი არავინ უსმენს?

●

პირჯვრის მსახავი თუ არის ვინმე,
არგამკითხავი მადლის და ცოდვის,
ყველა მშიერ ბავშვს, ძაღლსა თუ ფრინველს
იმათ მაგიერ მე ვუხდი ბოდიშს.

### თავისუფლება

თავისუფლება ყველას უნდა ღმერთის სუფევით
და მას ესწრაფის ყველა არსი, კაცი თუ ტომი.
პატარას უნდა სულ პატარა თავისუფლება,
დიდკაცს კი დიდი
— სიკვდილის ტოლი.

### ძველი კაზაკური სიმღერა

აფერადდა მინდორ-ველი და ჭალებიც აკვარელდა,
მთელი ღამე სროლებია... ვერ წავსულვარ საყვარელთან.,,

ახ, გიტარავ, დამიჯერე, თოფ-იარაღს მირჩევნიხარ,
ხშირად ველარ გეფერები — ბრაზიანი პინჩერი ხარ.

სტეპში მგლების თარეშია და მგელს ვხედავ ახლობელშიც,
თუ პეტლურას გავექეცი, ჩავვარდები მახნოს ხელში.

— ატამანო, ატამანო, წერას აუტანიხარო,
ამაყი ხარ, დიდგულა ხარ... თი, ნამეტანი ხარო.

ათას მაზეს,
ათას ბადეს,
ათას ფაცერს დავუძვერი,
მე ვინ ვიყო, ან სად ვიყო — ნუ მკარნახობ მაუზერით.

— ატამანს ნუ აუხტებით, თორემ მოდის ბუდიონი,
წითელ ჯარში გაგვრეკავენ ყველას დედა-ბუდიანად.

ახ, გიტარავ, შე როსკიპო, ღამ-ღამობით სად დადიხარ,
ატამანსაც უღალატე — ხელიდან ხელში გადადიხარ.
— Эх, раз, еще раз,
еще много, много раз...
იმედი არ დამიკარგავს, ვეძებ ერთგულ გოგონას.
. . . . . . . . .
ასეთ დროში თავს წააგებს გულადიც და ჭკვიანიც...
მაუზერი ვერ გიშველის, ჩემო ნესტორ ივანიჩ...

### ნოეს სამი კიდობანი — უნივერსიტეტი... აკვანი... ეკლესია...

თეთრი ტაძარი შორიდანვე გავდა კიდობანს,
ნოეს კიდობანს,
წარღვნაშიაც რომ მიინდობა.

ისინი ტაძრით გამოვიდნენ...
ქაშვეთთან ილოცეს...
მლოცველი მეტი იქნებოდა, ვიდრე ნილოსზე.

ვილაც ქადაგად გადმომდგარი ეკვდერს ზემოდან
მორწმუნეს მთავარანგელოზი ეგონებოდა.

იყო ნათლობა და გალობა გადასარევი,
რეკდნენ ზარები, ქაშუეთის რეკდნენ ზარები.

მთასავით სვანი მხარზე აკვნით დავლანდე უცბად,
თითქოს მოადგა კიდობანი ციცაბოს მაღალს,
არა არარატს —
არამედ უშბას,
არა წარსულში —
არამედ ახლა.
ქაშვეთიც იყო კიდობანი, ნათელში მჯდარი.

გაიხსნა კარი ალსავლისა
და ცა მეშვიდე...

მზეს უცინოდა ქაშვეთზე ჯვარი,
ჯვარი მტრედივით აფრენილი უფლის პეშვიდან.

●

რომ დავფიქრდები,
უნებურად ბრაზი მერევა:
ეს ვინ ქილიკობს მოკიკინე და მოპეტელე?
ეჰ, თქვენ რა იცით... მე კი მართლა ბედნიერი ვარ, —
მგელკაცებს იმდენს მოვსწრებივარ — რკინისმკვნეტელებს.

ჰაი, ჰაი, რომ სისხლი გიდუღთ იმ მგელკაცების...
იმათ კი შუბლებს უჩეხავდნენ, როგორც ჩაფხუტებს.
ნაჩეხ-ნაგვემნი კბილებს მგლურად აკაწკაწებდნენ...
და მერე წითელ ბელტებივით სადღაც ჩადუღდნენ.

არა! მონობა ქართველისთვის უცხო ხილია,
თქვენს „ცოდვილ“ მამებს სხვა დროება შეხვდა აშარი.
იმ ერს, შვილებო,
ცოტნე რომ ჰყავს,
რომ ჰყავს ილია,
განა ოდესმე შეიძლება ერქვას ლაჩარი?

რომში,
მელბურნში,
ტოკიოში,
სტამბულ-მარსელში,
იქ, სადაც ძალისკვ[illegible] მარულ-დოლია,
უცხოელების ხალიჩებზე ბრბოს ღრიანცელში
თქვენი მამების
ქართულ ზურგებს,
არ უხოხიათ!

ჩემმა თაობამ ბევრი ნახა ცრემლი და ჭირი
და მისი სიტყვა სულ სხვანაირ თესლად გაღივდა.
ლომის სუნი სდის ამ თაობას
და რატომ ვწირავთ
ამონთხეულს და გამოგლეჯილს
ლომის ხახიდან.

დაე, შვილებო,
ნუ მოგაკლოთ ღმერთმა შეწევნა, —
რომ ბრძღვინავთ — ვიცი, ლომები ხართ ნაშიმშილევი.
მაგ უშველებელ, უზარმაზარ ტვირთის აწევას
განა შეძლებდით „მონების“ და „ლაჩრის“ შვილები?!

### თუ ძმამ ძმასა ყისტი მოსდო

ვისაც ენა ექავება, ანდა ხელი მოცარვია,
ორი ანაბანას მცოდნე ყველა ერის მოძღვარია?
რატომა და ამიტომ,
იმიტომაც, ძმობილო,
შუბს ხალთაში, მღვდელს ჭილოფში — ველარავინ ცნობილობს.

თუ ძმამ ძმასა ყისტი მოსდო და ქვეყანა გაიწირა,
ბატონიშვილს ჩამოვიყვანთ, მივუჯდებით ტახტისძირა.
რატომა და ამიტომ,
იმიტომაც, გეთაყვა,
მტრის ჯინაზე მეფის ახლოს ვიტრიალებთ დღედაღამ.

ყველას თავის ელოდება წიწამურიც, ლამისყანაც,
ეშაფოტზე ის აგიყვანს, ვინაც ტახტზე აგიყვანა.
რატომა და ამიტომ,
იმიტომაც, სერ,
სირეგვნეზე ცოტას ვამბობთ, უფრო ცოტას ვწერთ.

მაგრამ გმირი ის იქნება, ფალავანთა ფალავანიც,
ვინც ააგოს თავისუფალ საქართველოს გალავანი.
რატომა და ამიტომ,
იმიტომაც, ძვირფასო,
რაც დიდია — მამულის სიყვარულში ძირფესვობს.

●

თარაშ ემხვარი აღარ მკოცნის, —
ვისი დანაშაულია?
ახ, გენერალმა მომიწამლა —
„ლიხნში“ არაყი ჩაურია.

ემხვარს გონება დიდად უჭრის,
მაგრამ რა უცნაურია,
გენერალმა და გენერალმა
და გენერალშამ აურია.

ო, ჩემო მწარე სიყვარულო,
ქართულ-აფხაზურ სამანებო,
თქვენ არ მომიკვდეთ, თქვენი თავი
თქვენსა და ჩემს მტერს დავანებო.

შენი ბედი და ჩემი ბედი
ჩვენივე ცრემლით გასკვნილია,
ამ ცა და მიწის მეპატრონე
ამირანი და აბსრკილია.

ახ, ბატონო და ქალბატონო,
შერვაშიძეთა უფლისწულო,
წინაპარივით ძველებურად
ჩვენს ნათელ-მირონს თუ ფიცულობთ?

◉

არის სულ სხვა სამყარო, მარად ლაჟვარდოვანი,
უჩინარ-უსმინარი, ცისარტყელის მთოვარი.
მას ხედავენ სიზმარში, მას უსმენენ მძინარნი,
წმინდანები, ნეტარნი, ბავშვურ სახემცინარნი.
სასჯელია... ტანჯვაა ის, რაც ვიცი ცოტ-ცოტა,
ნეტამც სულ არაფერი, არაფერი მცოდნოდა.
როგორც გზა არ ილევა უკვდავების წყარომდის:
ბრმა ვარ იმ სამყაროსთვის, ყრუ ვარ იმ სამყაროსთვის.
მაინც უნდა გახაროთ... ჭეშმარიტად გახაროთ:
არის... ნამდვილად არის!.. არის სულ სხვა სამყარო...

●

სიჩუმეა... ჭალაში დგას ლაჟვარდის ბური,
წყნარად ყანისძირებში დაბალახობს ფური.
ბალახებზე ძოვის ხმა ნიავივით ცოცავს,
როგორც უნეტარესი მუსიკა და ლოცვა.
სრული ჰარმონიაა ფრინველთა და მწერთა...
. . . . . . . . . .
ალბათ მათე სახარებას ასეთ დარში წერდა...

### თეატრში

შვენოდა ოქროს გვირგვინოსანს ოქროს პორფირი,
ტახტზე მჯდომარეს სულ მახვილი ეჭირა ხელში;
შორიდან ყველას აძრწუნებდა ლომის პროფილით,
ყველას ეგონა ღმერთების ელჩი.
როცა ტახტიდან გადმოაგდეს ჯანყით, ღალატით,
ახლოდან ვნახეთ და არაფრით არ გავდა საშიშს.
პორფირის მაგიერ — გიჟის ხალათი,
გვირგვინის მაგიერ — მასხარის ჩაჩი.

### ქამელეონი

ქამელეონო, შენი დრო დადგა
და რაც არ უნდა ვიყოთ ფხიზლები, —
შენ ფერს შეიცვლი, შეიცვლი, მაგრამ
ბუნებით მაინც ვერ შეიცვლები.

### ყველას მეგობარი

პარტიაში შევიდა — სახელი იშოვნა...
პარტიიდან გამოვიდა — სახელი იშოვნა...
და მაინც სახელგატეხილია...

### ბედი

ჯერ სანამ, სანამ მილიონებს ტყვია მოცელავს,
ჯერ სანამ, სანამ საფლავები ამოიკვნესებს,
„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ და ბიჭი სოსელო
ერთად არბიან გრრის ციხეზე.
ჯერ სანამ, სანამ ევროპის ცას კვამლი დაბინდავს,
ჯერ სანამ, სანამ ყველა გზაზე ჯავრი გაწვება,
ჯერ სანამ, სანამ „მაინ კამპფიდან“
გადმოცვივიან სტრიქონები ჯარისკაცებად,

სადღაც ტყისპირად ფუნჯს აწვალებს ნორჩი მხატვარი,
მზე ჩადის ტბაში...
და ნისლები სხედან გედებად...
. . . . . . . . .
გავა ჟამი და
გააგრძელებს ეშმა ართვალი
მგოსნის და მხატვრის ამ უცოდველ შემოქმედებას...



მდინარე ტანას ხეობა. ატენის სიონი.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო



# ოთარ ჩხეიძე

# პროფესორის ტემპერამენტი

მე ცოტა ადრე მოვდივარ. ზარამდის შევდივარ აუდიტორიაში. არც ისინი იგვიანებენ. ზარის შემდეგ შემოლაგდებიან. თამამად შემოლაგდებიან, ახალი ნაწარმოები თუ მოუტანიათ, თუ არა, — მორცხვად ილიმებიან, ან თვალს მარიდებენ. ახლაც ასეა. არ მოუტანიათ. ოღონდ ისიცაა, არც ილიმება ორი ყმაწვილი, არც თვალს მარიდებს. არც ახლოს მოდიან. სხდებიან შორსა, შუაში რო ცარიელი მერხები რჩება, ჭგუფისა და იმ ორი ყმაწვილის შუაში. იმათთაგან, ერთ-ერთის ჭერი გახლდა, მეორეს მეორე კვირას უწევდა. ეტყობა, ამ ერთს ვერ მოუსწრია. ვერც ის მოასწრებს, ეტყობათ. პირობა არ გაუტეხიათ. პირველი შემთხვევაა. რაღაც მიზეზია. ნათელი მიზეზია: წერეს, წერეს, წერეს, რაც რო შეეძლოთ, თუ რაც იცოდნენ და გამოელიათ საწერი. გამოელიათ. ერთბაშად მიეცნენ, ერთბაშად შეახკდნენ და ერთბაშადაც ამოიწურნენ. შეკრთნენ, შეიძლება რო შეშინდნენ კიდევაცა, ოღონდა მორცხვად არ ილიმებიან, სახეც ალეწიათ, ცივად ალეწიათ. სჯობს რო არაფერი ვკითხო. სჯობს, რო მევე დავიწყო. ოღონდ რა დავიწყო. ოღონდ რა სჯობს ამ შემთხვევაში?... რაღა რაიო, — შემოქმედი და შემოქმედებითი განწყობა. სჯობს. ასე სჯობს. ამაზე არც მილაპარაკნია, რაღაზე არაო, ამაზე არა, რო წერდნენ და წერდნენ, გახელებული წერდნენ. თითქოს შეჯიბრებულანო. მაგრამ აი დაუდგათ ჟამი შეჭირვებისა, ჭერ იმათ დაუდგათ, რომლებიც რო სხვებზე მეტსა წერდნენ, უკეთესადაცა წერდნენ სხვებზედა. ამათაც დაუდგებათ, ამათა, ჭერ ისევ მორცხვად რო ილიმებიან, რო აღარ მარიდებენ თვალსა, რო მიმხვდნენ, რო მივუხვდი, ხელცარიელები რო მოსულან. ამას მიმხვდარან. იმას ვერა, ესენი ჭერ ვერა, რო დასდგომიათ ჟამი შეჭირვებისა. ისინიც ვერა. ამდენს ვერაო, მხოლოდ იმდენსა, — რაღაც რო მოხდა, მოულოდნელი რაღაც რო მოხდა:

ჟამი შეჭირვებისა, —

მოულოდნელი ამათთვისა, ასე ახალგაზრდებისათვისა: ესაა რო იწყებენ და რო მისდგომიან უპირველეს დაბრკოლებასა.

ამაზე არაფერი მითქვამს, ახლა მივადექით, ახლა უნდა თქმულიყო.

არაფერს ვეკითხავ, პასუხს არ მოვითხოვ, მე ვიწყებ.

ოდნავ ჩავახველებ, მხოლოდ მე რო მესმის, ისე ოდნავა, — თითქოს რო კამერტონიაო, როგორ რო დავიწყო, რა ხმაზედა, რომელ ხმაზედა. და ამასობაში წამოდგება ერთი იმ ორთაგანა. წამოდგება. ბოდიშს მოიხდის:

შეიძლება, ვთქვაო.

ბრძანეთმეთქი.

და ბრძანა:

თუ როგორ უნდა ვწეროთ, უკვე ვისწავლეთო. ვიცით, როგორ დავიწყოთ, როგორ მოვყვეთ, როგორ დავამთავროთ. მაგრამ რა დავიწყოთ, რა მოვყვეთ, რა დავამთავროთ?... რა დავწეროთ, ეს არ ვიცითო.

ცხოვრებაო.

შეახსენა ერთმა ქალიშვილმა. გამომესარჩლა. მიჰხვდა, საყვედური რო გაისმოდა ვაჟის ნათქვამში.

ცხოვრება ვრცელია, უსაზღვროაო. ყველა ყველაფერს ვერ გახწვდება. ვერც ვერავინ გახწვდება ყველაფერსაო. მითუმეტეს, ჩვენაო. ჩვენ უნდა მიგვითითონ, მიგვასწავლონ, ესეც უნდა მიგვასწავლონო, უნდა გვასწავლონო, როგორც რო წერის ხელოვნებას გვასწავლიანო.

არ დასთმო ვაჟმა.

მეორე თავს უქნევდა, უდასტურებდა მართალიაო, ანთუ აქეზებდა, ერთად რო მოეფიქრათ, ერთად რო გადაეწყვიტათ, რო გაენაწილებინათ სათქმელიცა და ალბათ, ახლა ის რო განაგრძობდა, ახლა ან მერეო, უფრო მერეო, ჭერ რო არაფერი არ გასჭირვებოდა იმის მეგობარსა. ვუსმენდი მორჩილადა, თანაგრძნობითა, აღარც აღარავინ მესარჩლებოდა.

ეს როგორრამეთქი, თემები უნდა დაგირიგოთმეთქი.

დიახო.

მყისვე მომაყოლა ყმაწვილმა. გაიბადრნენ სხვები, ყველანი გაიბადრნენ. თვითონ ის არა, ალბათ, რო კიდევ რაღაც რო უნდა ეთქვა, ანთუ შეკითხვა არ დაუჯდა ჭკუაში; ანთუ არ ეჭაშნიკა კილო შეკითხვისა. არ გაიბადრა. თითქოს წინაც წამოიწია, მერხი რო რახაც გამოუშვებდა.

ჩვენ მაშინ ზღვისპირას ვისხედითმეთქი...

გაიკვირვეს, — რის პასუხი იყო?...

სანაპიროზე ვისხედითმეთქი, გავიმეორე.

ზეცა გაჭექილიყო ვარსკვლავებითა. თითქოს რო ზღვაშიც რო ვარსკვლავები ეყარა.

ეყარა.

ყრილიყო.

გატვრენილიყო, გამტკნარებულიყო ზღვაი. ოდნავ თუ შრიალებდა, სულ ოდნავა, აღარც გაისმოდა თუ დაიჩურჩულებდი, ისე ოდნავა.

ის ზეცას აცქეროდა. ასტრონომი გახლდათ. მეც ავცქეროდი. ზღვასაც გავცქეროდი, მიწასაცა თუ ხალხსაცა, რაც რო დაინაზბოდა ლამპიონების ქვეშა. მე ეს გახლდით. დავლლილიყავით და ვისვენებდით. დილიდანვე ჭაფა გველოდა. დავლლილიყავით და ლაპარაკიც აღარ გვინდოდა. ისა ნანობდა და ალაპარაკებდა სინანული. ალაპარაკებდა. იშვიათია ასეთი ღამეებიო. მე ახლა აქ რა მინდა, ობსერვატორიაში უნდა ვიჯდეო. ვინ იცის, ამ წამში თუ რა ჰხდება სამყაროში, წამში ჰხდება და გაჰქრება, თუ არ შეესწრო ადამიანის თვალიო. გაჰქრება, გაჰქრება, სამუდამოდაო. მერე და ვინ უწყის, თუ რა აგვისხნას სწორედ ამ წამმა, ამ, ამ წამმა, მე რო აქ ასე ამაოდა ვლაპარაკობ, აქ რო ვზივარ და იქ არა ვზივარ, სადაც უნდა ვიჯდეო. ასეთი ჰაჰჰაჰა ღამეები ყანობილმა იცის. იქ უნდა ვიყვეო, პულკოვომაც იცის, თუნდაც იქ ვიყვეო, აქ არა, აქ მაინც არ უნდა ვიყვეო. ან ასეთი ღამე აქ არ უნდა იყოს, რა უნდა, რას შემოგვიჩნდა ამ წვიმებითა და სინესტით სახელგანთქმულ ქალაქშიო. ნანობდა, ნაღვლობდა, ბუზღუნებდა ისე, რო ახარებდა და რო ენანებოდა.

თავიდან არც ვიცოდი ფასი ასეთი ღამეებისა.

განაგრძობდა:

ასპირანტურაში აქ მიმიღეს. მერე პულკოვოს გამამწესეს რამდენიმე ხნითა. ერთ ძველ პროფესორს მიმაბარეს. მაშინ, ასე რო უწოდებდნენ, უცხოეთში ვინც რო განსწავლულიყო და ერთხანს აღარც რო არ ენდობოდნენ. ისიც აღარავის აღარ ენდობოდა და მეც არ მიცქეროდა მაინცდამაინც კარგი თვალითა. მაინც მიღიმოდა, მაინც გულიანად მესალმებოდა, მემშვიდობებოდა ისევ ისე, თუ კიდევ უფრო გულიანადა. ეს იყო, მეტი არაფერი. თუ რამეს მკითხავდა, მზად ვიყავი მომეთხრო, თუ რასა ვკითხულობდი, თუ რასა ვფიქრობდი, თუ რას ვაპირებდი, მაგრამ არაფერს მეკითხებოდა. არც არაფერს მავალებდა. ისე, ჩემით მივიკვლევდი გზასა, ანთუ რასაც რო ყურს მოვკრავდი, იმას ავყვებოდი, ხან იმასა და ხან იმასა, როგორც რო იცვლებოდა ყურმოკრული ამბები, ვედებოდით ლობე-ყორესა. მივხვდი. შევწუხდი. შევბედე პროფესორსა, ეგება თემა დამისახოთმეთქი. მეუბნებოდნენ: ეგ დიდი თავი, — დიდი თავი ჰქონდა, — აურაცხელი პრობლემებითა აქვს გამოტენილიო, თემები, საკითხები, არაფერია მაგისთვისაო, შეუძლიან, რო ისე ლაშფანტოს, აღარც ახსოვდესო. მეუბნებოდნენ და მჯეროდა. ვკითხულობდი იმის წიგნებსა. საოცარი ენერგია იგრძნობოდა, გარდა იმისა, რო თვალსაჩინო მიღწევებიცა ჰქონდა, ჰიპოტეზები ჰო გადასარევი. მეუბნებოდნენ და მჯეროდა. მჯეროდა და შევბედე. თანაც ჰო ყველა ჩამჩიჩინებდა, — დრო არ დაჰკარგო, წუთი არ დაჰკარგო, ისე არ დაბრუნდე, დისერტაცია არ ჩამოიტანოო, — ჩამჩიჩინებდნენ და ჩამჩიჩინებდნენ, შინაურნი თუ გარეულნიო, წერილებშიც ჰო ამას მევედრებოდნენ, წუთი არ დაჰკარგოო. პირდაპირი ტელეფონი მაშინ ჭერ არ იყო, თორემ ამიკლებდნენ. ტელეფონითაცა. ჰოდა შევბედე.

„თემა?!“.

შემომხედა პროფესორმა, დიდი თავი რო ება, შუბლიც დიდი ჰქონდა; გაგანიერებულიცა და წამობურთულიცა, თვალები წვრილი თუ სადღაც ჩაცვენილი, რო არც უჩანდა, ალბათ, რო მეგონა, შემომხედამეთქი.

„თემა...“

მოვუწვრილე ხმასა, რო გამომხვლოდა ვედრებაცა, მოვალეობაც მეგრძნობინებინა.

„თემა!..“

აღმატებულად აღმოთქვა პროფესორმა.

„თემა!!!...“

კიდევ აღმოთქვა, კიდევ უფრო აღმატებულადა.

„თემა!!!!!!!!...“

კიდევა. მომეტებული აღმატებითა.

აიღო პორთფელი და წავიდა.

წავიდა და მოვიდა. წავიდა და მოვიდა. აღარც ახსოვდა, თუ რას დამპირდა, მეგონა, რო აღარც მე ვახსოვდი, თუმცა, შემომხედავდა, თუმცა მესალმებოდა, რაღაცას მეტყოდა კიდევაცა, ოღონდ ისე რო ალბათ ვერც არჩევდა, ვის მიჭართავდა თუ ვის ეუბნებოდა. ემართება ხოლმეო, ესეც გამეგონა, დაბერდა, რას ვიზამთ, სიბერე ის ბედაურია, ყველას კარზე რო დაიჩოქებსო. მეუბნებოდნენ და ვხედავდი. ოღონდაო, ჭერ მაინც ისეა, მალე რო გადაუვლის ხოლმეო, თავი ისევ პრობლემებითა აქვს გამოტენილი, ეგ რო მიაგნებს, ჭერ ისე სხვა ვერაო. მეუბნებოდნენ და მჯეროდა, თუმცა, კარგა ხანია, რო ველარაფრისათვის მიეგნო, მაგრამ მე მაინც ჩემი მიგნებები უფრო მეწადა და თუ რამ მჯეროდა, იმიტომაცა მჯეროდა. ოღონდ ეგ იყო, მჯეროდა და მჯეროდა, აღარ ვახსოვდი, ნამდვილად აღარა. სხვა გზა არ იყო, უნდა შემეხსენებინა თავი. დრო გადიოდა. წუთი არ დაკარგოო, მაფრთხილებდნენ და მეც მავსებდა შიშითა ყოველი დაკარგული წუთი, წუთი მავსებდა, ერთი, ერთი დაკარგული წუთი, და აი, იკარგებოდა დღეები, კვირეები, თვეები, თვეები იკარგებოდა, ალბათ, რო თავზარი დამეცემოდა, მიწა პირს იზამდა და თან ჩამიტანდა. ჩამიტანდა. და ეს ყველაფერი ამისი გულმავიწყობის გამო, ანთუ ჩემი მორიდების გამო. და ჭანდაბას იმისი გულმავიწყობაცა და ჩემი მორიდებაცამეთქი. და შევახსენე თავი.

„თემა!!!“.

შეხძახა ისე, თითქოს ესაა რო გაახსენდაო.

„დიახ !.. დიახ!.. დიახ!..“

დავატანე მყისვე, რო არ მახსოვს, რო რამდენჭერ დავატანე, რო ისევ არ გადაავიწყდეს, რო ისევ არ ჩაიკარგოსმეთქი.

„თემა!..“

გაიმეორა დაბეჭითებითა. აიღო პორთფელი და წავიდა. წავიდა და მოვიდა. მოვიდა ისევე, რო აღარ ვახსოვდი, აღარც რო ჩემი თემა ახსოვდა. აღარც მე მოვერიდე, რაზან შევბედე, შევბედე და შევბედე, უკეთესიცაამეთქი, თავს ვიმართლებდი, გულმავიწყობა არ გაუკვირდება, არ დამორჩილდება სიბერესამეთქი. ჩემთვის ვიმართლებდი. ვთამამდებოდი. თითქოს რო მკურნალადაც დავუდექი. მიდიოდა, მივაცილებდი, — თემაიმეთქი, მოდიოდა, ვეგებებოდი, თემაიმეთქი, ისე რო, ბოლოს სალამი დაგვავიწყდა, გამომშვიდობებაც დაგვავიწყდა: „თემა!..“ ასწევდა ხელსა, გამოჩნდებოდა თუ არა, „თემა!..“ მივუგებდი მეცა; „თემა!..“ მეტყოდა ისევე, პორთფელს რო აიღებდა, რო მიდიოდა, „თემა!..“ მეც ასევე გავუთავეზებდი გზასა. და ჭერ რო მეგონა, რო განიკურნა ჩემი პროფესორი, მერე მივჰხვდი, რო დამცინოდა. ამისი წამალი აღარ ვიცოდი. ისიც არ ვიცოდი, თვითონ გამომიჩნდა. წამლად არ მექცა, მაგრამ შესცვალა მაინცა, ცოტა შესცვალა ჩემი პროფესორი, „თემა, თემა, თემა!..“ ლამის რო სხვა სიტყვები სულაც დავიწყებოდა, — შესცვალა ცხადია, მაგრამ მე რაო, ჩემთვის ეს მაინც საშველი არ გახლდა, ახლა სხვა რაღაც წამალი მინდოდა, რაღაც უებარი, ყოველშემთხვევაში, ისეთი მაინცა, ამხელა უკურეაქცია [illegible] მინდოდა. არ იყო. არა სჩანდა. რაც უნდა იყოს, ვიმედოვნებდი, რო გავიტანდი ჩემსასა. ვმხნეობდი. ვმხნეობდი. მეგონა, მალე ჩავიგდებდი ხელში რაღაც საამისო ზერხსა თუ მალამოსა. მეგონა. მეგონა. და აი, რო მეგონა ასე, მე თვითონ ავიშალე თუ ავიფუტკნე ჩემდა მოულოდნელადა. ერთბაშად დამემართა თუ ნელნელა გამიჭდა, ახლაც არ ვიცი, მაშინაც რო ვერ მივმხდარიყავი, ოღონდ ესაა, რო დავფრთხი ერთ დღესა, დავფრთხი, შევშინდი, რაღაც უცნაურმა ჟრუოლამ ამიტანა და გავიქეცი, თვალი რო მოვკარი, გავექეცი და ყურებზედაც ავიფარე ხელი, „თემა!...“ რო აღარ გავიგონო მეთქი. გავიქეცი და ვერც გავიქეცი, რო დამეძებდა და ყველგანა მკითხულობდა, თემა სად არისო. აღარც სახელით, მამის სახელით, აღარც გვარით, თემა სად არისო. „თემა!..“ „თემა!..“ „თემა!..“. დამეძებდნენ ყველანი, მომძახოდნენ ყველანი, მპოულობდნენ ყველანი. ხსნა აღარ იყო. უნდა ამეკრა გუდანაბადი. უნდა გამოვქცეულიყავი. და მიყელა. ბიბლიოთეკის კარებში შევეფეთეთ ერთმანეთსა. იქვე მაგიდასთან მიმიწყვრია. პორთფელი გადასდო მაგიდაზედა. ხელი გაჰხიდა. ეს რო ცალი ხელით, მეორეთი ჭიბეები მოიქექა. მოიქექა და იქექავდა, თან რო ბურტყუნებდა: „თემა!..“ „თემა!..“ „თემა!..“ ბურტყუნებდა ისე, რო დაიჭერებდი, აგერ რო მედო, რა მექნაო. დაიჭერებდიო და დავიჭერე. დავიჭერე და მივაცეცე თვალები, აგერ ამოიღებს, აგერა გამახარებსმეთქი. მივაცეცე და მივაფეთე. დავფაცურდი კიდევაცა, ვშველოდი ჭიბეების გადმობრუნებაში. მერე პორთფელში ჩაყირავდა. იქაც ჩავყავი ცხვირი. მერე გადმოაბრუნა, ვქექავდით ერთადა, რაც რო გადმოლავდა პორთფელიდანა. ვქექავდით და ვქექავდით, თან რო გაისმოდა განუწყვეტელი ბურტყუნი, თუ როგორრლაც გაბმული თუ აწყობილი რეჩიტატივივითა: „თემა!..“ „თემა!..“ „თემა!..“ მაგრამ ეს უკვე აღარ მაბრაზებდა, ვიცოდი, რო თემა იქ იყო, იქ იყო, აი ამაა და წამოვარდებოდა. ვიცოდი. დავრწმუნდი. აღარ მაბრაზებდა, აღარა, ისე აღარა, რო უცებ, რო შეჩერდა პროფესორი, ხელი რო ჩაიქნია საბოლოოდა თქვა, ფაფუ, არ არისო, მაინც არ დამიკარგავს იმედი, მაინც მივაჩერდი, ზეპირად მაინც მოიგონებსმეთქი. ისიც მომაჩერდა, ანთუ რა მომაჩერდა, ლამის რო შუბლი მომაბჯინა შუბლზედა, ხელი ჩამავლო და გამიტაცა აივანზედა, მართლაც გამიტაცა, ძალა ვიგრძენი, ძალა მიმათრევდა. გამიტაცა და გაშალა ორივე ხელი:

„აი თემა!..“.

ზეცა ჰახჰახებდა, ასე ჰახჰახებდა, ასე, ასე, ნამდვილად რო ასე ჰახჰახებდა. და იქვეც იყო, იქვე, იქავე, ლამის რო მისწვდომოდა პროფესორი, ლამის რო ხელითვე ჩამოეკრიფა ვარსკვლავები, ლამისაო და კიდევაც მისწვდებოდა, ოღონდ ცერებზე რო აეწია. მაგრამ არაო, იდგა ეგრე, ბურტყუნებდა და ათამაშებდა თითებსა, იმის კვალობაზე, თუ რა სიტყვას მოადევნებდა:

„უყურე!.. უყურე!.. მე რას შემომცქერიხარ?!. მე რო თემა მქონდეს, მევე ვერ მოვუვლიდი?!. შენზე უკეთესად ვერ დავწერ?!. შენზე მეტ მომზრეებს ვერ ვიშოვნი?!. შენზე უფრო მეტად ვერ გავახმაურებ?!. რატომ გავიმეტებ შენთვისა?!. რატომა?!. რატომა?!. არ გიფიქრია?!. თუ არ გიფიქრია და ნურც აფიქრებ, ნურც მომცივებიხარ, ნურც მე და ნურც ნურავის მიაცივდები, ცას მიაცივდი, ზეცას მიაცივდი, თემები იქაა, ჰყრია, ჰყრია, თვალი მიაყოლე და ჭკუაც მიაყოლე, არ მოაშორო, არ მოაშორო... თვალი ადევნე მაგას მავრო, არ მოაშორო, მამას უმუხთლა და უფრთხილდი, შენც არ გიმუხთლოს... არ მოაშორო, არა, არა, არ მოაშორო თვალი, წუთითაც არა, წამითაც არა, თორემ გიმუხთლებს. აი, თუნდ ახლა, აქ რა გვინდა, ტელესკოპებთან უნდა ვისხდეთ, ვინ იცის, რა ჰხდება სწორედ ამ წუთში, სწორედ ამ წამში, რო არც რო მომხდარა არასოდესა, რო არც რო განმეორდება აღარასოდესა!... ვინ იცის, მითხარი?!. რა გვინდა აქა?! მე დავბერდი და ძალა აღარ შემწევს, მე რას შემომცქერი, ადი და იჭექი, იჭექი, და ელოდე, ელოდე და არ მოსწყვიტო თვალი, სული ამოირთვი, იქ ამოირთვი სული და როცა იქნება, გამოანათებს შენი ვარსკვლავი. როცა იქნება!.. ან შეხაძლოა, რო მალე, სულ მალე, შეხაძლოა, რო არც არასოდესა!.. მაინც იქ დასახლდი, მაინც იქ ამოირთვი სული. სული ამოირთვი, სული ამოირთვი, სული ამოირთვი, იქ ამოირთვი სული, თემა იქ არის, იქ არის თემები, უამრავია, უამრავია, ოღონდ შენ სული ამოირთვი. მე უკვე ამოვირთვი, სული. ჩემგან აღარაფერი აღარ გამოდნება, ტყუილად შემომცქერი. წადი!... ადი! ადი! ადი!.. და აღარც ჩამოხვიდე, თუ არ შეგეძლება, რო რაიმე მახარო!...“

და მართლაც აღარ ჩამოვსულვარ, ანთუ აღარც შევხვედრივარ, ვიდრე არ ვახარე. ბედმა გამილიმა და წვავწყდი ვარსკვლავსა, უცნობ ვარსკვლავსა. ბედმა გამილიმა. რა კარგი ნათქვამია: მართლაც გამილიმა. სწორედ ახეთი ღამე იყო, სწორედ ახეთი, ახეთი, ახეთი, და მგონია, რო ბედი მე დამეძებს, უნდა გამიღიმოს, და დამეძებს, დამეძებს, სწორედ იქ დამეძებს, სადაც რო უნდა ვიყვე, დამეძებს და უნდა გამიღიმოს,, უნდა, უნდა, მაგრამ იქ არა ვარ და ვაცდუნებ ბედსა, აქა ვარ და აქ ის არ მომძებნის, იქ რო უნდა ვიყვე, აქ არ მომძებნის, არა, არ მომძებნის, იქ უნდა ვიყვე, სადაც უნდა ვიყვე, ისე არც ბედია და არც ბედის ღიმილი. ღ, რა ღამე იყო!... ო, როგორ გამიღიმა!.. რუსთაველიმეთქი, შევძახე, ვიყვირე, ვიყვირე, — მართლაც რუსთაველი დაერქვა. ახეთი ღამე იყო, ახეთი!... მე აქა ვზივარ ლექციების კითხვით ქანცგაწყვეტილი, ხვალაც იგივე რო მელოდება, დნება ახეთი ღამეები, დნება, ბედი მე დამეძებს და მე ვემალები, ლაჩარივით ვემალები ბედსა. რა ღამეებია!... რა დროს ლექციებია, რა დროს წიგნებია... ძველი ფილოსოფოსები მოწაფეებადა ბერდებოდნენ, რა დროს ჩემი პროფესორობაა!..

წიგნები მაინც რაღად დასძრახემეთქი.

არა... ისე ვთქვით. შენი საქმე მაინც სხვა არის, ჩემი სხვა არისო. შენ ახეთი ღამე ვერ შეგძრავს ჩემსავითა, ვერა, ვერა, არ ამიხირდეო. ო, როგორ გაჰექილია, შეჰხედე, შეხედე, მე არ შემიძლიან რო მშვიდად ვუცქირო, წერტილი არ არის, რო არა ციმციმებდეს, წერტილი არ არისო.

ახევეა ზეცაცა პოეზიისაიმეთქი.

ახლა პოეტობა დამიწყეო.

არ ამყვა, თვალი რო მოეჭრა, ზეცასა.

რუსთაველიც ჰო ახევე გვჭრის თვალსა. რუსთაველიც ჰო ახევე გაჰექილა ვარსკვლავებითამეთქი, გაჰექილა და ჰახჰახებს, ჰახჰახებს უკუნეთშიცამეთქი. ჩახედე ერთი რუსთაველის ვარსკვლავებსაცა, ეგება ბედმა იქაც გაგიღიმოსმეთქი. რახან რო გწყალობს, არც მიგატოვებსმეთქი.

და ჩაჰხედა მართლაცა. და...

მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია. დააკვირდით!.. განიტოტა. მერე კიდევ განიტოტება, მერე კიდევ განიტოტება, მერე კიდევა, მერე კიდევა... მერე კიდევა, ოღონდ აქ შევჩერდეთ ჩვენ ამჯერადა, რის თქმაც რო მინდა, ჯერ იმას მოგახსენებთ: თემები ჯიბეში არავის არ უწყვია, არც პორთფელში არავის არ უწყვია თემები. თემები იქაა, სიუჟეტები იქაა, სახეები იქაა, იქა, ცხოვრებაშია, იქაა, იქა, იქა ჰყრია, აგროვია, ახროვია, ქვას რო ფეხი წაჰკრათ, ნოველა წამოხტება, მოთხრობა წამოხტება, რომანი წამოხტება; ყოველი ადამიანი მოთხრობაა, ყოველი, თითოეული, განსაკუთრებული და თავისებური მოთხრობაა, თქვენ ოღონდ კარგად მომართეთ ტელესკოპები თქვენი გონებისა, ოღონდ მომართეთ და კარგად მომართეთ, მეტი არაფერი გინდათ. მეტი არაფერი. არცთუ შორეული დაკვირვებანი გჭირდებათ, — არა, არა!... ასთუნდა, ამაა, — თვითეული თქვენთაგანი ნოველაა, ერთად რო შეიძლება რომანიც გამოვიდეს...

— რომანი მაინც არა!...

გოგონამა თქვა. ნაპირას იჯდა წინა მერხისა. მობუზული თუ სევდიანი თვალით მომაჩერდა.

რატომამეთქი.

— აქ. ჰო არავის არავინ არ უყვარს?!.

და რომანიც ჰო სწორედ იქ არის, სადაც არავის არავინ არ უყვარსმეთქი.

— პარადოქსია!..

ამოიძახა ორივე ვაჟმა ერთდროულადა, იმ ორივემა, ბოლოში რო ისხდნენ.

აქსიომა გახლავთ, თუ არ განვაცხადებ, რო ჭეშმარიტება არისმეთქი: ჯაჭვივით ასხმულა სხძულვილი, ბოლოებიც შეზლართულა, სიძულვილითა. ასე და ნურც დამიჯერებთ ასე სახელდახელოდა, ნურც მე დამიჯერებთ, ნურც ნურავის დაუჯერებთ: თქვენვე დაფიქრდით, თქვენვე დააკვირდით... ასხმულა, ასხმულა ჯაჭვივითა, ყველას ყველა... გავიმეორო?... რა საჭიროა!.. თუმცა, რაო, გავიმეორებ: ასხმულა სიძულვილი, სიძულვილზე ასხმულა... გამოერევა ორი უცნაური, ამას დაუკვირდით, გამოერევა ორი უცნაური და აირევა ყველაფერი, აირევა ყველაფერი და რომანიც ეს გახლავთ. აბა, დამისახელეთ სხვაგვარი რომანი, დამისახელეთმეთქი.

ერთმანეთს შეაჩერდნენ. მერე ყველა მე შემომაჩერდა, მერე ჭერსა. დალაქავებულიყო, აჭიჭყნილიყო ჭერი. წარმოსახვა თუ ეყოფოდათ, შესაძლოა რო ვარსკვლავთა გუნდებიც წარმოედგინათ, თუ ეყოფოდათ...

შეჰყურებდნენ.

ვუცდიდი...

# ასე იწყება ინგოლშტატი

**თამაზ ჩაჩავა**

როცა ნაპირს უახლოვდები, ზღვა სულ უფრო წყალმარჩხია. სიცოცხლეც ასეა — მის უკანასკნელ ნაპირთან არსებობისადმი ინტერესი კლებულობს — სანამდე შეიძლება ამოიება გალეღვებდეს? სხვანაირადაც ხდება — ზღვის წყალივით ვნებებს დაწაფებული ადამიანი წყურვილს ვერ იოკებს და ამ ტვირთით სულ უფრო ღრმად მიტოპავს.

რა ადვილია ამგვარი ტყვეობა დასავლეთში და რა დიდი შინაგანი ძალა გჭირდება, რომ სწორედ დასავლეთში განხორციელებულმა სოციალიზმმა არ შეგიყვაროს, სიმდიდრემ, ფუფუნებამ, ნივთების უზომო მრავალფეროვნებამ და მომხიბვლელობამ უგუნური არჩევანი არ გაგაკეთებინოს და შენი ერთადერთი ნამდვილი სიმდიდრე, ასე მცირედ ბოძებული სულიერი დრო, ნივთებზე არ გაცვალო.

მაგრამ ჯერ — ინგოლშტატზე, წარსულში ბავარიის პირველ საუნივერსიტეტო ქალაქზე. დღეს „აუდის“ ქალაქზე (გერმანიის ერთ-ერთი პოპულარული ავტომანქანა), მუსიკის ქალაქზე, სადაც ქართველ მუსიკოსებს ბავარიის და ბონის მთავრობის ყურადღება არ აკლია: ინგოლშტატის ერთ-ერთ გერმანულ, როკოკოს სტილის განახლებულ შენობაში იხსნება დავიდ ოისტრახის სახელობის კონსერვატორია, თავისი საკონცერტო დარბაზით. კონსერვატორიას უხელმძღვანელებს ლიანა ისაკაძე. საქართველოს კამერული ორკესტრის მუსიკალური ფესტივალები ინგოლშტატში, მიუნხენში, ბუხმოლცში. ევროპული კონცერტებით მთლიანად დაგეგმილი 1991 წელი. დგება 93 წლის საკონცერტო პროგრამაც... თუ კი გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს ფინანსური დახმარების გარეშე ევროპაში ან საბჭოთა კავშირში არ არის მუსიკალური ანსამბლი, საქართველოს კამერული ორკესტრი კი მხოლოდ თავისი შემოსავლით არსებობს (ჰონორარის გარკვეულ ნაწილს ის აგრეთვე საქართველოს უგზავნის), ეს უკვე ბევრზე მეტყველებს.

მაგრამ — ისევ ინგოლშტატზე, ეკლესიების ქალაქზე, სადაც 120 000 მოსახლეზე 40-ზე მეტი ეკლესიაა, მართალია, დღის დიდ ნაწილში დაკეტილი და დადუმებული, მაგრამ წირვის ჟამს ზარების გუგუნით აღტაცებული. როცა ზარების მოძახილი ქალაქს ეუფლება, ინგოლშტატი შენთან ერთად ისეთი ძლიერი ხდება, რომ უეცრად იმედი იღვიძებს — ადამიანი მარტო არაა.

ისტორიულად გერმანელებს რუსებზე საოცარი ზეგავლენა აქვთ. ანგლოსაქსებისადმი გულგრილობას გერმანიით აღტაცება უპირისპირდება მუდამ. გერმანიაში მოულოდნელად აღმოაჩენ, რომ რუსულში გერმანული სიტყვების ისეთი რაოდენობაა, რომ რუსული სიტყვების მარაგით გერმანულიც შეიძლება ილაპარაკო.

ინგოლშტატში სიცოცხლე ქუჩებშია გამოფენილი და თვალი თანდათან არჩევს „ოპელის“ დაულალავ ხოჭოებს, „აუდის“ გაშეშებულ, ძველ და თითქოს ზელის ერთი მოსმით შექმნილ, წარმატებებისაგან აჩქარებულ უკანასკნელ მოდელებს, ამაყ და იმპერიულ მერსედესებს, ფოლკსვაგენის მარად დაუბერებელ ყუთებს და აქა-იქ შარვალჩაჩაჩულ სიტროენებს.

დილის 5 საათზე ფუტკრებივით ერთბაშად აზუზუნებულ მანქანებს საღამოს 8 საათისათვის ჩათავებული დღის ნაშრომილა ამშვენებს. გერმანელის შინაგანი წამ-მზომი მხოლოდ შრომის წუთებზეა მომართული. გერმანელი შრომობს, ფართო დაფებზე კი გამოკიდებული რეკლამები კი თავისი განსაკუთრებული სიცოცხლით სუნთქავენ — რა დალიო, რა ჭამო, რა მოსწიო, რა ჩაიცვა. ამ უხეშ, უსირცხვილოდ მგრძნობიერ ყოფას იმდენად თვითდაჯერებით ადიდებენ, თითქოს ადამიანში ბიოლოგიის სრული გამარჯვება უკვე უცილობელი ფაქტი იყოს.

აი, თუნდაც ეს — ტროპიკები, პალმები, საზურავგადახსნილი მანქანა, სიგარეტმომარჯვებული ორი წყვილი, თამბაქოსაგან გაბედნიერებული სახეები, საჭესთან მჯდომის აღტაცებული, თეატრალური ჟესტი და შეძახილი — ო, რა შეგრძნებაა! კომერსანტების შებოლილი იდილია!

თუკი საფრანგეთის არქიტექტურას შინაგანი მუსიკა მომხიბვლელი ფრანგი ქალებისაგან აქვს ნასესხები, გერმანულ არქიტექტურას უფრო მეტი მამაკაცური სახსიათე ემჩნევა. მაგრამ როცა საღამოობით მოედანზე მივხეირნობ და ზემოდან გადმომყურებენ 15-16 საუკუნის მაღალი, განათებული ციხე-კოშკები, რატომღაც ძველი, შესუდრული მატრონები მახსენდება. ხოლო მათ ფეხებთან გართხმული, თანამედროვე თეატრის შენობა, ქალთა დღევანდელი მოდის ანარეკლია. როცა საღამოთი, კონცერტის წინ, მის შუშის კედლებიდან ჰოლებში და დარბაზებში სინათლეები გაჩირაღდნდება, იგი თითქოს შიშველი გამოდის მოედანზე და თავისთან გეპატიჟება.

დღეს აქ დვორჟაკის რეკვიემს ინგოლშტატის 80 მომღერლისაგან შემდგარი სამოყვარულო გუნდი პროტესტანტული ეკლესიის ორგანისტის დირიჟორობით ასრულებს. დარბაზში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნათესავები არ არიან შეკრებილი, როგორც ეს სხვაგან იქნებოდა. შესვენების დროს ყურადღება მიიპყრო მაღალმა, კვებით შეუზღუდავმა ფრანცისკანელმა ბერმა, რომელსაც ტრადიციული, წელზე შემოჭერილი, თავზე წამოსასხამიანი, შვინდისფერი ანაფორა ეცვა. ორდენმა, რომლის მთავარი პრინციპი არაფრის ქონება და მათხოვრობა იყო, ამ შესანიშნავი შეგონების პრინციპებს სიმბოლური მნიშვნელობაღა დაუტოვა. ანაფორა უკვე ძვირფასი შალის ქსოვილისგანაა შეკერილი, თოკიც კი (რომელიც ქამრის მაგივრობას ასრულებდა) აბრეშუმისა გახდა, ყოველდღიურობა ბევრს ისე ღრმად ალბეჭდოდა სახის ნაკვთებში, რომ დარბაზში მსხდომი უმრავლესობისაგან მისი გარჩევა შეუძლებელი იყო. ასევე დამიწებული საქმიანი და კეთილი იყო ამ რამდენიმე დღის წინ, პროტესტანტული ეკლესიის წინამძღვარი: წირვის შემდეგ კარებში იდგა, მრევლს მეგობრულად ხელს ართმევდა და ცდილობდა მათგან განსხვავებული არ ყოფილიყო. საერთოდ, დასავლეთის ეკლესია უფრო ინტელექტის ეკლესიაა, ვიდრე ლოცვისა. ჩვენში ჭეშმარიტ მორწმუნეს, ტრანსცენდენტულ, განყენებულ იერს სწორედ განუწყვეტელი ლოცვის მადლი ანიჭებს — იგი ადამიანს ხომ ზეინტელექტის შეგრძნებას უღვიძებს.

ქალაქის ცენტრისა და დუნაის მარჯვენა ნაპირის შემაერთებელი ერთ-ერთი ხიდი არა მარტო კონსტრუქციით ჰგავს ჩვენს უნიათო და უსახო ხიდებს, არამედ ისიც სახელობისაა. თუჯის ახოები, 50-იანი წლების რუსული „კროკოდილის“ და მისი ცრემლმორეული ძმის — „ნიანგის“ შეუცვლელი გმირის — კონრად ადენაუერის სახელს გამოხატავენ. ხიდის თაღებქვეშ კი ღამეს, ღარიბი ემიგრანტივით, დუნაი ათევს.

სხვათა შორის, ვიდრე საბჭოთა პრესა და მთავრობა ადენაუერის კარიკატურების შექმნით იყო დაკავებული, ადენაუერი დამარცხებულ გერმანიას აშენებდა და გამარჯვებულ საბჭოთა სისტემის აუცილებელ კრახს წინასწარმეტყველებდა და დღეს უკვე ადენაუერის ავტორიტეტი მის მიერ შესრულებულ ძნელ საქმეზე და ადვილ წინასწარმეტყველებაზეა დაფუძნებული.

ინგოლშტატში დუნაის არსებობამ ქალაქს შესაძლებლობა მისცა აეგო კიდევ რამდენიმე ხიდი, დაეარსებინა გაზეთი „დონაუ კურიერი“, „დონაუ ჰოტელი“ (რომელიც ინგოლშტატის ისტორიაში ცნობილია როგორც გერმანიის ფაშისტური ორგანიზაციების პირველი თავშეყრის ადგილი და უკვე განახლებულ სასტუმროში პირველი ქართული კოლონიის, 21 მუსიკოსის, ჩასახლების პუნქტი) და შექმნა შეუდარებელი „დონაუ პიცა“, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველა ზემოჩამოთვლილ „დონაუებზე“ უფრო საინტერესოა, სხვათა შორის, „დონაუ პიცა“, სხვა ღირსებებთან ერთად, ინტელექტთანაც უფრო ახლოს აღმოჩნდა, ვიდრე გაზეთი „დონაუ კურიერი“. ამიტომაა, რომ ინგოლშტატში სამი სასწრაფო მომსახურებაა — სახანძრო, სამედიცინო და პიცის. „დონაუ ჰოტელის“ სიახლოვეს, პიცერიასთან ყალყზე შემდგარი წითელი მანქანა „სუზუკი“ გრძელი მავთულით ცენტრალურ პულტთანაა დაკავშირებული და ხან იმედგაცრუებული, ხან კი აღტაცებული, შეკვეთებს უდარაჯებს.

ინგოლშტატის ყოველი მაღაზია ცალკეულ სუვერენულ სახელმწიფოს მოგაგონებს, რომელსაც თავისი დროშები, თავისი ჰიმნი, თავისი „უშიშროების კომიტეტი“ და თავისი გაზეთი აქვს. ოღონდ ზოგიერთი სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ამავე დროს, თავისი საქონელიც აქვს და გარდაცვლილ დირექტორს ვიტრინაში არ ასაფლავებს. ისე კი მაღაზიების პატრონების მიმართ თანაგრძნობის ტრაგიკული განცდით ვარ შეპყრობილი. როდის შეძლებენ ამ ზღვა საქონლის გასაღებას, როცა ვაჭრობა არცთუ ისე ინტენსიურია. შეძენის ინსტინქტების გასაძლიერებლად ამერიკელებმა სპეციალური ტელეთამაში გამოიგონეს: საქონლით ამოვსებულ უშველებელ სუპერმარკეტის შესასვლელში შეჯიბრების მონაწილენი დგანან ურიკებით. შეჯიბრების არსი შემდეგშია: ნაკლებ დროში, რაც შეიძლება მეტი საქონელი აკრიფო თაროებიდან. გამარჯვებისათვის რამდენიმე ათასდოლარია

(დასასრული მე-12 გვ.)

(დასასრული)

ნი პრემია განკუთვნილი. შეჯიბრებას ახლავს კომენტატორის ხმაც, რომელიც დაიძლოებით ასე ყვირის — აი ჯონიმ ზუთხისა და კოლმანის პაკეტებს დახტაცა ხელი, ჯერ ის უკვე ლორის უშველებელი ბარკლის ჩამოსახსნელად გარბის! ეშმაკი ჯონი ქათმის შებოლილ ძეხვებსაც ხწვდა, მის გაიძვერობას საზღვარი არა აქვს! აგერ, მელიის ქურქიც დაითრია და ეს ყოველივე წუთნახევარში! გამარჯვებულ ჯონის ფანფარების ხმაურში 5 ათასი დოლარი გადაეცემა. ასეთ დროს გულისტკივილით ფიქრობ, რომ ფანფარები და დოლარები თუ არა, „ხულში ჰირიმე, გულში ჰირიმე" მაინც არ უნდა ერგოს, ცარიელ მაღაზიებიდან ჰიანჭველას ტვირთით გამოლასლასებულ სირანა ძალოს. ის ხომ მხოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონია!?

კრიზისის დროს მაღაზიები აქაც ხაჩქაროდ იწყებენ გარდაქმნების განხორციელებას, რომლებიც გადარჩენის ნაცვლად, აახლოვებენ ბუნებრივ, გარდუვალ ფინალს — სრულ გაკოტრებას, რადგან მომაკვდავი ორგანიზმის მკურნალობის დროს, ყოველი ხერხი ამაოა. მაგრამ სულ რამდენიმე დღეში მაღაზიაზე ახალი დროშები ფრიალებენ, გაისმის ახალი ჰიმნი, და ახალი პატრონი, როგორც ხიმბოლო დაუოკებელი კაცთა მოდგმისა, მაღაზიასთან მიდი-მოდის და ტუჩების ცმაცუნით მომავალ მოგებებს ანგარიშობს.

თითქმის ყოველ გერმანულ ქალაქში თურქების მნიშვნელოვანი დასახლებაა. ინგოლშტატის ერთ-ერთი უბანი, სადაც თურქები მრავლად ცხოვრობენ, თურქი კომუნისტების (მარქსისტ-ლენინელები) საარჩევნო პლაკატებითაა აჭრელებული. ისინი საჯაროდ აფრთხილებენ გერმანელ მოსახლეობას, რომ თუ არ უნდათ გერმანიის დაღუპვა, არჩევნებში მათ უნდა მისცენ ხმა. ყოველივე ისეა, როგორც ვართ მიჩვეულნი — სამი უბკური კერპის პროფილი, ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი უროთი და ნამგლით. ამ უროთი 50 წელი იმდენი მიკაკუნეს თავში, რომ ახლა სწორედ დროა, აქ, დასავლური დემოკრატიის გარემოცვაში მარქსისტულ-ლენინური ნამგლით თურქმა კომუნისტებმა თავი ძირში წამაცალონ. ისე კი, რომ მოეზერხებინა, მარად ლამაზ და ცოცხალ ლენინს, გაემართლებინა ყოველი კომუნისტის იმედი და მავზოლეუმიდან მართლაც წამომდგარიყო, ამდენ ხანში, უკვე დაჭკვიანებულ კაცს, მოურიდებელი ხარხარი წასკდებოდა თურქი მარქსისტ-ლენინელების გულუბრყვილობაზე.

ინგოლშტატში ბინდი ვიწრო ქუჩებით შემოდის, თითქოს უეცრად ქალაქს დროისა და სივრცის მარწუხებიდან გამოსტაცებს, ირეალურ სამყაროს ნაწილად აქცევს და დაამშვიდებს. გვიან ღამით კი, როცა ფანჯრებში სინათლე ქრება, ინგოლშტატი ჩალისფერი მერსედესების, ტაქსებისა და წითელი შუქით ალგზნებული შუქნიშნების მბრძანებლობაში გადადის, რომლებიც გზაჯვარედინებზე საათობით ეჭამათებიან ერთმანეთს, რა თქმა უნდა — მგზავრების ხარჯზე.

არც გერმანია აშენებულა ერთ დღეში, თუმცა დღევანდელ გერმანიას ბოლო 45 წელი ემჩნევა განსაკუთრებით. მათაც გამოიარეს ტოტალიტარიზმის გამხრწნელი გამოცდილება და შესანიშნავად იციან რა შემით ჩალდება ჯოჯოხეთის ცეცხლი. მაგრამ არც ეს ცოდნაა საკმარისი, არც თავისუფლება, არც ხელისშემწყობი ბუნებრივი პირობები, თუ კი შრომა არ იცი. თუ კი კეთილსინდისიერება ისევე აუცილებელი არ გახდარა შენთვის, როგორც პაერი. არც ჰიტლერის დროს ჩამოქვეითებულან გერმანელები ქურდბაცაცობამდე, ახლა კი, როცა ამ შუშის კედლებიან კოტეჯებსა და ვილებს უცქერი, უეცრად გახსენდება თბილისის დაჯავშნული ბინები, რომლებსაც მაინც ამსხვრევენ ჩვენი მარჯვი თანამოქალაქენი. და ფიქრობ იმ დიდ საფრთხეზე, რაც შეიძლება მოჰყვეს თავისუფლების მარტივ, ფიზიკურ ცნებამდე ჩამოქვეითებას.

გერმანელს უნდა ეშრომა დაუღალავად და კეთილსინდისიერად, უფრო მეტი სილამაზე და ხარისხი შეეტანა თავის შრომაში. ამიტომაა, რომ გერმანელი ხშირად ჩვენს თვალში ხხვა პლანეტელის იერს იღებს. ყოფამ ჩვენც შეგვძინა რაღაც განსაკუთრებული — სატანურ სამეფოში არსებობა გვაიძულებდა მუდამ ფხიზლად ვყოფილიყავით; თავი დაგვეცვა უსამართლობის, ორაზროვნების, დაუნდობლობის, სისასტიკის ყოვლადდღიურობისაგან. საბჭოთა მთავრობა უაზრობისა და აზრიანი ვერაგობის გაკვეთილებს პირველ დღიდან გულუხვად აძლევდა თავს მოსახლეობას, მას ზნედაცემული საზოგადოება სჭირდებოდა, რადგან მხოლოდ ხულიერად და გონებრივად მახინჯ გარემოში შეეძლო არსებობა. სინამდვილის ტრაგიკულობამ გვაიძულა უფრო ღრმად ჩაგვეხედა ადამიანში, მოვლენებში და მომავალშიც. დღესაც, როცა ადარებ ევროპელსა და საბჭოელს, ჩვენებური ხშირად უფრო გველივით ბრძენი მოჩანს, ევროპელი კი — მტრედივით უმანკო. და არცა არის რა უფრო მწარე, ვიდრე საკუთარი უმანკოების დამტირავი ადამიანის ცრემლები.

ძალაუფლების მანიით დაავადებულმა პროვინციალებმა, რომლებიც შემდგომ კომუნისტების სახელით გახდნენ ცნობილნი, მოსახლეობის ერთ ნაწილს ტანჯვის უნარი გამოუმუშავეს, მეორეს კი ქვეშის მარცვალივით მრავალს, ძალაუფლების თავდავიწყებითი პატივისცემა და სიყვარული ჩაუნერგეს. და ჩამოყალიბდა ტიპიური საბჭოთა მოქალაქე. იგი, ცხადად თუ ფარულად, თუნდაც უმნიშვნელო ძალაუფლების მძებნელად იქცა. სულ ერთი იყო რა გზას მიჰყავდა მწვერვალისაკენ — მეცნიერებას, ხელოვნებას, სპორტს თუ სუკის ორგანოებში თანამშრომლობას. ყოველი გზა გამართლებული იყო, თუ იგი „დიდებისა" და ძალაუფლებისაკენ უძღვებოდა. და დღეს არცაა გასაკვირი თუ ადამიანში უყვართ არა ჭეშმარიტი სიმაღლეები, რაც სულიერი და გონებრივი სრულყოფით მიიღწევა, არამედ მოჩვენებითი სიძლიერე — ძალაუფლებისა და „დიდების" ოჩოფეხებზე შემდგარი მასხარა.

საბჭოთა მომხმარებლისათვის სრულიად გამოუსადეგარი გონებრივ-სულიერი სრულყოფილება, პირველ ყოვლისა, ახალ გამოჩეკილ პოლიტიკოსთა დიდი უმრავლესობისათვისაა ზედმეტი. მაგრამ არც დასავლელ პოლიტიკოსებს აზით განსაკუთრებულობის დამღა. იტალიის არჩევნებში ძალზედ დიდ წარმატებას მიაღწია პარტიამ, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში საროსკიპოების განმგებელი ქალბატონი უძღვებოდა. ჯორჯ ორუელის პარადოქსული აზრით, პოლიტიკური ენა — ეს ეხება ყველა პოლიტიკურ პარტიას — კონსერვატორებიდან ანარქისტებამდე — არსებობს იმისათვის, რომ ტყუილებს უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, პატივსაცემი გახადოს მკვლელობა და ქარაფშუტას სოლიდურობის იერი მიანიჭოს".

მართლაც, ჰონეკერის წასვლის შემდეგ ისეთი ახრჩოლებული ჰაერი დარჩა აღმოსავლეთ გერმანიაში, ისე საშინლადაა ბუნება მოწამლული, რომ მის მკურნალობას 200 მილიარდი დასავლეთგერმანული მარკა სჭირდება. არანაკლები დაგვჭირდება საქართველოს კიდევ უფრო მეტად დასახიჩრებული ბუნებისათვის, მაგრამ ჩვენი დასავლეთსაქართველო — დასავლეთ გერმანია არ არის. ჰონეკერმა სამეფოში თავისი ძეგლის დატოვებაც მოასწრო — მოძრავი ძეგლი — სიმახინჯეთა გამოფენის ლაურეატი ავტომანქანა ტრაბანტი, რომელიც ცხვირწაჭრილი ოქტოპუსივით დახოხავს გერმანიაში და თითქოსდა მსხვერპლს დაეძებს.

საბჭოთა სისტემამ სრულყოფილებამდე ერთადერთი მეცნიერება, ტყუილის მეცნიერება მიიყვანა, რომელმაც დეზინფორმაციის სახე მიიღო. მაგრამ ამანაც კი უკუშედეგი გამოიღო. ჩვეული საბჭოური სიუხეშით და უსირცხვილობით შექმნილ ეხეებს მკითხველი კითხულობდა, მაგრამ წაკითხულის საწინააღმდეგოს იაზრებდა. ამიტომ, ის უიშვიათესი შემთხვევებიც კი, როცა ნაწილობრივი სიმართლე იწერებოდა — შეუმჩნეველი რჩებოდა. ამავე დროს დამთრგუნველი საბჭოთა რეალობის არსებობა უნებურად დასავლეთის სამყაროს იმ ზომამდე გაიდეალებას იწვევდა, რომ იგი ღმერთკაცთა სამყოფელად გვეჩვენებოდა. ჩვენი წარმოდგენით, დასავლელი ადამიანი კი არ ლაპარაკობს, არამედ ულრმეს სულიერ ჭეშმარიტებას ლაღადებს. მოძრავ ქუჩებში, სადაც სიარულიც კი აღარაა საჭირო, მგელი და ცხვარი ერთმანეთს ეხვევა და ნაყინი მხოლოდ კაპიკი ღირს. განსხვავება მართლაც ფანტასტიურია, მაგრამ ეს უმთავრესად სოციალური, ყოფითი კულტურის უმაღლეს გამოვლინებას ეხება. დასავლური სახელმწიფოებრივი წყობა შესაძლოა მართლაც ახლოა იდეალთან, რადგან უბრალოდ უკეთესი არ არსებობს. მაგრამ თუნდაც დემოკრატიას შეუძლია განა უმაღლესი სამართლიანობა დაიცვას? თვით პირველმა, ათენის დემოკრატიამ არ დასაჯა სიკვდილით ყველაზე თავისუფალი ადამიანი — სოკრატე? და განა დღეს დემოკრატია არ არის კულტურულ იდეალთა გაუფასურების მიზეზი? თუმცა ეს გაუფასურება კი არა, კატასტროფული დაცემაა.

დაბერტყილ პანტასავით ერთფეროვანი და უამრავი სიტყვები — თუ რაა მომგებიანი, რაა გამოსადეგი, მხჭელობა ყოვლისმომცველ მიწიერ საქმიანობაზე, აი აქ, ამ წამს ხელშესახებ გამდიდრებაზე, იმ სიმდიდრეზე, რომელიც მიწაში კი არ არის ჩამარხული, არამედ ვიტრინებში ბრჭყვიალებს... მაგრამ როდის იყო, რომ ადამიანის სიმართლე ღვთიურს შეესაბამებოდა? კარგავს ადამიანი სულს — მაგრამ რას შეუძლია მისი შეცვლა?

და თითქოს წარიყვანა მე-20 საუკუნის ადამიანი ეშმაკმან „მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველი მოგცე შენ, უკუეთუ დამვარდე და თაყუანი მცე მე — დავარდა ადამიანი ეშმაკის წინაშე და თაყვან სცა მას და შეიყვარა სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი".

და ახე უყვარს ადამიანს დიდებანი სოფლისანი დასავლეთში და განსაკუთრებით მაინც აღმოსავლეთში — მუსიკოსსა თუ მეცნიერს, ვაჭარსა თუ მწერალს, დამნაშავეს თუ მოსამართლეს. მზად არიან გახდნენ ყველას, ვინც უნდა იყოს, ოღონდ ქვას პურად აქცევდეს, ოღონდ აქ მოასწრონ მიწიერ ბედნიერებაზე ხელის შეხება. ერთდროულად ორი — ხილული და უხილავი სამყაროს ადამიანს აღარ შესწევს უნარი გუმანით იგრძნოს უხილავი სამყარო. იგი სურვილებითაა გაუხეშებული. დღევანდელი საპატიო მოღვაწის შინაგანი სამყარო პრიმიტიული რეფლექსების მთელი ოქტავაა — ფული, ჭამა, ღვინო, ქალი, მანქანა, ტელევიზორი, თამაშები. დააჭირეთ ამ კლავიშთაგან რომელიმეს თითი და ის ალაპარაკდება. პიროვნებათა შორის განსხვავება მხოლოდ ამ რეფლექსთა თანმიმდევრობაშია.

შინაგან ჰარმონიას ორი სამყაროს ერთობა ქმნიდა ადამიანში, ახლა კი მხოლოდ მიწიერით განაგრძობს არსებობას. ეს კი დეგრადაციის და თვითგანადგურების გამოცდილი გზაა, როგორც ადამიანის, ისევე ეპოქათა ისტორიაში (თუნდაც უახლოესი, საბჭოთა იმპერიის რღვევის მაგალითი). სულიერი სიცარიელე საგნებით და ვნებებით ვერ ამოივსება და როგორ არ გაგახსენდება წარწერა ქვაზე: „შეხედე ჩემს შექმნილს და გაოცდი" (შელლი)" ირგვლივ კი თვალუწვდენი უდაბნოა გადაჭიმული — ასეთია ყოველი მიწიერი დიდების დასასრული.

მათთვის, ვინც სამყაროს კანონზომიერებას ხედავს, არსებობს მხოლოდ ერთი თავისუფლება — თავისუფლება ცოდვებისა და ვნებებისაგან, რომელსაც მართლაც მოაქვს მშვიდობა ადამიანისათვის. ვნებებით დატყვევებულ ადამიანს ვერავითარი გარეგნულად დეკლარირებული თავისუფლება ვერ იხსნის, მაგრამ ხშირად ფიზიკური თავისუფლება, ისევე და ისევ შინაგანი თავისუფლების მისაღწევად სჭირდება ადამიანს. ამ 70 წლის განმავლობაში ყოველი ქართველი დედის რძესთან ერთად ითვისებდა ერთ ნეტარ სურვილს, იმავე სურვილს, რომლითაც თაობები პატიოსანი ქართველებისა ეთხოვებოდნენ ამ ქვეყანას — თავისუფლებას კომუნისტებისაგან. კომუნისტები ხომ ლენინის სურათით ხელში იბადებიან და არცაა გასაკვირი თუ კი ისინიც საოცრად გონებაშეზღუდულნი, პროვინციულნი, ვნებამორეულნი არიან და წარმოდგენათა სიუხეშით გამოირჩევიან. ზიზღი კომუნისტების მიმართ იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ მათ გარეშე ქვეყნიერება უკვე სამოთხედ გვესახებოდა. მათ მიერ ამოქოლილი სარკმლებიდან თვალმოკრული თავისუფლება ტკივილისა და უაზრობის შეგრძნებას ამძაფრებდა, მაგრამ აი, თურმე როგორია თავისუფლება დასავლეთში. მე-20 საუკუნე, არნახული დეჰუმანიზაციის საუკუნე, მე-19 საუკუნის იდეალებს უმთავრესად დამამშვენებელი ფარდის სახით ძნარჩუნებს, რადგან უფრო მეტი უბრალოდ არ ძალუძს. საფრთხით ალსავსე მე-20 საუკუნეში, თუ კი არსებობს გარკვეული ტენდენცია, იგი სახელმწიფოთა ტოტალური კონტროლისაკენ იხრება, რომლის გარეშე 21-ე საუკუნეში, როგორც ჩანს, შეუძლებელი იქნება მსოფლიოში მშვიდობისა და წესრიგის შენარჩუნება. და შემორჩება სიტყვა „დემოკრატია", როგორც მხოლოდ დიქტატურის ზრდილობიანი სახელწოდება.

უკვე დღეს ყოველი დასავლელი მოქალაქის წინაშე ის ორთოდოქსული პოლიტიკური გარემო არსებობს, რომელსაც მან ანგარიში უნდა გაუწიოს. ძალზედ ბევრს ნიშნავს უფრო რეფლექსებზე, ვიდრე გონებაზე, დაფუძნებული საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ბევრად განსაზღვრავს ადამიანის სტატუსს. ამავე დროს, სახელმწიფო განაგრძობს კოორდინაციას, კონტროლს, ორგანიზებას და ა. შ. ყოველდღიური თავისუფლება აქ, უკეთეს შემთხვევაში, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე ჩვენთვის წარმოუდგენელი შრომაა, წელიწადში 2 კვირიანი შვებულებით. საკმაოდ შეზღუდული მატერიალური შემოსავალი ბევრისათვის, კანონის აბსოლუტური ჰეგემონიაა და მის წინაშე შიში, როცა ყოველი ნაბიჯი მილიმიკრონებით იზომება — შეესაბამება იგი თუ არა კანონს. კარის რომელ მხარეს უნდა იყოს ზარის ღილაკი დამაგრებული; რატომ უნდა გადაიტანონ პოლიციიდან თუგინდ 10 ნაბიჯზე დაკავებული მანქანა სპეციალური ამწეთი და ა. შ.

კანონი დასავლეთის „ახალი აღთქმაა", სახელმწიფოს გვირგვინი. იგი ახალი კერპია, მომაბეზრებელი თავისი პედანტიზმით და სიკვდილივით დაუნდობელი. მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ კანონი სჯობს ტელეფონის ზარის, დადგენილებებისა და ქრთამის ბატონობას.

დასავლეთში თავისუფლება მაშინ ხდება შემოქმედი, როცა კანონით იზღუდება. კანონი კი ერთდროულად ხომ თვალი თვალისა წილ და კბილი — კბილისა წილიცაა. კანონის რკინის ნილაბმორგებული თავისუფლება დასავლეთში, ძალზედ მცირედ შეესაბამება პატიმრის მრავალწლიან ოცნებას თავისუფლებაზე. ადამიანი უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ იგი ნაკლულ სამყაროში არსებობს, სადაც სრულყოფილი არაფერია, გარდა თვალთმაქცობისა. ალბათ ეს არის ის მაქსიმალური თავისუფლება, რაც ადამიანს შეიძლება მიანდო.

გერმანელები კი საოცრად ზრდილი, კეთილი, ყურადღებიანი და ლმობიერნი არიან. მართალია, როგორც ჩანს, მათზეც დრონი მეფობენ და ისინიც შეიძლება აქციო ტოტალიტარიზმის, ნაციზმის, კომუნიზმის ფსიქოზით დაავადებულ ბრბოდ, მაგრამ თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ბრწყინვალე კულტურა არ მისცემთ დიდი ხნით დაბრმავების შესაძლებლობას.

გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში კონცერტის წინ საქართველოს კამერული ორკესტრის ხელმძღვანელს ლ. ისაკაძეს ქართველმა ქალმა დაურეკა და მოუყვა თუ როგორ მკურნალობენ გერმანელი ექიმები უფასოდ მის მძიმედ დაავადებულ დას; როგორ ცხოვრობს ის სრულიად უცხო ოჯახში რამდენიმე თვეა და როგორ არის ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. საღამოს კონცერტს ესწრებოდა ყველა გერმანელი, ვინც ცდილობდა დაავადებული გოგონა გადაერჩინა. სცენიდან სათითაოდ გაისმა მათი გვარები, გვარები იმათი, ვისაც კონცერტი ეძღვნებოდა.

მაისიც მოახლოვდა. ინგოლშტატის მყუდრო ქუჩებში შაშვები გულგანდობით გალობენ; უშუალობის გენიალურობა! მახსენდება შეუდარებელი ჯ. ქითსის სტროფები ლექსიდან „რა თქვა შაშვმა:

„ნუ ეძებ ცოდნას, მე ხომ იგი
სულაც არა მაქვს
ჩემს სიმღერებში კი ილვიძებს,
ამდენი სითბო,
ნუ ეძებ ცოდნას, მე ხომ იგი
სულაც არა მაქვს,
ჩემს სიმღერებში იბადება
ჩუმი საღამო".

მართლაც, რა არის ცოდნა, თუ არა სინანული, ამაყი განმარტოება და ბოლოს დუმილი. ღვთის მიერ შექმნილი ქვეყნიერება კი მაშინ იკითხება, როცა შენი თავი გავიწყდება, როცა აღტაცება მხოლოდ ამ მშვენიერებას იტევს.

ამ ინტერნაციონალურ სულელებს კი (თურქ კომუნისტებს) უკვე სამაისო ლოზუნგებიც გამოუკრავთ — სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ჩვენ გავიმარჯვებთ! დასამტკიცებლად — დაუვიწყარი პროფილი სამი წვეროსანისა. ლოზუნგის პირველ ნაწილს, რომ ისინი მართალნი არიან, 110 მილიონი მსხვერპლი დასჭირდა, საბოლოო გამარჯვებისათვის რამდენს ითხოვენ, საინტერესოა...

მაგრამ ფესვი ადამიანის უბედობისა უფრო ღრმადაა ჩამარხული, ვიდრე პროვინციალი კომუნისტები არიან, მაგრამ მაინც რა სასაცილონი ხართ თქვენი ჩაყანგული ლექსიკონით, თქვენი ლოზუნგებით, თქვენი ლენინებით, თქვენი ფაცი-ფუცით. რა დამნაშავენი ხართ გაზაფხულის წინაშე, თუნდაც უბრალო ბუჩქის წინაშე, სიცოცხლის წინაშე, დამნაშავენი და განწირულნიც.

შაშვები კი განაგრძობდნენ გალობას — ადამიანი თითქოს არც აფიქრებდათ.

გერმანია, ინგოლშტატი.
1991 წ.



წელს შესრულდა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს **ვარლამ თოფურიას** დაბადების 90 წლისთავი. ამ დღეებში (20-21/VI) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაიმართა საიუბილეო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ანდრია აფაქიძემ**. სესიაზე წაკითხულ 20-მდე მოხსენებაში, რომლებიც გამოირჩეოდა თემატიკური მრავალფეროვნებით, აისახა მეცნიერის ნაყოფიერი მოღვაწეობის ყველა მხარე.

# მასწავლებელი

ვარლამ თოფურია ჩვენი დროის ცნობილი ენათმეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი იყო. მისი ღვაწლი დიდი ხანია აღიარებულია, თუმცა მისი მეცნიერული მემკვიდრეობის სრულყოფილი შეფასება, მაინც მომავლის საქმეა. მაგრამ ნაკლებ სარწმუნოა, რომ სრულყოფილად მოხერხდეს ვარლამ თოფურიას, როგორც პიროვნების, დახასიათება. ვინც მას არ შეხვედრია და ვისაც მასთან ურთიერთობა არ ჰქონია, მისთვის ალბათ ძნელი იქნება ვარლამ თოფურიას ფენომენის სრულად წარმოდგენა.

ბატონი ვარლამი არა მარტო შესანიშნავი მეცნიერი და ლექტორი იყო, ის, უპირველეს ყოვლისა, დიდი პედაგოგი, გულისხმიერი აღმზრდელი და განუმეორებლად მომხიბვლელი პიროვნება გახლდათ. მისგან ამ შთაბეჭდილების მისაღებად დიდი მეცადინეობა არ იყო საჭირო: გამორჩეული გარეგნობა, იშვიათი ხმა, საოცარი, ზოგჯერ დამაბნეველი ტაქტი, მისაბაძი გულითადობა ქმნიდა ამ ინტიმს, რასაც თვითონ ყოველთვის ესწრაფვოდა ადამიანებთან ურთიერთობაში. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ალბათ იმავე გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო, მისდამი განსაკუთრებული (ხანდახან აუხსნელი) მოკრძალების გრძნობა მასთან ძალიან დაახლოებულ პირებსაც კი ზოგჯერ ხელს უშლიდა ამ ინტიმისაგან სიამოვნება მიეღოთ.

დაუვიწყარია ჩვენთვის ბატონ ვარლამის პირველი ლექცია. სკოლიდან ახლად გამოსული, დაბნეული, მაგრამ ბედნიერი პირველკურსელები ისეთი ამოცანების წინაშე დაგვაყენა, იმდენი საპატიო მოვალეობა დაგვაკისრა, რომ ზოგს თუ თვითდამკვიდრებაში მიეხმარა ან საკუთარ ძალებში რწმენა განუმტკიცა, ზოგს საერთოდ კინაღამ თავი დაანებებინა უნივერსიტეტისათვის — ამოდენა ტვირთს ვერ ავწევთო. ამ ლექციის ემოციური მუხტი ბევრი ჩვენგანისათვის დღესაც აქტიური და ჩვენი ქცევის ერთგვარად წარმმართველია. ზოგ ჩვენ თანაკურსელს ისიც ახსოვს, უნივერსიტეტში ლიტერატურის სიყვარულით მოსულმა, როგორ იბრუნა პირი გრამატიკისაკენ.

სრულიად გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ვარლამს თავის მოწაფეებთან. მან თითქმის ყოველთვის იცოდა, რა უჭირდა და რა ულხინდა სტუდენტს, სად ცხოვრობდა, როგორი პირობები ჰქონდა, როგორი იყო მისი ჯანმრთელობა და, თუ შეიტყობდა, რომ რომელიმეს უჭირდა, მზრუნველად მოევლინებოდა მას.

სამეცნიერო მივლინებაში ისე არ გაგზავნიდა ბატონი ვარლამი სტუდენტს ან ასპირანტს, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ იქ მისთვის შესაფერისი საცხოვრებელი და დასასვენებელი (!) პირობებიც იქნებოდა. თან აუცილებლად დაუკავშირდებოდა იმ რაიონის ხელმძღვანელობას და სთხოვდა, მათთვის დახმარება აღმოეჩინათ. სტუდენტებსა და ასპირანტებთან კი არ წყვეტდა კავშირს, წერილებით ამხნევებდა, არიგებდა და ყოველთვის მათი საქმიანობის კურსში იყო.

ბატონი ვარლამის, როგორც პედაგოგისა და მოძღვრის, დახასიათება ცალმხრივი იქნება, თუ არ გავიხსენებთ მის კიდევ ერთ დაუცხრომელ სწრაფვას — მატერიალურად დახმარებოდა თავის მოწაფეებს. და ეს მაშინ, როცა ამ მხრივ დიდად დალხენილი არც თვითონ და მისი ოჯახი იყო. ვიცით შემთხვევები, როდესაც ხელმოკლე სტუდენტებს მთელი ხუთი წლის განმავლობაში უმართავდა ხელს და თან ამას აკეთებდა ისე, რომ არ შელახა მათი თავმოყვარეობა.

ასპირანტურა რომ დავამთავრეთ და მუშაობა ვერ დავიწყეთ, ეს ჩვენზე მეტად ბატონ ვარლამს აწუხებდა. ამაზე არასდროს ლაპარაკობდა, მაგრამ ეს ვიგრძენით, რადგან რამდენჯერმე ცალ-ცალკე გამოგვკითხა ჩვენი ოჯახების შემოსავლის თაობაზე, ჩვენც, რასაკვირველია, მომხიბვლელ ფერებში დავუხატეთ ჩვენი „მატერიალური უზრუნველყოფა“.

ერთ დღეს შინ დაგვიბარა, რაღაც მარტივი დავალება მოგვცა და კონვერტი გადმოგვცა — ეს ასპირანტის ხელფასზე მეტიც კი არ არის, მაგრამ... სანამ სამსახური მოხერხდება... უჭირდა ლაპარაკი. ჩვენ თავზარი დაგვეცა, როცა მივხვდით, რაშიც იყო საქმე და გავაპროტესტეთ. ჯერ დაგვიყვავა, ეცადა დავერწმუნებინეთ, რომ მისი გადაწყვეტილება მართებული იყო, მერე დაგვტუქსა (პირველად და უკანასკნელად: „ბოლოს და ბოლოს, მე მაქვს უფლება გიბრძანოთო“), შვილიც — ჩვენი მეგობარი — მოისმო მოსაშველებლად, მაგრამ „ჩვენდა სასახელოდ“ უნდა ითქვას (მაშინ ამის გამო ძალიან ამაყები ვიყავით), რომ იმჯერად ბატონი ვარლამის „ბრძანებას“ არ დავემორჩილეთ.

გავიდა ცოტა ხანი და ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაგვიბარეს: ის დავალება, ბატონმა ვარლამმა რომ მოგცათ, ხელშეკრულებით უნდა გავაფორმოთ და ხელფასსაც მიიღებთო. ჩვენ სიხარულით, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ვიღებდით ამ ფულს რამდენიმე თვის განმავლობაში და მხოლოდ გვიან მივხვდით, რომ ეს იყო ბატონი ვარლამის საინსტიტუტო ხელფასი, რომელსაც ჩვენ გვინაწილებდა და ინსტიტუტის სწავლული მდივანი და მოლარეც მისი თხოვნით დიდი გულმოდგინებით ნიღბავდნენ (უწყისი, ხელის მოწერა და ა. შ.) ამ „ავანტიურას“.

რა იყო ეს? მამაშვილური ზრუნვა? — შეიძლება, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ეს გრძნობა მაშინ არ გვქონდა, იმიტომ, რომ ეს უფრო მეტი იყო, უფრო მაღალი, უფრო განმწმენდი. ქველმოქმედება? ეს და ბევრი სხვაც ისე ხდებოდა, რომ ქველმოქმედების არსს აღემატებოდა, სხვა აქცენტები კეთდებოდა — ზნეობის, სულიერების სფეროში. ალბათ ამიტომაც არის ბატონი ვარლამი ჩვენს ხსოვნაში დღემდე შეუდარებელი და განუმეორებელი.

ყველაფერს აკეთებდა ბატონი ვარლამი იმისათვის, რომ ახალგაზრდობას რაც შეიძლება მეტი და საფუძვლიანი ცოდნა მიეღო. თვითონ წარმოუდგენლად დატვირთული, უამრავ დროსა და ენერგიას ახმარდა თითოეულ სტუდენტთან მუშაობას. მას შეეძლო ათჯერ წაეკითხა და გაესწორებინა სხვისი ნაშრომი, თავდაუზოგავად ემუშავა თვითონაც და ემუშავებინა ავტორიც, სანამ შრომა სასურველ სახეს არ მიიღებდა. ხოლო ვინც მის ლექციებს დასწრებია და მისი მეცნიერული საუბრები მოუსმენია, იმან იცის, თუ როგორ შეიძლება, ერთი შეხედვით, მეცნიერების თითქოსდა მშრალი დარგის — გრამატიკის კვლევა აქციო უაღრესად საინტერესო და მიმზიდველ საქმედ.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მოგვაკლდა ბედნიერება ბატონ ვარლამთან ურთიერთობით საკუთარი სულიერების გამდიდრებისა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ მაშინდელი შემზღუდველი გარემოსა და დამთრგუნველი პირობების მიუხედავად, ის დინჯად და უხმაუროდ მაინც ასრულებდა ჩვენს ამაღლებას. და ეს კეთდებოდა არა მხოლოდ საენათმეცნიერო თემებზე საუბრისას.

ერთი ასეთი ეპიზოდი გვახსენდება: იმ დღეებში, როცა ჩვენს პრესაში ვაჟა-ფშაველას განმაქიქებელი წერილი დაიბეჭდა, ბატონი ვარლამის სახლში, ჩვეულებისამებრ, სემინარი გვქონდა. მეცადინეობის შემდეგ სხვა თემებსაც გადავწვდებოდით ხოლმე. ეტყობა, მას შინაგანად აწუხებდა ის, რაც იმ დღეებში მოხდა და სრულიად ბუნებრივად, ძალდაუტანებლად (ისე, რომ წერილი და მისი ავტორი არც უხსენებია), ჩამოაგდო სიტყვა ვაჟაზე, მის პოემებზე, მის გმირებზე, მათს ენობრივ სამყაროზე... ჩვენ მაშინ ბატონი ვარლამის საუბრიდან პირველად ვიგრძენით მთელი სიღრმით სხვაგვარად მოაზროვნე ვაჟას და მისი „დისიდენტი“ გმირების ხიბლი. ისიც გასახსენებელია, რომ ბატონი ვარლამი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და აღფრთოვანებას გამოხატავდა „სტუმარ-მასპინძლის“ ბოლოს დართული ლეგენდისა და უკანასკნელი სტროფის აზრობრივი დატვირთვის გამო.

ეს არ იყო „ლექცია ვაჟას შესახებ“ და არც ბოდიშის მოხდის სურვილი უსამართლოდ დაგმობილი გენიოსის წინაშე. ეს იყო ეროვნული მუხტით გაჯერებული უდიდესი ზნეობრივი გაკვეთილი, რომელმაც ჩვენზე წარუშლელი კვალი დატოვა.

ასევე დაუვიწყარია და დღეს განსაკუთრებით ფასეული ბატონი ვარლამის საუბრები გალაკტიონის პოეზიის შესახებ. ის საგანგებოდ მიაქცევდა ჩვენს ყურადღებას ეროვნულ ლექსიკას, ეროვნულობით აღბეჭდილ სათაურებს და განსაკუთრებულ მუსიკას, რომელიც ჟღერს პოეტის ბრწყინვალე ლექსებში.

ბატონი ვარლამი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ცხოვრებით იძლეოდა უმაღლესი ზნეობის მაგალითს და ადამიანებშიც უწინარესად მაღალზნეობრივ კატეგორიებს აფასებდა. ამასთან, ცნობილი იყო მისი უაღრესი პრინციპულობა. მას არასოდეს უღალატია თავისი სინდისისათვის. მის კოლეგებსა და მოწაფეებს დღემდე ახსოვთ ასეთი შემთხვევა: ერთ სტუდენტს, რომელსაც საგანი ვერ ჩაებარებინა, სტიპენდიის მოხსნა თუ სულაც გარიცხვა ემუქრებოდა, ბატონი ვარლამი საშინლად შეწუხებულა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობისათვის თხოვნით მიუმართავს — შეღავათი გაეწიათ სტუდენტისათვის და მას ლამის თავდებადაც კი დასდგომია. ის ორიანი კი ამ სტუდენტს სწორედ მის საგანში ჰქონია მიღებული.

დიდი მეცნიერი, შესანიშნავი პედაგოგი და მომხიბვლავი პიროვნება ძალიან ადრე წავიდა ჩვენგან. ახალგაზრდობას ადრე მოაკლდა მისი ღრმად მეცნიერული და მაღალზნეობრივი გაკვეთილები, მაგრამ ვარლამ თოფურიას სახელი მუდამ დაამშვენებს ქართული მეცნიერების ისტორიას.

**თამარ ზურაბიშვილი, ცირა კალაძე.**

# პროფესორი დევიდ ლენგი



უცხოელ მეგობართაგან საქართველოში განსაკუთრებით კარგად იცნობენ ჩინებულ ქართველოლოგს დევიდ მარშალ ლენგს. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ იგი შედარებით ხშირი სტუმარი იყო საქართველოსი, დასწრებია ქართული მწერლობისა და კულტურის მრავალ საზეიმო თარიღს. მას მოვლილი ჰქონდა საქართველოს არაერთი კუთხე თუ ღირსახსოვარი ძეგლი, იცოდა კიდეც ქართული სტუმართმოყვარეობის მადლი და ისეთი ეთნოგრაფიული სიზუსტით იცავდა ხოლმე ქართულ ადათ-წესებს, რომ უცნობი თვალი ვერც კი გაარჩევდა ქართველი კაცისაგან. წლების მანძილზე იგი გულით ატარებდა საქართველოს სიყვარულს, შვილებსაც კი ქართული სახელები დაარქვა, ხოლო ინგლისში ჩასულ ყოველ ქართველთან შეხვედრისას იგი ასევე ქართულ ჩვეულებას ავლენდა, ცდილობდა გაეწია გულღია მასპინძლობა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ დევიდ ლენგი მრავალი საგულისხმო ნაშრომის ავტორი იყო კავკასიოლოგიის, მათ შორის ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის სფეროდან.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში იგი ერთგვარად ჩრდილში გადგა. ამ რამდენიმე წლის წინ არც თუ ხანდაზმული მეცნიერი, კავკასიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი ლონდონის უნივერსიტეტში, მოულოდნელად პენსიაში გავიდა და ჩამოშორდა კიდეც აქტიურ მეცნიერულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. როგორც მისი მეგობრები და ახლობლები გადმოგვცემენ, სულიერი დეპრესიის უმთავრესი მიზეზი ოჯახური ტრაგედია იყო, რამაც მძიმე დაღი დაასვა მისი ცხოვრების წესს...

ჩვენს მკითხველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ამა წლის აპრილის შუა რიცხვებში ფინეთში ჩატარდა ქართული კულტურისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმზე ყველანი ველოდით მის ჩამოსვლას...

სამწუხაროდ, სიმპოზიუმის მიწურულს შევიტყვეთ სამწუხარო ამბავი. 30 მარტს, 67 წლის ასაკში, გარდაცვლილა დევიდ მარშალ ლენგი. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ვაქვეყნებთ მისი ერთ-ერთი მოწაფის, ლონდონის უნივერსიტეტში მისივე საქმის გამგრძელებლის, თამარ დრაგაძის წერილს (გამოქვეყნდა ინგლისში, გაზეთ „ინდიფენდენტის“ ფურცლებზე), რომელიც დევიდ ლენგის გარდაცვალების გამო დაწერილი.

**სარგის ცაიშვილი**

დევიდ ლენგი მიეკუთვნება იმ ნიჭიერ მეცნიერთა მოდგმას, რომელიც სულ უფრო და უფრო ქრება. მის პიროვნებაში ერთგვარი აგრესიულობა ბუნებრივად თანაარსებობდა გულუხვობა-კეთილშობილებასთან. ეს კი ისეთი თვისებებია, რომლებიც ყოველთვის იწვევენ ემოციურად ძლიერ, მაგრამ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას.

იგი იყო ბრიტანეთში კავკასიოლოგიის დაფუძნების პიონერი. მისმა შრომებმა საქართველოსა და სომხეთზე (ეს კი ის სფეროა, რომლის შესწავლა მანამდე არ იდგა სათანადო დონეზე და არც ხელი მიუწვდებოდათ მათზე) მოამზადა საფუძვლები, რომელზედაც სხვების შემდგომი მეცნიერული კვლევა აღმოცენდა.

დევიდ ლენგი დაიბადა ჩისლჰერსტში 1924 წელს, ექიმის ოჯახში, განათლება მიიღო მონკტონში. 1944-46 წლებში მუშაობდა მოქმედ ვიცე-კონსულად თავრიზში, ხოლო 1946 წელს ბრიტანეთის საელჩოს მესამე მდივნად თეირანში. ცხოვრების ამ მონაკვეთს იგი ყოველთვის დიდი სიამოვნებით იგონებდა.

დ. ლენგი სწავლობდა თანამედროვე ენებს წმ. ჯონის კოლეჯში, კემბრიჯში, სადაც იგი დაეუფლა კვლევის მეთოდებს. მისი შესწავლის პირველი ობიექტი იყო რუსი რადიკალისტი ალექსანდრე რადიშჩევი, თუმცა, მიუხედავად სირთულისა, მან ადრევე გადაწყვიტა შეესწავლა ქართული ენა და გამხდარიყო საქართველოს ისტორიის სპეციალისტი.

მის მიერ შესრულებულმა თარგმანებმა „ცხოვრება და ლეგენდები ქართული წმინდანებისა“ (1956) და „სიბრძნე ბალავარისა“ (1957) ახალი პერსპექტივები წარმოაჩინეს ამ სფეროში. მთელი მისი სამეცნიერო მოღვაწეობა კონცენტრირებული იყო აღმოსავლეთისა და აფრიკის სწავლების ინსტიტუტში, სადაც მან 1949 წელს მუშაობა დაიწყო ქართულის ლექტორად და იქვე დარჩა მთელი თავისი სამეცნიერო კარიერის მანძილზე.

1964 წელს დაინიშნა კავკასიოლოგიის პროფესორად და დიდად სამწუხაროა, რომ ეს თანამდებობა გაუქმდა 1984 წელს, ლენგის პენსიაში გასვლის შემდეგ. მას არ შეუქმნია მეცნიერული კავკასიოლოგიის სკოლა. იგი უფრო მეცნიერული კვლევის გზას ირჩევდა და გამოაქვეყნა კიდეც მრავალი საგულისხმო ნაშრომი. მის ნაშრომებს კარგად იცნობდნენ. მას მეგობარი-კოლეგები ჰყავდა ყველგან — უნგრეთიდან მოყოლებული შეერთებულ შტატებამდე, სადაც ეკავა ორი მიწვევითი თანამდებობა. საქართველოში დ. ლენგს უყურებდნენ როგორც გმირს და მის გატაცებას სათანადოდ აფასებდნენ. მისი ძირითადი ნაშრომებიდან, რომლებმაც ქართველები ფართო საზოგადოებას გააცნო, გამოირჩეოდა „საქართველოს მონარქიის ბოლო წლები“ (1957), „საქართველოს თანამედროვე ისტორია“ (1962) და „ქართველები“ (1966).

მოგვიანებით ის მიუბრუნდა სომხეთსაც და დაწერა რამდენიმე ნაშრომი, როგორც ყოველთვის, ცოცხალი და ნათელი ენით: „სომხეთი, ცივილიზაციის აკვანი“ (1970), „მთის ხალხი“ (ს. ბარნესთან ერთად, 1971), „სომხები“ (ს. ვოლკერთან ერთად, 1976), და „სომხები: გადასახლებაში მყოფი ხალხი“ (1981). ამასთან დევიდ ლენგი იმდენად იყო პოლემიკის მოყვარული, რომ საკუთარ დებულებათა დაცვისას ხშირად თავის ყველაზე ერთგული თაყვანისმცემლების მოთმინებასაც კი საფრთხეში აგდებდა, ხოლო მისი თუნდაც პატარა წიგნი თუ მიმოხილვაც კი ყოველთვის გონებამახვილურად იყო დაწერილი. ამასთან იგი დეტალებში პედანტურიც იყო, განსაკუთრებით თავისი კატალოგის შედგენისას „აღმოსავლეთის წიგნის“ განყოფილებაში, ბრიტანეთის მუზეუმში, სადაც ის მუშაობდა 1950 და 1984 წლებში, ფრიად ორიგინალურია აგრეთვე მისი შრომა ნუმიზმატიკაზე.

დევიდ ლენგი იყო ლონდონის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის რეზიდენციის, კონოტ ჰოლის მეურვე 1955-დან 1984 წლამდე, სადაც ცხოვრობდა კიდეც მრავალი წელი ოჯახთან ერთად. 1976 წელს უბედური შემთხვევით მთაში დაეღუპა ვაჟი, რამაც გაანადგურა იგი სულიერად და მისთვის ძნელი შეიქმნა შეენარჩუნებინა მუშაობის უნარი და ჯანმრთელობა.

ჩვენ, მისი ახლობლები, წლების მანძილზე მაინც ვიტოვებდით საწუკვარ იმედს. ვფიქრობდით, რომ ბოლოსდაბოლოს გამოჯანმრთელდებოდა და ქაღალდზე გადაიტანდა გარკვეულ ნაწილს იმ უზარმაზარი ინფორმაციისა, რომელიც გააჩნდა. მისი აღსასრულის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო მძაფრად ვიგრძენით დიდი დანაკლისი.

**თამარ დრაგაძე**

# რითი შეგვიძლია დავეხმაროთ იესო ქრისტეს?

## იური ნაგიბინი

**წარმომიდგენია, რაოდენ ალაშფოთებთ ეს მოსაზრებები ჩვენს დემოკრატებს...**

როცა დაიწყო გარდაქმნა, მის მორალურ ასპექტში მაშინვე იშვა თემა შურისძიებისა, და ეს ბუნებრივია, რადგან გონს მოსულმა, დამცირებულმა ხალხმა სამართლიანობა მოისურვა, არა სიკეთითა და მტაცებლურად მითვისებულ ფასეულობათა გადანაწილება, არამედ იმათი დანაშაულის აღიარება, ვინც დინგი ჩაჰყო ხელისუფლების სალაფავში, გაჰყიდა თავისი ხალხი და, როგორც ეს სამართლებრივ საზოგადოებაშია მიღებული, ხალხმა მოითხოვა კანონის შესატყვისი სასჯელი.

მაგრამ შურისძიების თემა ენერგიულად ჩაახშვეს ოფიციალური პროპაგანდის საშუალებებმა ესებაა ჩასახული დემოკრატიის ერთსულოვანი მხარდაჭერით. ამ ოდნავ გაელვებულმა მოძრაობამ ისჯარა განეცხადებინა თავისი შინაბერული მეტისმეტი წესიერება ზნეობრიობის საკითხებში. შურისძიება, შურისძიება?! — კარგით, ერთი! განა შეიძლება ბოროტება ახსოვდეს უკეთესი ცხოვრებისთვის აღორძინების გზაზე შემდგარ (მაგრამ ჯერ მაინც აუღორძინებელ) ხალხს?

სამაგიეროს გადახდა ორგანულად უცხოა საბჭოთა ადამიანისთვის, მით უფრო — რუსისთვის. ყოვლისმიმტევებლობა, თვინიერება, გულმოწყალება, — აი, ჩვენი კეთილი ხალხის ჭეშმარიტი თვისებები, რომლებიც რევოლუციის პირსისხლიანობამ რამდენადმე გაამრუდა. შურისძიების თემის ნაცვლად გაჩნდა რუსი ინტელიგენტის გულისთვის აგრერიგ ძვირფასი თემა მონანიებისა.

ჩემი აზრით, ამის თაობაზე პირველად აკადემიკოსმა ლიხაჩოვმა თქვა, ლიტერატურა მომნანიებლური უნდა გახდესო — აი, მისი სამართლიანი აზრი. „მონანიება" ჰქვია გარდაქმნისდროინდელ პირველ და საუკეთესო ფილმს.

მოუნანიებლად ცის სასუფლოში ვერ მოხვდები. უმისოდ წმიდა, ზნეობრივ მომავალს ვერ შექმნი.

ჩვენ ყველანი, ასე თუ ისე, ვამჩნევთ იმ შავ საქმეებთან ჩვენს დაკავშირებულობას, რომლებიც ხდებოდა ამ ჩვენს გაწამებულ მიწაზე და რომლებმაც მსოფლიოს უდიდესი და უმდიდრესი ქვეყანა სრულ ბანკროტამდე მიიყვანეს.

მე „დაკავშირებულობა" ვახსენე, არადა, შეიძლებოდა უფრო პირდაპირ მეთქვა — „მონაწილეობა". იმასთან პასიური დამოკიდებულებაც, რაც ცხოვრებას ანგრევდა, ხომ წაქეზებაა ბოროტებისა, ანუ მასში მონაწილეობაა. მხოლოდ რეჟიმის სიმხეცეთა და სიმახინჯეთა წინააღმდეგ აშკარად გამოსულთ შეუძლიათ თვალი გაუსწორონ ქრისტეს ციხფერ თვალებს. მაგრამ ასეთნი ცოტანი არიან. დიდი მოქალაქე ანდრეი სახაროვი მთელი თავისი მოწამეობრივი სიცოცხლის მანძილზე იყიდდა მეცნიერულ შეცოდებას: მან ხომ კაციჭამია წყალბადის ბომბით შეაიარაღა. უცოდველნი იყვნენ მხოლოდ გოლონსკოვის, ბუკოვსკის, მარჩენკოს, ვლადიმოვის, გორბანსკის, ბოგორაზის, ხნეგირევის ტიპის ადამიანები, მაგრამ ბოლომდე ურყევნი ვითომ ბევრნი იყვნენ? მშვენიერი ხნეგირევიც კი შედრკა სიკვდილის წინ. ნუ გავკიცხავთ იმათ, ვინც თავისი ძალების გაუზომავად რეჟიმთან უმოწყალო ბრძოლაში გადაეშვა და ყელზე თოკმოჭერილს თავი ძირს დაუვარდა. ისინი ჩვენზე — გადარჩენილებზე — მაღლა დგანან.

ისინიც კი, ვინც დრო და დრო ბედავდა პროტესტს (ხელს აწერდა წერილებს „ზევითკენ" სინიავსკისა და დანიელის, სოლჟენიცინისა და სახაროვის, ტვარდოვსკისა და „ნოვი მირის" დასაცავად), მაინც ნაწილობრივ დამნაშავეებად რჩებიან, რადგან საკუთარი სინდისის ეს ნასუფრალები ცოდვის გამოსყიდვის ბადალი არაა. მე მაქვს ამისი თქმის უფლება, რადგან თავადაც ვარ „ხელმომწერთაგანი", როგორც ზიზღით ეძახდნენ ხელისუფლების კულუარებში საპროტესტო წერილების ავტორებს.

და, რასაკვირველია, მე მაშინვე მოვხვდი მონანიეთა რიცხვში. ჩემს ძველ, ოდნავ განედლებულ ავტობიოგრაფიულ ნაწერებში — ვრცელ მოთხრობაში „ადექ და წადი" და მოთხრობაში „სიცრუის უფსკრულის თავზე" „მე, მონანიების წადილით, ჩემს თავს იმდენი ტყუილი ბრალდება წავუყენე, რომ მიკვირს, რატომ არ შემიწყვიტა ხალხმა ხელის ჩამორთმევა. ეტყობა, გამჭრიახმა მკითხველებმა ამოიცნეს ავტორის მომნანიებლური განზრახვები და ჭეშმარიტი ბიოგრაფიისგან გამოაცალკევეს ბელეტრისტიკა, რომელიც პიროვნების სახის გამოკვეთას მოითხოვს.

მომნანიებლური კილოს ფორსირება ხელოვნური არ იყო. მე ნამდვილად მტკიოდა და მრცხვენოდა წარსული, მრცხვენოდა იმ წარსულში ჩემი ყოფნა. მართალია, ხელისუფლებასთან არ ვთანამშრომლობდი, მაგრამ არც ვებრძოდი მას, ჩემი იშვიათი პროტესტების გამო იმითაც ვზღავდი, რომ საზღვარგარეთ არ ვმოგზაურობდი, ჯილდოებს არ ვიღებდი და თითო წლით ვხვდებოდი შავ სიებში.

მაგრამ, აი, სადამდე მიგვიყვანა სინდისის ამ თამაშმა: მონანიება იწყეს რეალურად უდანაშაულო, მაგრამ მაღალი ზნეობრივი გრძნობებით გამსჭვალულმა ადამიანებმა. ისინი კი, ვისაც ნამდვილად ჰქონდა ზოგი რამ მოსანანიებელი, დუმდნენ, ან ამაყობდნენ „ბაზისადმი" თავიანთი ერთგულებით და ჩვენს ძმას ჩუმად დასცინოდნენ.

მაგრამ, საერთო ჯამში, ხელმძღვანელობას მოსწონდა ის, რომ ინტელიგენტები თავზე ლაფს ისხამდნენ. როგორი გროტესკული, სიურეალისტური სურათია: თითქმის გამოგონილი დანაშაულის გრძნობით. შეპყრობილნი ისჯებიან, ხოლო ნამდვილი დამნაშავეები ნიავს არ იკარებენ. ერთს მაინც მოეხადა ბოდიში თუნდაც ზრდილობისთვის.

და მე აღარ მომინდა მონანიება. და აღარ მომინდა ჩემი გულით წმინდა მეგობრებისგან ავადმყოფური თვითმონანიების სიტყვების მოსმენა. ზოგ მათგანს რცხვენია, თურმე ნუ იტყვით, რომ ოდესღაც პარტიაში შევიდა. მათ კი, რომლებიც ამ პარტიის სახელით სისხლს ღვრიდნენ და ანგარიშს უსწორებდნენ ადამიანებს, რომლებმაც გადაშენებისთვის გასწირეს მცირერიცხოვანი ერები, მოსპეს რუსული ბუნება და რუსული კულტურა, არაფრისა რცხვენიათ, არაფერს ნანობენ.

როგორი უნიჭო, უნაღვლო თვითკმაყოფილებითაა შეფერილი ამ მხჯავრდაუდებელ დამნაშავეთა ინტერვიუები!, სიტყვამ მოიტანა, და — მსჯავრდადებულთა ინტერვიუებიც! საპყრობილეში დამწყვდეული ჩურბანოვი აღტაცებულია თავისი წმინდა ცხოვრებით, მეგობრული ოჯახით, მაშვრალი სიმამრით, თავის თავს კი იგი ვილაცის ეშმაკეულ ოინთა მსხვერპლად მიიჩნევს. ის დათრგუნული არაა, მაგრამ ეს მისი მამაცობის კი არა, უსირცხვილობის შედეგია, იმისი შედეგია, რომ გულის ხილ-

აცხელი მოწამვლა — ყველაფერი ეს ლიგაჩოვის სინდისზეა, პარტიის XXVIII ყრილობაზე მან „თვითკრიტიკულად" აღიარა, რომ რამდენადმე გაცხარდა: მას ეჩვენებოდა, რომ პრობლემა გაცილებით იოლად გადაწყდებოდა, ვიდრე სინამდვილეში შეიძლებოდა მომხდარიყო.

მაშ ასე: პარტბილეთ № 2-ს ერთ მშვენიერ დღეს რაღაც მოეჩვენა და მთელი ქვეყანა თავქვე დააქანა. ისე, მან გამართლებაც მოუნახა თავის თავს: სამაგიეროდ, ხალხი ყურძნით ხომ დავაძღეო. ეს კი თვით ყველაფერს შეჩვეულმა ყრილობის დელეგატებმაც კი ვერ მოითმინეს — ერთხულოვნად აღშფოთდნენ.

ყველაფრის დაშვებულობა, დაუსჯელობა და უპასუხისმგებლობა სრწნიან სულით მერყევთ, სტიმულს აძლევენ ნებისმიერი რანგის პატივმოყვარეებსა და ძალაუფლების მოყვარეებს. ეს რომ ასე არ იყოს, ვერასოდეს აბობღდებოდა პოლოზკოვი იმ ნაგვის თავში, რომელშიც კრილოვის მამალმა მარგალიტის მარცვალი იპოვნა. სხვაგვარად ეს შარიკოვ-90 დროის წინააღმდეგ ასე უშიშრად სიარულს ვერ გაბედავდა.

დაოკდებოდა თავხედი სტაროდუბცევიც, რომელიც გაკერპებით ცდილობდა კოლმეურნეობებით ჩვენს ბოლომდე მოგუდვას.

მოთვინიერდებოდა უმაღლესი მარაზმიანი გენერალიტეტიც, შეწყვეტდა იარაღის ჟღარუნს.

უფსკრულში ჩაშვებულ საზოგადოებაში შურისძიების შიში ყველაზე კონსტრუქციული ძალაა გაჯანმრთელების გზაზე დასადგომად.

წარმომიდგენია, რაოდენ ალაშფოთებთ ეს მოსაზრებები ჩვენს დემოკრატებს, რომლებსაც აქამდე არ ძალუძთ პარტიად თვითორგანიზება და სკკპ-სთვის დაპირისპირება.

სკკპ ხომ მთლად გამხეცდა, რადგან საშიშროება შეექმნა მისგან ნაძარცვ ქონებას, უკანონოდ მითვისებულ სახალხო ფასეულობებს, რომელთა წინაშე ალი-ბაბას საგანძურებიც კი ფერმკრთალდება. აი, საბოლოოდ როდის გამოავლინა მან თავისი ბასრკბილიანი მეშჩანობა.

სამამულო დემოკრატებისთვის ყველაფერი წყალსა და მეწყერს

რმეში სწამს, სჯერა, ამჟამინდელი ვაებები მალე განქარდებაო. შესაძლოა, მისი იმედები უსაფუძვლო არც იყოს.

ალიევი ამაყად აცხადებს, რომ პიროვნულ პლანში ყველაფერს „კაგებეს" უმადლის (რაც, კაცმა რომ თქვას, ასეცაა) და მას რომ ცხოვრების თავიდან დაწყების საშუალება მიეცეს, როგორც იცხოვრა, ისევე იცხოვრებდა, რაც ახევე ეჭვს არ იწვევს.

მშვიდად განდგა გვერდზე შვების საგრძნობლად ეგორ კუზმიჩ ლიგაჩოვი, რომელმაც ქვეყანას რაიმესთან შეუდარებელი ზიანი მოუტანა ანტიალკოჰოლური კამპანიის მაიმარად ჩატარებით, მილიარდობით დანაკლისი ეკონომიკაში, უძვირფასესი ვენახების განადგურება და ქვეყნის საუკეთესო მევენახის თვითმკვლელობა, ნარკომანიის აყვავება, თვითნაბადი სასმელების დამზადების გამაოგნებელი მასშტაბები, შაქრის გაქრობა, სპირტის ერზაცებით აურ-

წაულია, ოღონდ ანგარიშის სწორება არ დაუშვან. ეს ხომ ასე ულამაზო, არაინტელიგენტური, არადემოკრატიული რამ იქნებოდა! ეს უზნეობა და, ბოლოს და ბოლოს, არაქრისტიანული მოვლენა იქნებოდა!

ვითომ? და განა ჩვენ მხოლოდ თვინიერ და მიმტევებელ ქრისტეს ვიცნობთ? და არ ვიცნობთ პირგამეხებულ ქრისტეს, ქრისტეს მრისხანესა და დამსჯელს?

რაოდენ საშინელია განრისხებული იესო სიქსტეს კაპელის სახელგანთქმულ ფრესკაზე, ქრისტე, რომელიც ჯოჯოხეთში პყრის ცოდვილთ.

და რაოდენ მკაცრია მეუფე თერაპონტის მონასტრის პერის ფრესკაზე, რომელიც ნაზი დიონისეს ფუნჯითაა შექმნილი, როგორი შეუპოვარია აქ მისი გამგმირავი მზერა!

ღვთის წინაშე შემცოდეს არ მიეტევება.

განკითხვის დღეს მისაგებელს ვერავინ აიცდენს, გოდება, ვედრება, გვიანი მონანიება ვეღარავის უშველის.

მაგრამ რისთვის ველოდოთ საშინელ სამსჯავროს, რატომ ვატვირთოთ ყველაფერი ქრისტეს, ცოტა რამის გაკეთება მაინც ხომ ჩვენც ძალგვიძს?

შურისძიების შიში კონსტრუქციული გრძნობაა და არ შეიძლება ფარისევლურად უარვყოთ ის. ამ გრძნობის ფარისევლურად უარყოფა კაცთმოყვარეობა არაა, პირიქით — ყველა უდანაშაულოდ დაღუპულის უპატივცემულოდ დავიწყებაა.

როგორ შეიძლება ტოლობის ნიშანი დაესვას იმ ანგარიშსწორებას, რაც მოხდა უდანაშაულოების (მანდელშტამი, ვავილოვი, გუმილიოვი და მილიონობით უსახელო წამებული) მიმართ და იმ სამართლიან სამსჯავროს შორის, რომელსაც უნდა ელოდნენ დამნაშავეები?

და საქმე სასჯელის ზომას სულაც არ ეხება. არ არსებობს ბევრის დანაშაულის ბადალი სასჯელი. გრაფ მონტე-კრისტოს გამომგონებლობითი სრიკები საქმეს ვერ შველის იქ და მაშინ, როცა ამ მასშტაბის დანაშაულზეა ლაპარაკი.

საქმის არსი დანაშაულის საერთო-სახალხო, მსოფლიო მასშტაბით დადგენას გულისხმობს. შესაძლოა, რომ ცოდვილთ მაშინ მაინც გაიგონ, რა ბრალიც მიუძღვით და, იქნებ, მაშინ მაინც შეტოკდეს მათი გულქვა მკერდი? ეს საყოველთაო გამოჯანსაღების დასაწყისი და მომავალ ბოროტმოქმედებათა წინაშე აღმართული ბარიერი გახდებოდა.

საჭირო არაა, საკუთარ თავს ვუხატოთ წითელი მოედანი, საყოველთაოდ თვალსაჩინო აღმართული, ვარდისფერი ალი დასასჯელად განწირულთა თეთრ პერანგებზე. სისხლი არავის წყურია, ყოველ შემთხვევაში, იმათი სისხლი, ვისაც ის თვითონ არ დაუღვრია...

ციხეების, სენაკების, მავთულხლართების გვერდის ავლაც შეიძლება, საკმარისია, ცხოვრების ამ სრულუფლებიან ბატონებს რიგითი საბჭოთა პენსიონერის ცხოვრება მიესაჯოთ, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მათგანი სალისით გაუცვლიდა ადგილს სტრელეცებს — მაინც ნაჯახი სჯობია..

რაკი საუბარი ჩვენს ბორის, სათნო, მოკრძალებულ და არამდლავრ დემოკრატიაზე ჩამოვარდა, შევეხოთ ერთ თემასაც, რომელიც დასჯისა და შურისძიების თემას ემეზობლება. ისევე, როგორც ყოვლისმიმტევებლობა, პლურალიზმი, დემოკრატიის სხვა ურყევი პრინციპია. და რა არის ეს ჩვენს პირობებში?

ჩემი აზრით, როცა ლაპარაკობენ პლურალიზმზე, ეს იმას ნიშნავს, რომ თავიანთი აზრის გამოთქმის საშუალება ეძლევათ მათ, ვისაც პირი აკრილი ჰქონდა და არა იმათ, ვისი უნიჭო და ცრუ ხმაც სამოცდაათი წელი აყრუებდა გაბრიყვებულ ხალხს. ეყოფათ მათ, გული იჯერეს ლაქლაქით — ყველამ წინასწარ უწყის, რასაც იტყვიან.

მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ ბი იყო საჭიროობა, რომ ხალხის ყურთასმენის ამ დამხშობებმა მაშინვე გული გააწყალეს იმაზე წკავწკავით, ჭაიმე, ხმას არ გვალებინებენო.

და საწყალი, გულუბრყვილო დემოკრატია მაშინვე აიფოფრა: პლურალიზმი საფრთხეშია, ადამიანებს თავიანთი აზრის გამოთქმის უფლებას ართმევენ — საშუალებას არ აძლევენ, რომ ნებისმიერი ტრიბუნა გარდაქმნასთან საბრძოლველად გამოიყენონ. „ოგონიოკში" ფურცლები ეთმობათ ბნელეთის მოციქულებს რსფსრ მწერალთა კავშირის სამდივნოდან, ნინა ანდრეევას — გარდაქმნის ერთ-ერთი ლიდერის, ანატოლი სობჩაკისადმი მიძღვნილ ტელეგადაცემაში — დემაგოგობს, მოსახლეობის ლუმპენიზირებული ნაწილის საამებლად ცდილობს, რომ ჩირქი მოსცხოს ნათელ კაცს.

და განა შესაძლებელია, რომ ევტუშენკომ, კოროტიჩმა, იური აფანასიევმა, ან ბორის ვასილიევმა მთელი სიმართლე დაიცვან „მოლოდაია გვარდიას", „ნაშ სოვრემენნიკის", „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებზე, რომ მათ შესთავაზონ იქ ადგილი უუხეშეს თავდასხმებზე პასუხის გასაცემად? არასოდეს!

თანამდგომელთ ძალუძთ კარების ჩარაზვა, პლურალიზმს ისინი მხოლოდ თავიანთი თავისთვის აღიარებენ.

მხოლოდ მოსკოვში მათ ხელში აქვთ ჩაგდებული სამი სქელტანიანი ჟურნალის (ზემოთდასახელებულთა გარდა, „მოსკვაც"), სამი გაზეთი („სოვეტსკაია როსსია", „ლიტერატურნაია როსსია", „მოსკოვსკი ლიტერატორ", ტუშინოელ პუშკინის დამარბეველთა ფურცელზე აღარაფერს ვამბობ), არადა, ხომ არის კიდევ ჟურნალი „კუბან" — პოლოზკოვის პირმშო, ჯოჯოხეთში ჰიტლერის საყვარელი საკითხავი გამოცემა. ეს საკმარისზე მეტია ქვეყანაში, რომელიც კონსტიტუციურად კი უარყოფს ფაშიზმს, მაგრამ პლურალისტურ კეთილშობილებას თამაშობს. „ლიტერატურნაია გაზეტა", „სოვეტსკაია როსსია" და სხვა გარდაქმნითი გაზეთები და ჟურნალები ასევე მიიყურ-მოიყურებიან, როგორც ინტერგოგონები მდიდარი იაპონელი კლიენტის ნახვისას, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ფარული საზოგადოების იდეოლოგიური „ბოევიკების" წინაშე. დროა, ამას ბოლო მოეღოს.

და უკანასკნელი. სამართლიანად ლაპარაკობენ, რომ ჩვენი საზოგადოება, მთელი ჩვენი ცხოვრება, უკიდურესად იდეოლოგიზირებულია და ამას გადაჭრით და სწრაფად უნდა მოვუღოთ ბოლო.

იდეოლოგია, როგორც ფეხსაცმლის ლანჩას აკრული თიხის კოშტები, ხალხს წინ სვლაში უშლის ხელს. მაგრამ გარდაქმნის ამ უძნელეს ეტაპზე, როცა ყველაფერი ასე არამყარია, როცა თვით გარდაქმნას საფრთხე ემუქრება, ერთი იდეოლოგია კი უნდა შენარჩუნდეს. ეს იდეოლოგიაა ანტიფაშიზმი, ანტისემიტიზმი.

როცა ნამდვილად დემოკრატიულ საზოგადოებას ავაშენებთ, მაშინ, ინავარდონ ლე-პენებმა და სადამ ჰუსეინებმა — ისინი საშიში აღარ იქნებიან.

„Я" — სუბიექტურ შეხედულებათა ჟურნალი (№ 1, 1991 წ.)

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**



# „ელისაბედ, ელისაბედ...“

ვაჟა ძიგუა

ჩვენი დრამატურგიის კლასიკურ მონაპოვარს ღირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდნენ, მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად, ერთი პრობლემა წამოიჭრა — მაშინ, როცა მართლაც გაჭირვება იყო, თეატრები ახალ პიესას, მისი მეტნაკლები ღირსებების მიუხედავად, გაგებითა და სიყვარულით ჰკიდებდნენ ხელს, ცდილობდნენ, რაც უნდა დაჭდომოდათ, ნაწარმოების ყველა საუკეთესო თვისება სათანადოდ წარმოეჩინათ. დღეს კი რა ხდება? შეიქმნა ქართველ დრამატურგთა რამდენიმე მეტად საინტერესო პიესა, მაგრამ თეატრები რატომღაც ისევ პასიურობენ. თითქოს გასაგებია ეს მორიდება; დასაშვები მარცხის შემთხვევაში თავს ვერ იმართლებ დრამატურგიული მასალის სისუსტით. ეს მომენტიც ერთგვარ პრობლემად იქცა.

ასეთი ფიქრი გამიჩნდა თამაზ ჭილაძის პიესის — „ელისაბედ, ელისაბედ...“ — მიხედვით დადგმული სპექტაკლის ნახვის შემდეგ, რომელიც განახორციელა საქართველოს კულტურის სამინისტროს ახალგაზრდა შემოქმედებითი გაერთიანების თეატრმა-სტუდიამ, რეჟისორ ანზორ ქუთათელაძის ხელმძღვანელობით.

ახალგაზრდული კოლექტივის ეს პირველი ნამუშევარი კიდევ ერთ პრობლემას გამოკვეთს. პრესაში ხშირად გაისმის ასეთი აზრი — თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობთა მომზადებაში მრავალი ხარვეზი არსებობს და, საბოლოოდ, თეატრებს სუსტი ცვლა ეზრდებაო. ასე ხელაღებით ამის მტკიცება უხერხულია, ვინაიდან ყველაფერს უფრო მეტი დაკონკრეტება და სახიერი მაგალითის მოტანა ესაჭიროება. ამ აზრის მიღმა დგანან ოსტატი-პედაგოგები, რომელთა „ნახელავი“ მეტ პატივისცემას იმსახურებს. იმ ჭეშმარიტების უარყოფაც არ შეიძლება, რაც ობიექტური კანონზომიერებითაა განმტკიცებული — ახალგაზრდებს შორის შეიძლება ბევრი ვერ უპასუხებდეს სადღეისო მოთხოვნებს და ამაში ვერავის ვერ დავადანაშაულებთ. ამის თქმის სურვილი დაბადა სპექტაკლის მონაწილეთა მშვენიერმა აქტიორულმა შესაძლებლობებმა, მითუმეტეს, წინასწარ აღვნიშნავ, ჩვენ ისინი ვიხილეთ მეტად სერიოზული, რთული, ფსიქოლოგიური დრამის გაცოცხლების პროცესში. დამდგმელმა რეჟისორმა ანზორ ქუთათელაძემ და რეჟისორმა თამარ ფალავანდიშვილმა სწორი არჩევანი გააკეთეს, როცა მრავალწახნაგოვან ხასიათებს შეაჭიდეს სრულიად გამოუცდელი, მაგრამ ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდები. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როლები შესანიშნავად განაწილდა და მთელი სპექტაკლის მსვლელობისას, ასაკობრივ შეუსაბამობათა მიუხედავად, აქცენტი გადატანილია არა გარეგნულ შესატყვისობაზე, არამედ შინაგან გამომსახველობაზე, რაც ესოდენ რთულია და სახიფათოც, მითუმეტეს, როცა საქმე გვაქვს კონფლიქტის ინტელექტუალური გააზრებისა და სიტყვიერი მასალის არაერთსახოვან პროცესთან.

თამაზ ჭილაძე ცნობილია როგორც თანამედროვე აზროვნების მწერალი, რომელიც ჩვენი ცხოვრების შუაგულში მიმდინარე მოვლენების სწრაფი შემნიშვნელია და თითქმის ყოველთვის სინქრონულად განიხილავს მათ. ზოგჯერ ჩვენც ვერ ვამჩნევთ, როგორ იოლად მივყვებით მის სცენურ აზროვნებას, იმ უცნაურ პარადოქსებს, რაც ესოდენ უხვადაა მიმობნეული დრამატურგის ქმნილებებში და თითქოს მწერალთან ერთად ვისაკუთრებთ პირველაღმოჩენის პრიორიტეტს. ყველაზე დიდი კატაკლიზმები ზნეობისა და ადამიანურ ურთიერთობათა სფეროში, ოჯახური ყოფის პირობებში შეიმჩნევა. ამ კონფლიქტებიდან ამოიზრდება საუკუნის ტრაგედიად მიჩნეული მოვლენები, აქ იბადება ყოველივე ახალი ჩვენს ცნობიერებაში და ჭეშმარიტი მწერალი, როგორც გეოლოგი მიწის წიაღში, ყოველივე ახალს ოჯახურ ურთიერთობებში ეძებს. თამაზ ჭილაძისათვის აუცილებელი არ არის კრიმინალური აფეთქებები; ის თითქოს მეტად სადა, მაგრამ გამჭვირვალე საუბრებში თანდათან ამზადებს ისეთ მუხტებს, რომელთაც საოცარი სულიერი აფეთქების ძალა შესწევთ და, შეძლებისდაგვარად, ასეთი „ნიჭით“ ცდილობს დააჯილდოვოს ყველა გმირი, აღსარების გარკვეულ წუთებში. ეს ხომ ჩინებული საშუალებაა მსახიობის გამოსავლენად; როცა არსაიდან არ ჩანს მოსალოდნელი ქარიშხალი, მაგრამ ის მაინც შეიგრძნობა სივრცეში და როდესაც ამოვარდება, ყველაფერი მზადაა მასთან შესახვედრად. ასევეა თ. ჭილაძის პიესაში „ელისაბედ, ელისაბედ...“ გადავლილი ქარიშხლის შემდეგ სიმშვიდე ისადგურებს და რჩება მხოლოდ მისი დამანგრეველი ძალის შედეგები.

ყველა ავტორი ცდილობს მოულოდნელი რამ შესთავაზოს დასაწყისში მკითხველს, და მაყურებელს. გამონაკლისი თამაზ ჭილაძესთანაც არ არის დაშვებული, მაგრამ ეს ისე უბრალოდ, უპრეტენზიოდაა მოწოდებული, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო. ფაქტი კი სახეზეა და მაყურებელს მისი შეფასებისათვის მეტად ცოტა დრო რჩება, რადგან მოვლენები, ვერ ვიტყვით, რომ ელვის სისწრაფით ვითარდება, მაგრამ შინაგანად ძალზე დატვირთული და მრავალმნიშვნელოვანია. მოვლენათა ამგვარი განვითარებისათვის დრამატურგს პიესაში გამოყვანილი ჰყავს მთავარი გმირი ელისაბედი, უტოპიური მისწრაფებების მოტრფიალე. მას სურს ადამიანურ ურთიერთობებში ისეთი ბიბლიური კანონზომიერება, როცა მგელი და ცხვარი ერთად ძოვენ. უჭირს, მეტად უჭირს ელისაბედს ასეთი რამის მიღწევა, ამიტომაც ყოველთვის უხერხულობაში იგდებს თავს და ამ უხერხულობით მისდაუნებურად აიძულებს ახლობლებს, ადამიანებისათვის უჩვეულო რამ მოიმოქმედონ — იყვნენ ბოლომდე გულწრფელნი გარკვეულ შეზღუდულ დროში მაინც.

პიესა „ელისაბედ, ელისაბედ...“ კლასიკური დრამატურგიის პრინციპითაა აგებული — ადგილის, დროისა და ვითარების ერთიანობით. ამბავი მხოლოდ ერთი სახლის განმავლობაში იშლება, ერთ სცენურ მოედანზე მიმდინარეობს და, შესაბამისად, დაკავშირებულია თანამედროვე ცხოვრების დღევანდელ არსთან. რაში გამოიხატება ეს არსი? სოციალურმა პირობებმა ზედმეტად გააიგივა ერთმანეთთან ქალისა და მამაკაცის ხვედრი. ამ პროცესს შინაგანი ყოფის რეტროგრადულ ქართულ ბუნებაში თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა ჰქონდა და თითქოს არც უნდა მას რაიმე სიახლე, მაგრამ ის ისეთი მსახვრალია, მაინც თავისას მოიმოქმედებს და ადრე მაგალითოდ გამოტანილი სიახლენი ოჯახური ყოფის ქრონიკიდან, დღეს ტრივიალური გახდა. დრამატურგს ეს ისტორიული ცვლილებები არ აინტერესებს, მისი განსჯის სფეროა ადამიანის ხასიათში არსებული ის შინაგანი ნიუანსები, რაც მხოლოდ უზუსტესი სმენით შეიძლება აღმოვაჩინოთ. მწერალს არ სურს გაამჟღავნოს თავისი ტენდენცია, მაგრამ საერთო განწყობილებაში თავს იჩენს სევდა წარსულის მიმართ ისეთი საზოგადოების ურთიერთობის გახსენებაში, სადაც ღვთისნიერი კანონი აწონასწორებს გამორჩეულ ემოციურ ინდივიდთა სურვილებს. ეს უკვე ნოსტალგიაა და პოეტური ფონი ნაწარმოებისა. უმამაკაცო ოჯახში, სადაც თავყრილობა ხდება, ორი მნიშვნელოვანი ნივთიერი დეტალია დაფარული — ველოსიპედი და თოფი; ველოსიპედი, რომელიც არ უტარებიათ და თოფი, რომელიც არასოდეს არ გასროლილა. ეს ნიუანსები მაშინ იჩენენ თავს, როცა მაყურებელს სურს განაჩენი გამოუტანოს ოჯახის დიასახლისს, განაჩენი მკაცრი და შეუქცევადი. ამით ავტორი კვლავ უკან აბრუნებს ხანგრძლივი ფიქრისკენ მაყურებელს, სადაც ამ ორმა დეტალმა განაჩენი უნდა შეცვალოს. ასეთი „მცირე“ შტრიხები ქმნიან ხასიათთა, მოვლენათა მრავალფეროვნებას და ერთი ოთახის დახურულ სივრცეში მოქმედების დინამიკურობას უწყობენ ხელს.

საყოველთაოდ ცნობილია და იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ ქალთა ხასიათებს მამაკაცი-მწერალი უფრო კარგად ხედავს, რაც ამჯერადაც ზედმიწევნით თვალსაჩინოა, ერთი განსხვავებული დეტალის მინიშნებით — თამაზ ჭილაძე ყველა შემთხვევაში კაცობრიობის მშვენიერი ნაწილის მხარეზეა. თუმცა ეს ტენდენცია თვითმიზნური არ გახლავთ. მწერალი თავს მოვალედ თვლის უფრო მეტი თავგანწირვა მოსთხოვოს მამაკაცებს და ის ეგოისტური სისუსტე, რაც ნარცისიზმის ელემენტებსაც შეიცავს, საფუძველია იმისა, რომ მოხდეს განხიბლვა პიროვნებაში. ყოველივე ამას ცხოვრებისეული ყოფის საფუძველიც გააჩნია.

ერთხელ კიდევ მინდა შევნიშნო ის რთული გზა, რაც რეჟისორებმა აირჩიეს — ჩაღრმავება ხასიათებში და ამ ხასიათების მოვლენებთან შეფარდება ფიზიკური ქმედების რაციონალური სიძუნწით, სცენურ სივრცეში. აქ ყველაფერი ლოგიკურ მსჯელობასაა დამორჩილებული, ყოველგვარი თვითმიზნური მიზანსცენების გარეშე, იმ ძირითადი არსის გადმოსაცემად, რასაც კაცთმოყვარეობა და მოყვასისადმი ერთგულება ჰქვია. პიესის გმირები, უმეტესად, ფართო განათლების ხალხია. მათი სამეტყველო ლექსიკა მდიდარია და სულიერი ძვრების დამაჯერებლად გამომხატველი. რეჟისორებმა მოახერხეს თ. ჭილაძის დიალოგების სირთულე და მისი ქვეტექსტები სახიერად წარმოეჩინათ, თუმცა აქვე უნდა შევნიშნო, ზოგიერთი ფრაზა სენტენციად დარჩა, ვინაიდან მსახიობთა ინტერპრეტაციით მათი ბოლომდე გათავისება ვერ მოხდა. ეს ხარვეზი, ალბათ ასაკობრივმა შეუსაბამობამ დაბადა.

სპექტაკლი ანსამბლურია და მისი ერთ-ერთი ღირსებაც ეს გახლავთ. ყველა მონაწილე შესანიშნავად ფლობს სიტუაციას, ცხოვრობს მთელი არსებით და სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია, ვინაიდან შეუძლებელია შეიქმნას სპექტაკლი, რომელიც ესოდენ ფაქიზ ნიუანსებზეა აგებული და ქმედების ლოგიკა ზედმიწევნით არ გაახლოებს შემოთავაზებულ გარემოებას. კამათს არ ექვემდებარება ის ჭეშმარიტებაც, რომ თუ ერთი სიმი მაინც აჟღერდება ყალბად, ჰარმონია მყისვე დაირღვევა. მსახიობთა მცდელობა სწორედ ამ მიმართებითაა გამოწვეული და, ამ შემთხვევაში, ჩვენ თანამოაზრეთა ნამუშევართან გვაქვს საქმე.

სპექტაკლი განხორციელდა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის სცენაზე. ეს კიდევ ერთ დამატებით პრობლემას უქმნიდა დამდგმელ ჯგუფს, ვინაიდან ამ კამერულ დარბაზში სცენური ფიცარნაგი ხელისგულივითაა გადაშლილი და ზედმიწევნით მიახლოებული მაყურებელთან. ასეთ ინტიმურ გარემოში, ფსიქოლოგიური ნიუანსებით აღსავსე ნაწარმოები აჟღერდა მთელი ძალითა და ემოციური მუხტით.

სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი თინათინ მეიენს უაღრესად სადა, ლაკონურმა, გემოვნებით გააზრებულმა სცენოგრაფიამ. სამოქმედო ასპარეზი განტვირთულია ზედმეტი დეტალებისაგან, მხოლოდ თითოროლა არსებითი ხასიათის შტრიხი შემოაქვს მხატვარს, რაც ქმნის ზუსტ განწყობილებას.

დრამატურგმა კარგად უწყის, თუ რაოდენ რთულია სერიოზული კამათის, შინაგანი ჭიდილის პერმანენტული წარმართვა, თუ მას შიგა და შიგ განმტვირთავი სიტუაციები არ ახლავს. ესეც ძალზე ოსტატურადაა პიესაში შემოტანილი და, შესაბამისად, განხორციელებული სპექტაკლში. ტელევიზორის შემკეთებელი ბიჭიკო ეპიზოდური როლია, მაგრამ ორგანულად ერწყმის წარმოდგენას. იგი ელიტარულ საზოგადოებაში დემოსის წარმომადგენლის სახითაც შემოდის. მსახიობ გია ქანტურიას შესრულება გამოირჩევა უშუალობით, შინაგანი იუმორით; განწყობილების ოსტატური მოტანით და უშეცდომო ინტონაციით, რაც საშუალებას აძლევს მას დრო და დრო ორგანულად ჩაერთოს მოქმედებაში. ძირითადი ხაზის ვარიაციებს ზუსტად ერწყმის ალეკო ჩხეიძის შოთიკო. მისი არტისტიზმი და შესრულების ჟანრული სიმსუბუქე უაღრესად ცხოვრებისეულს ხდის ამ ექსცენტრულ პერსონაჟს და მცირე სცენურ დროში ახერხებს თავისი გმირის ბიოგრაფიის ჩვენებას.

ორი ანტიპოდი, ორი დაპირისპირებული გმირი, ოჯახური ყოფის თანამედროვე ურთიერთობათა ორი წარმომადგენელი — ლევანი (ნიკა თავაძე) და არჩილი (გიორგი ქვრივიშვილი), მათ შორის კი ბაო (ნინო კახრაძე) — ეს სამეული თითქოს ევროპული დრამატურგიის დესანტივითაა პიესაში, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ჩვენთვის ამგვარი რამ უკვე ჩვეულებრივი გახდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, [illegible] ნიშნები მაინც ახლავს, რაც მწერალს დიდ დამსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. რა არის ეს ნიუანსები? ის, რომ ლევანი, ამ ხნის კაცი, დედის ჯულენისაგან ვერ გათავისუფლებულა და მარადიულ შვილად დარჩენილა. მეორე გმირს [illegible], სადაც გულის ხილ[illegible] თანაღრება- ჩვენთვის ეს არაორდინარული სიტუაცია და თავისუფლების დაკარგვაც ენანება. ასეთ დახლართულ ამბავში, ბაოს როლის შემსრულებელი ნინო კახრაძე ავლენს უნარს სიტუაცია [illegible] ისეთ მთლიანობაში [illegible], სადაც სინამდვილე [illegible] გრძნებით იკითხება. მი[illegible] სცენური სიცოცხლე [illegible] უდვილებს ორგანული კონტაქტის დამყარებას, [illegible] აუცილებელია ვნებათა [illegible] დროს. ნიკა თავაძე გამოირჩევა სცენური გულწრფელობით იმ უხერხულ სიტუაციებშიც კი, სადაც ადვილი შესაძლებელია მის გმირს ერთმა არაზუსტმა ჟესტმა ადამიანური [illegible] შეგრძნება დაკარგვინოს. ეს მეტად მნიშვნელოვანია ამ სპექტაკლში, ვინაიდან ყველაფერი, მიუხედავად მრავალი [illegible]ბისა, პიროვნებაა და [illegible] კანონებიც გათავისებულია. თავიდანვე, ლევანის მეტოქე არჩილი რესპექტაბელურია, რასაც ბოლომდე ინარჩუნებს. გამოკვეთილია ყველა მისი სიტყვა, რომელიც თავის სიძლიერეში დარწმუნებულ კაცს ეკუთვნის, მაგრამ თანდათან ხდება დევალვაცია, დანაწევრება მთლიანობისა და აღმოჩნდება (განსაკუთრებით ბაოს თვალში), რომ დიდი განსხვავება როდია ლევანსა და არჩილს შორის. მსახიობი გიორგი ქვრივიშვილი ძალების ზუსტი განაწილებითა და გმირის ხასიათიდან ცივი გონების განსაკუთრებულად გამოკვეთის წყალობით, სპექტაკლის ფინალში დრამატულ განზოგადებასაც კი აღწევს, პიროვნების დაშლის პროცესის ჩვენებით.

ამ უცნაურობის კარნავალში ექსცენტრული ფერი შემოაქვს ოჯახურ წყვილს — ნორას (ნათია გრძელიძე) და სამსონს (ბესო ფიფია). გაურკვეველი შეუსაბამობაა, მაგრამ მათი სხვადასხვა სახის ტემპერამენტი ერთმანეთს აწონასწორებს. ნათია გრძელიძე სხარტი, მოძრავი, ემოციური და მომხიბვლელია; მისი ჭარბი ტემპერამენტი შერწყმულია გამომსახველობით საშუალებათა ზომიერ შეხამებასთან. ბესო ფიფიას თამაში ყურადღებას იპყრობს რბილი იუმორითა და სიხალისით.

მსახიობთა ანსამბლში ჩინებულად ჩაეწერა გამოცდილი ოსტატი ეკა ქუთათელაძე. ღრმა დრამატიზმი, ლირიკული ტონალობა, დაწურული მეტყველება ამკობს ამ მსახიობის თამაშს მათიკოს როლში. ქალთა გალერეაში საინტერესო ფერით შემოდის ციცო ჯგუბურიას ვენერა. ახალგაზრდა მსახიობი თავისუფლად ფლობს სცენურ სიტუაციას და დიალოგის წარმართვისას დანიშნულებისამებრ ანაწილებს აზრობრივ აქცენტებს.

პლასტიკური დახვეწილობით, განწყობილების შექმნის სიზუსტით გამოირჩევა ნატო მურვანიძე ელისაბედის როლში, რომელიც წარმართავს სპექტაკლს, ერთგვარად აწესრიგებს პერსონაჟთა სიუჟეტურ ხაზებს. რთულია ელისაბედის როლის გაცოცხლება, მითუმეტეს რთულია დამწყები მსახიობისათვის, მაგრამ დებიუტშივე ასეთ საინტერესო სახესთან შეხვედრა იღბლიანი გამოდგა. ნატო მურვანიძესვე ეკუთვნის წარმოდგენის მუსიკალური გაფორმება და ამ ამპლუაშიც გამოავლინა მან სტილის შეგრძნება, გემოვნება.

თამაზ ჭილაძის ახალი პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის პირველი პრემიერა ახალგაზრდულ კოლექტივში შეიქმნა. ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმი ამ მომენტს ითვალისწინებს და, შესაძლოა, ამანაც განაპირობა დამწყებ მსახიობთა [illegible] სურვილი. ცხადია, სპექტაკლს მოეძებნება ნაკლოვანებები, მაგრამ იმდენად ჭარბობს მონდომება და ახალგაზრდული შემართება, რომ ამ მხარემ აშკარად გადასძალა.

სურათზე — სცენა სპექტაკლიდან.
მარლენ ბაგოვის ფოტო



ზურაბ დათუაშვილის ფოტო

# ნეკრესი ალაპარაკდა

(დასასრული)

ნა ზღუდენი ნეკრესის ქალაქისანი“, ამ საუკუნის მეორე ნახევარში კი თრდატმა „ალაშენა ეკლესია-ნეკრესისა“. აი ამ დროს, ე. ი. IV ს. II ნახევარში არის საგულვებელი სასახლე-დარბაზის მშენებლობა, რაც არქეოლოგიური მასალებითაც არის შემაგრებული.

როგორც აღნიშნული გვქონდა, № 1 წარწერა სასახლის კედლის ძირში აღმოჩნდა. ის ჩაუტანებიათ როგორც სამშენებლო ქვა, მეორადი გამოყენებით, ის უფრო ძველია, ვიდრე სასახლე. მისი ფუნქცია შეწყვეტილა სასახლის მშენებლობისას, მაგრამ როგორი ქრონოლოგიური ინტერვალია აქედან მის ამოკვეთამდე ჯერჯერობით ვერ დგინდება, ამდენად წარწერა უნდა დათარიღდეს IV საუკუნის პირველი ნახევრით მაინც, ასეთ დათარიღებას მხარს უბამს ფენის თანმხლები კერამიკული მასალა — პრიალაზედაპირიანი ან წითლად და ჩალისფრად შეღებილი გამომწვარი ნაწარმი, რაც ანალოგიებით IV საუკუნით არის დათარიღებული. ტექნოლოგიური ხერხები რამდენადმე ეწევა ამ მასალას III საუკუნისაკენაც. ქართული წარწერების განსაზღვრისას, როგორც ნაგებობების ქვეშ მოქცეული კულტურული ფენის შემცველი მასალისა, ანგარიშში ჩასათვლელი თანმხლები კერამიკის ერთი ჯგუფი, რომელიც აშკარად ძველია, ვიდრე ნახსენები IV საუკუნისა, თუმცა ჯერჯერობით მათი ზუსტი განსაზღვრა არ შეგვიძლია. აი ამიტომ აღვნიშნავ წარწერების თარიღს პირობითად, IV საუკუნის პირველი ნახევრით, რაც არ არის მტკიცე და აქვს დაძველების ტენდენციები, კიდევ გავიმეორებ და უფრო დავაზუსტებ: ქართული წარწერების შემცველ კულტურულ ფენაში (რომელიც წინ უსწრებს ნაგებობების ფენებს) წარმოდგენილია შედარებით ჭარბად მოწითალოდ და ჩალისფრად გამომწვარი კერამიკული ნაწარმი, რომელთა პარალელებიც ცნობილია რამდენიმე პუნქტიდან, მაგრამ სამწუხაროდ, თარიღის განსაზღვრაში ერთიანი აზრი არ არსებობს და თანაც სხვაობა ორ-სამ საუკუნეს მოიცავს. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, წარწერებისათვის თარიღის IV ს. პირველი ნახევრით განსაზღვრა მისაღებად მიმაჩნია. ამავე დროს ვიტოვებ უფლებას, მასალის შემდგომი დამუშავების და მომავალი გათხრების იმედით, ხსენებული თარიღის დაზუსტებლად, რაც უახლოეს მომავალში მოხდება.

გარდა ამისა, ვერ ვიტყვი, რომ წარწერები ერთი ხელით იყოს შესრულებული, ანდა ასონიშნების გამოყვანის ერთი სტილი ჩანდეს. № 2 წარწერა („ლევკაი“) აშკარად განსხვავდება სხვებისაგან კუთხოვანი მოყვანილობის ასონიშნებით. ერთმანეთს ძლიერ ემსგავსებიან № 3 და № 4 წარწერები. აქედან გამომდინარე სრულებითაც არ არის სავარაუდო, რომ მათი შექმნა ერთ რომელიმე ვიწრო ქრონოლოგიურ ჭრილში იყოს საგულისხმებელი. რაც შეეხება ქვევრის პირზე მოთავსებულ წარწერას, ხინაკლულის მიუხედავად მეტად საინტერესო კონტექსტით — „ესე ჰური დაგრგე“ — მარნის ფუნქციონირების დროისა უნდა იყოს და თარიღად VI საუკუნე შეიძლება მივიღოთ.

არქეოლოგიური ექსპედიციის კიდევ ერთ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან შეძლო ქალაქის დამცველი კედლის დადგენა და ნაწილობრივ გაწმენდაც. რამდენიმე მონაკვეთზე გათხრილია ქალაქის გალავნის სულ ასიოდე მეტრი და აშკარად ჩანს საქმე უნდა გვქონდეს სწორედ ანტიკური ქალაქის საფორტიფიკაციო ნაგებობასთან — კედელი ნაგებია მშრალი წყობით, დიდრონი ქვებით, სიგანე 1,8 მ.

ნეკრესის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს საველე კვლევა-ძიების მხოლოდ დასაწყის ეტაპთან, მეტად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი სიახლის შემცველად მიგვაჩნია. პირველ ყოვლისა, მეცნიერული რკვევის არეში შემოდის ახალი არქეოლოგიური ძეგლი, თავისი პირველი შედეგების მიხედვით ღირსეული ადგილის პრეტენდენტი სხვა ძველი ქართული ქალაქების არც თუ მოკლე ნუსხაში.

ნეკერის გათხრებმა მოგვცა უნიკალური არქიტექტურული ძეგლი — წინაქრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობის ანსამბლი, რომლის მეცნიერული გააზრებაც ბევრ სიახლეს მოგვცემს ჩვენში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების უშუალო წინა საფეხურის შესახებ, თუ როგორი მძაფრი შერკინების ნიადაგზე ხდებოდა მისი დამკვიდრება და გავრცელება.

იშვიათ სურათს იძლევა და მეტად შთამბეჭდავსაც IV-V საუკუნეების სასახლისა და მარნის გათხრები. აქ ვხედავთ ნივთიერ დასაბუთებას, თუ რა მაცოცხლებელი და ეფექტური ეკონომიკის პატრონი იყო ისტორიული ჰერეთის და შემდგომ კახეთის მხარე. აქ აშკარად საქმე გვაქვს სასაქონლო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ცენტრთან.

არქეოლოგიური ექსპედიციის უდაოდ სენსაციურ მონაპოვრად მიგვაჩნია ქართული წარწერები, რომლებიც მრავალმხრივი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს. პირველი და უმთავრესია, რომ ჩვენს ხელთაა ყველაზე უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშები; დღეისათვის მეცნიერებაში მიღებული აზრის მიხედვით, ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წარწერებს შორის ყველაზე ძველია V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული, რომელთაც ნეკრესის წარწერები ერთი საუკუნით უსწრებენ წინ. ეს ფაქტი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის ნივთიერი დასაბუთება ქართული დამწერლობის შექმნის მაშტოცისეული ვერსიის უარსაყოფად. რაც მთავარია, ხსენებული აღმოჩენებით მშვენივრად დგინდება, რომ ქალაქი ნეკრესი ისტორიული ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, ქართული კულტურულ-ისტორიული ყოფის ფუძემაგარი ადგილი ჩანს, რაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში არცთუ მიუღებელი და გაუზიარებელი აზრის გადასინჯვას აყენებს დღის წესრიგში. ჰერეთის ქართიზაციის და იქ ქართული კულტურულ-ისტორიული ფენომენის შეტანას. როგორც ნეკრესის გათხრებით ვრწმუნდებით, აქ სრულიად სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე; საქართველოს ეს რეგიონი წარმოდგენილია როგორც ძირძველი ქართული მხარე, მძლავრი ქართული სულიერი კულტურის ტრადიციებით. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა ექსპედიციისა, რასაც მომავალი საველე სამუშაოები, იმედი გვაქვს, უფრო მკვეთრად და დასაბუთებულად წარმოაჩენენ.

# არ აგდებენ ძველსა გზასა

დღეს საუბარი მოგვიწევს საკავშირო პრესის კიდევ ერთ, მორიგ სიყალბეზე.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ არაერთგზის დაუმტკიცებია თავისი, მტრული განწყობილება საქართველოს მიმართ, აქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი. და აი, კვლავ მსგავსი ხასიათის წერილი: „იმის შესახებ თუ სამართალდამცავმა სამართალდამცავებს უარი როგორ უთხრა“ („ლ. გ.“ № 24, 19.06.91). რას ჩივიან წერილის „სიმართლისათვის მებრძოლი“ ალექსანდრე დანიელი და დიმიტრი ლეონოვი საზოგადოება „მემორიალის“ სამუშაო კოლეგიის წევრები? თურმე, როგორც ისინი წერენ, რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას უარი უთქვამს მათთვის ძიებაში მყოფი ჯაბა იოსელიანის ნახვაზე. ცენტრიდან „ხმეც“ დავალებით მოვლენილთა ტიპიური ხერხებით დაწერილ ბეზღებებში, მხოლოდ ერთი სურვილი რომ იკითხება, რაც შეიძლება მეტი ლაფი ესროლონ საქართველოს ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერს, ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს და მთლიანად თავისუფლების გზაზე შემდგარ საქართველოს, ჩვენთვის უცხო არაა. გასაკვირი კი ერთი რამაა: ამ და მათი მსგავსი „სამართალ დამცავთა“ და ცენტრის პოზიციები არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათ თითქოს ერთი მოკარნახე ჰყავთო. ახლა კი დავუბრუნდეთ ცილისწამებათა სერიალს.

ა. დანიელი და დ. ლეონოვი ჩივიან, რომ მათ უარი უთხრა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ჯაბა იოსელიანის ნახვაზე. როგორც ბატონმა ავთანდილ იმნაძემ განგვიმარტა, სინამდვილეში აი, რა მომხდარა. ჩვენთან მოვლინებული ორივე ავტორი მიუღია პრეზიდენტს, უსაუბრიათ და, როდესაც საქმე ჯაბა იოსელიანს შეხებია, ბატონ ზვიად გამსახურდიას უთქვამს, რომ ჯაბა იოსელიანის საქმეს იძიებს რესპუბლიკის პროკურატურა და მასთან შეხვედრა-არშეხვედრის საკითხსაც ის წყვეტს.

როგორც რესპუბლიკის პროკურორმა ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ გვითხრა: „ა. დანიელმა და დ.ლეონოვმა ძალზედ არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს, იქცეოდნენ გამომწვევად, იწვევდნენ აშკარად მოსყიდული ხალხის შთაბეჭდილებას და ამიტომ ვუთხარი უარი ჯაბა იოსელიანთან შეხვედრაზე. თორემ მისი ვინმესგან მონახულება ჩვენ ტაბუდადებული კი არა გვაქვს. იგი მოინახულეს ცოლმა, დამ, ორჯერ—შვილმა, ორჯერ—შვილიშვილმა, ბატონმა ნოდარ ნათაძემ, და ბოლოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II, რომელთანაც შეხვედრის შემდეგ ჯაბა იოსელიანმა შიმშილობა შეწყვიტა. კიდევ ვიმეორებ, დანიელისთვის და ლეონოვისათვის უარის თქმა გამოიწვია თვითონ ამ პიროვნებებისადმი უნდობლობამ და არავითარ შემთხვევაში სხვა რამემ. მითუმეტეს, რომ სრული უფლება გვქონდა მათთვის უარი სხვა რამის გამოც გვეთქვა.

„მემორიალის“ წევრთა კიდევ ერთი სიცრუე: ისინი წერენ, სამართალდამცავ ორგანოებთან შეხვედრის წინადადება პირველად თითქოს 20 მაისს ავთანდილ იმნაძეს წამოეყენებინოს. როგორც ბატონმა ავთანდილ იმნაძემ განმარტა: ასეთი წინადადება თვითონ დანიელისა და ლეონოვისაგან მოდიოდა, მე უბრალოდ ვუთხარი, რომ შევეცდები დაგეხმაროთ შეხვედრაშიო. ეს იყო და ესაა. გარდა ამისა, ისინი რომ წერენ, თითქოს ბატონ ზვიადს ეთქვას, ლეონოვს არ ვენდობი ქუთაისში არჩევნებში ვითომდა სერიოზული დარღვევების შესახებ ცრუ ინფორმაციის გამო, ესეც სიცრუეა. ეს მე ვუთხარი ლეონოვს ასე: „მე ბატონი პრეზიდენტის ადგილზე არც მივიღებდით და არც მოვისმენდით ქუთაისის შესახებ სიცრუის გამო-მეთქი“.

ქართველი მკითხველი იოლად მიხვდება, რომ წერილის ავტორებს არ აინტერესებთ არავითარი სიმართლე და სამართალი. მაგრამ გაზეთის აუდიტორია ხომ მთელი რუსულენოვანი სამყაროა. მათ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ, როგორმე ბრალი დასდონ რესპუბლიკის პრეზიდენტს, როგორმე შექმნან მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებრიობის თვალში (ამაზე მეტყველებს ამავე გაზეთში გამოქვეყნებული „ფოტოხელოვნების ნიმუში“ და ცინიკური კომენტარი). სიძულვილით დაბრმავებულებს ის კი ვერ დაუნახავთ, ანდა არ სურთ დაინახონ, რომ საქართველოს მოსახლეობის, სწორედ მოსახლეობის და არა მხოლოდ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს რესპუბლიკის პრეზიდენტს და პისადმი გონიერ კაცს აზრს ვერ შეაცვლევინებ.

„ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორებმა, საკავშირო მკითხველს დაუმალეს, ჯაბა იოსელიანი პოლიტიკური პატიმარი რომ არაა, რომ მის საქმეს პროკურატურა იძიებს და საბოლოო სიტყვასაც ის იტყვის, ხოლო ქურდებსა და ბანდიტებს არავინ აძლევს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მით უმეტეს ისეთს, რომელმაც ცივად დაწერა: ოთხჯერ ვიყავი ქურდობაზე ნასამართლევიო. მალე ცხადი გახდება, რომ შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონის“ ყველა წევრი მხოლოდ იარაღის არაკანონიერად ტარებისათვის არ დაუპატიმრებიათ. მკითხველს დაუმალეს, რომ რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებათა შესახებ და არაერთგზის მიმართა მათ ნებით ჩაებარებინათ იარაღი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო რესპუბლიკაში ამ შეიარაღებულ ფორმირებათაგან კანონის ძალით ურიცხვი იარაღის ამოღება. მათ საქმესაც პროკურატურა იძიებს და მტყუან-მართალს ის გაარკვევს. ყველაფერი ეს რომ დანიელის და ლეონოვს მკითხველისათვის ეთქვათ სიმართლის წისქვილზე წყლის დამსხმელები იქნებოდნენ, მაგრამ სამსახური იმპერიისა ამის უფლებას როდი იძლევა. „სამართალდამცავები“ სიყალბის დამცველებად მოგვევლინენ, სატანის მსახურნი სხვას ღვთის სიყვარულს ასწავლიან. მოყვრულად მტრობის მამაპაპურ გზას არ ღალატობენ, ჩვენ „პატრონობას“ არ იშლიან, ჩვენზე „ზრუნავენ“, ემანდ არაფერი შეგვეშალოთ და თავი არ დაიღუპოთო. ისინი ხომ ყოველთვის „დროულად“ ჩნდებიან ჰორიზონტზე. ზუსტად მათზეა ნათქვამი „ნუ დააგდებ ძველსა გზასა“.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია


მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე





რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-50
პასუხისმგებელი მდივნის — 99-07-10
განყოფილებების — 93-72-59; 99-71-68; 99-88-05. 93-38-08.
ტელეფონები შემოსული მასალა არ უკან ავტორებისთვის მიწოდება(?) სახელი 14 გვერდი.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“ THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ვაჟთლის ჰაჩაჩკაჩი


ИНДЕКС 68436 3 4 5 6 7 8 9 10 13 20 28 20 16 20 27, საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14.